

მერაბ კალაძეაპი

ნაკოლეონის პანოპეამოქმედებითი

საქმიანობის შესწავლა

საქართველოში

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი 2021

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს
ქართული ნაპოლეონიანას ერთი კონკრეტული სეგმენტი.
ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება
ქართული ისტორიოგრაფიაში. ეს ამ კუთხით საკითხის
განხილვის პირველი მცდელობაა.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტები-
სათვის და ნაპოლეონის მოღვაწეობით დაინტერესებული
ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ალექსანდრე მიქაბერიძე

**რეცენზიტორი: მიხეილ ქართველიშვილი
თამარ ანთაძე**

ვუძლვნი დედის ნათელ ხსოვნას შესავალი

„დიდი ადამიანი ყოველთვის უბედურებაა ხალხისათვის“. ეს ჩინური ანდაზაა პროფ. დიმიტრი ცისქარიშვილს თავის წიგნში „ნაპოლეონზე“, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მოყავს და დიდი ალბათობით აქ პირველ რიგში, სწორედ, ნაპოლეონს უნდა გულისხმობდეს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საკითხისადმი ასეთ მიდგომას. მას, ვფიქრობთ, გააჩნია თავისი რეზონი, აზრი.

XX საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯეიმზ ელტონმა გამოთქვა საინტერესო მოსაზრება, ისტორიული პიროვნება, რომ გახდეს ჭეშმარიტად დიდი ის უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს. რა მოთხოვნებია ეს? ან სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს თავისი ეპოქის მოთხოვნებს ანდა ძალიან ბევრით უნდა უსწრებდეს მას. რამდენად შეესატყვისება ნაპოლეონის მოღვაწეობა ამ მკაცრ კრიტერიუმს? ნაპოლეონი ორივე ამ კრიტერიუმს, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა. ეს არ გახლავთ ნაპოლეონის პანეგირიკი, როგორც ეს ერთი შეხედვით ვინმერ შეიძლება მიიჩნიოს. ის სავსებით აკმაყოფილებდა თავისი ეპოქის მოთხოვნებს და ზოგჯერ წინ უსწრებდა მას. ამიტომ, როგორც ჩვენ გვგონია, ნაპოლეონის შედარება სტალინთან და პიტლერთან, ალპათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკმათო შეიძლება იყოს. ვინაიდან ეს ორი და სხვა მისი მსგავსნი: ვ. ლენინი, ბ. მუსოლინი, მაუ ქე ფუნი, კიმ ირ სენი, პოლ პოტი, იენგ სამრი, სადამ ჰუსეინი, ფიდელ კასტრო. ძალიან შორს იდგნენ ამ ორი კრიტერიუმისგან, რომელზეც საუბრობს ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმზ ელტონი. საზოგადოების განვითარების გზა, რომელიც მათ აირჩიეს უპერსპექტივო აღმოჩნდა და ქვეყანა ჩიხში მიიყვანა. ის-

ტორიამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა მას და სავსებით სამართლი-ანად გადაისროლა ისტორიის სანაგვეზე. ნაპოლეონის დიქტატურა გამოირჩიდა ელასტიკობით და არ გამორიცხავდა დემოკრატიისაკენ ევოლუციას, რაც, სხვათა შორის, მოხდა XIX-XX სს. საფრანგეთში.

ნინამდებარე ნაშრომი ქართული ნაპოლეონიანას მეორე ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ. პირველი ნაწილია ჩვენი მონოგრაფია „ნაპოლეონის ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“ რომელიც 2008 წელს გამოვიდა.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა რასაც უახლოესი ისტორიოგრაფია „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმის“ უწოდებს დიდი ხნის განმავლობაში მისი ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების ჩრდილში მოექცა, შედარებით უკანა პლანზე აღმოჩნდა და პერიფერიულ თემად გვევლინებოდა. პრიორიტეტული იყო „სამხედრო ბონაპარტიზმი“. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში კარდინალურად იცვლება სურათი. უნინარესად, ეს იმით გამოიხატება, რომ „ადმინისტრაციული ბინაპარტიზმი“ სულ უფრო წინა პლანზე გამოდის, ყურადღებას იპყრობს, იმკვიდრებს ადგილს. ამგვარი მიდგომა გაცილებით უფრო დაბალანსებულია და უფრო რეალისტური შეიძლება ჩანდეს. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი თავის საკანონმდებლო საქმიანობაზე საკმაოდ მაღალი აზრის იყო და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი ბრძოლა... ის რაც იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსი“. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორ იყო გაშუქებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთ საინტერესო ფრაგმენტად გვევლინება. ამ რაკურსით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს სიახლეა, ქართული კონტექტი გააჩნია და აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. რამდენად ფასეულია ამ კუთხით საკითხის გაშუქება? რას მოგვცემს ის?

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე. ამ პრობლემის შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც ქართულ ნაპოლეონიანაში არსებობს და თეთრი ლაქები ამ დარგში კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. ეს ერთი. მეორე, ამ საკითხის გაშუქება ქართულ საზოგადოებას წარმოდგენას ჩამოუყალიბებს იმაზე თუ რა არის ამ მიმართულებით გაკეთებული და რისი გაკეთებაა კიდევ საჭირო. ამ თემის გაშუქება შესაძლებელს ხდის ამ, დარგის კონკრეტულად კი, საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის სულ სხვა და გაცილებით საინტერესო სურათი დავდოთ.

უნინარესად, მიზანშეწონილი იქნებოდა ამ სფეროში საქმიანობა დავიწყოთ ნაპოლეონის კოდექსის ქართულ ენაზე თარგმანით. ამას აქვს მნიშვნელობა და ახალ მძლავრს სტიმულს მიცემს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მეცნიერულ შესწავლას, კვლევას. ჩვენს ხელთ აღმოჩნდება საინტერესო წყარო. უნდა დაინეროს გამოკვლევები ნაპოლეონზე როგორც კანონმდებელზე, რეფორმატორზე. ამას გააჩნია შემეცნებითი მნიშვნელობა და ქართულ საზოგადოებას ნაპოლეონის კოლორიტულ ფიგურას სულ სხვა ასპექტში დაანახებს. ის იყო არა მარტო დიდი მხედავარმთავარი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, არამედ კანონმდებელი. ნაპოლეონს ხელენიფებითა, როგორც შენება, ისე ნგრევა, ეს სერიოზული პლუსი იყო. თუმცა ამის გამო მისი განდიდება, როგორც ეს ხდება აპოლოგეტურ ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ნაპოლეონი არ იყო არც „აიაჩიოელი დიოკლეტიანე“. როგორც ამას ფრანგი ისტორიკოსი იპოლიოტ ტენი ამტკიცებდა და არც „ევროპელი ჩინგიზ-ხანი“ როგორც ეს, ი. სტალინის ძალისმევით, ფართოდ გავრცელდა 30-40-იან წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მისი მოღვაწეობის პალიტრა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა. ის არაა მარტო დამპყრობელი, ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს ერთპიროვნულ მმართველთან კანონმდებელთან, რეფორმატორთან. ეს უკვე სხვა ნაპოლეონია.

ამ პრობლემის შესწავლას ორი მხარე გააჩნია, რომელსაც პირობით შეიძლება პროგრამა მაქსიმუმი და პროგრამა მინიმუმი უწოდოთ. პროგრამა მაქსიმუმი, ცხადია, მიზნად ისახავს ნაპოლეონის კანონ-შემოქმედებითი საქმიანობის „ნაპოლეონის კოდექსის“, „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმის“ სპეციალურ შესწავლას, მეცნიერულ კვლევას. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია და სასურველი იქნებოდა, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი სამშობლო საქართველოა, მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც აფერხებს ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას. მნიშვნელოვან-წილად, სწორედ ამით აიხსნება რომ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ამ სფეროში საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყენება. მაგრამ ამის დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს. სწორი არ იქნება მთავარი, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს პროგრამა – მინიმუმზე, საკითხის პოპულარიზაციაზე. ვფიქრობთ, სწორედ, ეს გახლავთ ყველაზე უფრო არსებითი, მთავარი. ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევა, მონოგრაფია ან სამეცნიერო-პოპულარული ნაკვევი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაწერილი არაა. ეს საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაციის სუსტ მხარეს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვა, რომ ამ საკითხზე მნირ ინფორმაციას მაინც მოვიძიებთ და ამის გვერდის ავლა, წაყრუება მიზანშეწონილი არ იქნება და ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ შეგვიქმნის. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გამოკვლევები, რომელიც არსებობს ნაპოლეონზე და სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა სკოლის და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ მაინც ძალიან კარგია. სულ არაობას ნამდვილად ჯობია.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი კრიტერიუმის შერჩევას. ეს საშუალებას მოგვცემს მეცნიერულად სწორედ შევაფასოთ ამ საკითხში

ქართული ნაპოლეონიანას მიერ შეტანილი წვლილი. დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საკითხის მეცნიერულ შესწავლასთან, არამედ პოპულარიზაციასთან. ქართული ნაპოლეონიანას წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მას წმინდა შემცნებითი დატვირთვა გააჩია. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. ამიტომ ამ მასალის მნიშვნელობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და, როგორც ჩვენ გვვინია, მართებული არ იქნებოდა. მაშინ ამ სფეროში მშობლიურ ენაზე ისიც არ გვექნებოდა, რაც გვაქვს. მოდით ნუ ვიქნებით უმაღლურები. აქცენტი კეთდება პოპულარიზაციაზე და არა კვლევაზე. ეს, ჩვენი აზრით, არავითარ, ჩრდილს არ აყენებს მოძიებული მასალის მნიშვნელობას, ღირებულებას. აქ ნიპილისტური დამოკიდებულება უადგილოა. ამგვარი მიღვომა იყო პრაქტიკული, პრაგმატული და მას გააჩინია, თავისი რეზონი, აზრი.

წინამდებარე ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილს წმინდა კულტურტრეგერული დატვირთვა გააჩინია და ყურადღებას მიაპყრობს ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების ჩრდილში აღმოჩნდა. შედარებით სუსტად, მკრთალად, იყო გაშუქებული და დიდი ხნის განმავლობაში პერიფერიულ თემას წარმოადგენდა. ამ მონაკვეთს შემცნებითი დატვირთვა აქვს, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად, კომპილაციას წარმოადგენს. ამ რთულ საკითხზე სიტყვის თქმას, უმთავრესად, ის გარემოება გვაძედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერება.

მეორე ნაწილი კვლევითი ხასიათისაა და როგორ უკვე აღვნიშნეთ, სიახლეს წარმოადგენს, ქართული კონტექსტი გააჩინია და აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება.

მას მკეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებულად გააპათოლს მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისძიევით, მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა მეცნიერული ღირებულება გააჩნია ამ მასალას? იკვეთება ორი მიდგომა: **პირველი:** სკეპტიკური, ნიპილისტური დამოკიდებულება. ამ ძუნნი ინფორმაციას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ის არ შეიძლება გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. მისი მნიშვნელობის გაზიადება მიზანშეწონილი არ იქნება, სასურველი შესაძლებლად არ უნდა მივიჩნიოთ. **მეორე:** ოპტიმისტური მიდგომა. რა თქმა უნდა, ეს მწირი მასალა ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ სხვა უფრო ხელშესახები, მასალა უბრალოდ არ მოგვეპოვება და იმას უნდა დავჯერდეთ რაც გაგვაჩნია. ამის წაყრუების, გვერდის ავლის, ფუფუნება ისეთ პატარა ქვეყანას როგორიც საქართველოა უბრალოდ არ გააჩნია. ჩვენ ვცადეთ ამ მცირე მასალაში ამოგვეკითხა თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული პრობლემისადმი მათი დამოკიდებულება. ვფიქრობთ, ეს უფრო სიანტერესო და პერსპექტიური უნდა ჩანდეს. მნიშვნელოვანნილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აისწება, რომ ამ თემაზე ჩვენი მსჯელობა მტკიცების სახეს კი არ არ ატარებს, არამედ უფრო ფრთხილი ფორმა გააჩნია და ჰიპოთეზების სფეროს არ ცილდება. უფრო ფართო არჩევანი უბრალოდ არ გაგვაჩნია.

ამით კი არ მთავრდება აღნიშნული საკითხის შესწავლა, არამედ იწყება, შესაძლოა, ჩვენ უნებლიერ რაღაც გამოგვრჩა, თვალს მოეფარა, ამიტომ დაწყებული საქმის გაგრძელება მიზანშეწონილი იქნებოდა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია მისი ახალი მასალით გამდიდრება, ამას მომავალი კვლევა გვიჩვენებს.

პარი პირველი

ნაცოლეონი ერთპიროვნული მგარებელი,
პარის დამფუძნებელი, რეზონატორი

თავი პირველი დისკუსია ნაკოლეონის ირგვლივ

ისტორიოგრაფიული დილემა ასე გამოიყურება. ვინ იყო ნაპოლეონი ტირანი, დესპოტი, დიქტატორი, მონსტრი თუ ლიბერალ-რეფორმატორი. ისტორიკოსები აგერ უკვე ორი საუკუნეა ცდილობენ ამ დილემის გადაწყვეტას, მაგრამ საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე ჯერ კიდევ ძალიან შორს არიან. ეს ადვილი გასაგებია. ისტორიკოსს არ ძალუდს საბოლოო ვერდიქტის გამოტანა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. მაშინ რას აკეთებს ისტორიკოსი? ისტორიკოსი გვთავაზობს წარსულის საკუთარ ვერსიას. განა ეს ცოტა? ალბათ, არა. თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, ისტორიული მეცნიერების წინსვლის, განვითარების, მთავარი საწინდარია. ისტორიულ მეცნიერებაში ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია არ არსებობს, ამ გზას ჩიხში მიყენავართ.

ერთნი უსაშველოდ განადიდებენ და ხოტბას ასხამენ ნაპოლეონს, ხოლო სხვანი კი მის სახელს მხოლოდ აუგად იხსენიებენ და უარყოფით კონტექსტში მოიაზრებდნენ. შესაძლოა, პირველები – შელამაზებულად ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ მას, ხოლო მეორენი პირიქით, ძალიან ამუქებდნენ რეალურ ვითარებას. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი სადღაც შუაში ძევს. ამ ოქროს შუაგულის გამონახვა სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან მსაჯულები ნაპოლეონის შეფასებისას სუბიექტურები არიან. ზოგს ნაპოლეონისადმი სიმპათია დაძლევს და იტყვიან, რომ ის გმირია. ზოგს კი პირიქით, ან-

ტიპათია. და იტყვის, რომ ის ანტიგმირია. მათ შორის კონსესუსის მიღწევა ძნელი იქნება. ეს დავა კიდევ დიდხანს გასტანს და, ალბათ, არც არასდროს დამთავრდება. ყოველთვის იქნებიან, როგორც ნაპოლეონის თაყვანისმცემელი, ისე მონინაალმდეგე ისტორიკოსები. ეს არცაა გასაკვირი. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდნის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“ აქ ყველაზე უფრო კარგადაა დანახული ისტორიული პროცესის შემეცნება. ზუსტადაა განსაზღვრული ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა. (1. 186.2. 18-45).

ჩვენ გაგვაჩინია აღნიშნული საკითხის საკუთარი ვერსია და ამ ორი მოსაზრებიდან ერთ-ერთს დაუჭერთ მხარს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის უსაშველოდ განდიდება, რაც ძალუმად იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში, რომლის მთავარ ტონის მიმცემად გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები: ადოლფ ტიერი, ალბერ სორელი, ალბერ ვანდალი, ედუარდ დრიო, ფრედერიკ მასონი, არტურ ლევი, ლუი მადლენი, ანდრე კასტელი, გვევლინებიან, ანდაც მისი სახელის აუგად მოხსენება, მინასთან გასწორება, რაც ლაიტმოტივად გასდევს ანტიბონაპარტიისეულ ლიტერატურას, მისი მთავარი წარმომადგენლები არიან პიერ ლანფრე და უან შარასი, ზედმეტია. (3)

საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა წარმოადგენს ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანსვეტს, რომელმაც კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა სამრეწველო გადატრიალების პროცესი, მძლავრი სტიმული მისცა ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებას. ეს იყო საზოგადოების განახლების ერთ-ერთი შესაძლებელი გზა. მისი აპოლოგეტური შეფასება ან დაგმობა ცალმხრივი იქნებოდა და არ ივარგებს. უნდა ვიყოთ რეალისტები. ეს იყო იმ ექსტრემალური ვითარებიდან, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, ერთ-ერთი რეალური გამოსავალი, რომელსაც

გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ფრანგი ისტორიკოსის უან უორესის თქმით რევოლუცია არის „პროგრესის ბარბაროსული ფორმა“.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ხდება გრანდიოზული მნიშვნელობის ფართო მასშტაბიანი რეფორმები, რომელიც აშენად არა ატარებდა ვიწრო, ლოკალურ, ხასიათს, ცილდება ერთი ქვეყნის, ერთი კონტინენტის ფარგლებს, მკვეთრად გამოკვეთიულ გლობალურ ხასიათს ატარებდა და მნიშვნელოვანი იყო მთელი მაშინდელი სამყაროსათვის. მთელი ამ პროცესის მთავარი სულისჩამდგმელი და ინიციატორი გახლდათ ერთი სახელმწიფო – საფრანგეთის და ერთი ადამიანი, – ნაპოლეონ ბონაპარტი. ამიტომ ეს მონაკვეთი მსოფლიო ისტორიაში „ნაპოლეონის ეპოქის“ სახელით მოხსენიება. ამ ბობოქარ ეპოპეას ისტორიკოსებმა „ნაპოლეონის ომები“ უწოდეს. ყოველ საუკუნეს განასახირებენ ადამიანები, განსაკუთრებულით დიდი პიროვნებები, ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის თქმით, ეს „შემოქმედებითი უმცირესობა“.

ამ გმირულ ეპოპეის ლოგიკური შედეგია ევროპის პოლიტიკური მოწყობის ახალი მოდელი. მკვეთრი სახეცვლილება განიცადა ძალა ბალანსმა საერთაშორისო ასპარეზზე. XIX საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ გამოიკვეთა საფრანგეთის ჰეგემონია, თავადი ა. კურაკინი პარიზიდან იმპერატორ ალექსანდრე I (1801-1825) ატყობინებდა „პირინეიდან ოდერამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე – ყველაფერი საფრანგეთია“ (4. 152). XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ჰეგემონიის უგულებელყოფა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ამერიკელი მეცნიერის ჯ. მოდელსკის მსოფლიო ჰეგემონობის „გრძელი ციკლების“ თეორიის აქტევსის ქუსლად მიგვაჩნია. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევით არ იყო და ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ჯ. მოდელსკის მსოფლიმედველობაში უნდა ვეძიოთ. საფრანგეთის ჰეგემონისადმი ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება მნიშვნელოვანნილად იმით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული, რომ, საფრანგეთს არ ყავდა ძლიერი ფლოტი, რომელსაც ჯ. მოძღვისკი მსოფლიოს ჰეგემონობის დამყარების საკითხში დიდ მნიშვნე-

ლობას ანიჭებდა. ერთი საუკუნის განმავლობაში ერთი სახელმწიფოს ჰეგემონობაზე აპელირება, როგორც ამას ჯ. მოდელის აკეთებს, დამაჯერებელი არ უნდა იყოს და XIX საუკუნეში საერთაშორისო ას-პარეზზე შექმნილი ვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საერთომოროსი ასპარეზზე არსებული მწვავე კონკურენცია, ფაქტობრივად, კადრს მიღმა აღმოჩნდა (5).

გრანდიოზული გარდაქმნები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. თვისებრივი ხარისხობრივი, ცვლილებები განიცადა ევროპის ეკონომიკამ, პირველ რიგში კი, მრეწველობამ. ნაპოლეონის გმირული და სისხლიანი ეპოქეს შედეგად, ევროპაში სამრეწველო გადატრიალების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ყველა გზას თავისუფალ მენარმეობასთან მივყავართ. „ნაპოლეონმა აბსოლუტიზმას მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა. რომლისაგანაც ის წელში ველარ გასწორდა, სწორედ ამაში მდგომარეობდა იმ გმირულ ეპოქის – ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული“. (6,9).

ნაპოლეონის ომების მნიშვნელობის შეფასებისას ისტორიკოსებს შორის ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა და სერიოზული აზრთასხვადასხვაობა სუფევდა. ერთნი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და მაუორულ ნოტაზე არიან მომართულნი. მეორენი პირიქით. ძალზე პესიმისტურად არიან განწყობილი და მინორულ ტონში მსჯელობენ. პირველი ბანაკის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადეგნელად ფრანგი ისტორიკოსის ედუარდ დრიო გვევლინება. ის აპოლოგეტურ განწყობილებას ამჟღავნებს განადიდებს ნაპოლეონის ომებს და ირწმუნება, რომ „ნაპოლეონის ომები იყო უდიდესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში“. ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა ფიურე სკეპტიკურად ეკიდება ნაპოლეონის ომებს და ერთგვარი გულისტკივილით კითხულობს, თუ რას მიაღწია ნაპოლეონმა ამ გაუთავებელი ომებით. ნაპოლეონის ომებმა დიდი როლი შეასრულეს. იმ პროგრესული ძალების კონსოლიდაციის საქმეში, რომელსაც წილად ხდდა განესაზღვრა ეპოპის ისტორიის მომავალი. ასე რომ აქ ზედმეტი პესიმიზმი უადგ-

ილოა, მაგრამ ამის გამო ნაპოლეონის უსაშეელოდ განდიდება, გაიდიალება; როგორც ამას ედუარდ დრიო აკეთებს, ცხადია, არ ღირს ზედმეტი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ნაპოლეონის ომებს მძლავრი რევოლუციური მუხტი გააჩნია. ეს უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა, „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგენის თავლებს“. ეს იყო მოდერნიზაციის პროცესის ერთი ფორმა, როდესაც გარდაქმნები ხორციელდებოდა ძალისმიერი მეთოდებით. ეს იყო „პროგრესის ბარბაროსული ფორმა“. სამრეწველო გადატრიალების პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს. ყველა გზას თავისუფალ მენარმეობასთან, ინდუსტრიულ საზოგადოებასთან მივყავართ.

ნაპოლეონის დაპყრობითმა ომებმა მარტო უარყოფითი როლი არ შეასრულა, მას გააჩნია დადებითი მომენტები. ამიტომ მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასება სწორხაზოვანი იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. ფრანგი ისტორიკოსი გრაფი ალექსის დე ტოკვილი ფიქრობს, რომ ამისათვის სულაც არ იყო საჭირო რევოლუცია და ამას საფრანგეთი მიაღწევდა მშვიდობიანი ევოლუციის საშუალებით. (7). ეს იყო ერთი ხედვა. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ამისათვის, რომ მიგვეღწია უნდა გაგევლო ის გზა, რომელიც საფრანგეთმა გაიარა. ტრადიციული საზოგადოების ტრანსფორმაცია უმტკიცნეული ხასიათს არ ატარებდა და სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ის საზოგადოების რევოლუციური და ევოლუციური განვითარების შერწყმის, შეხამების, მცდელობაა.. ერთგან ეს ხორციელდება რევოლუციის საშუალებით, მეორეგან ევოლუციის გზით. ლიბერალური რეფორმების საშუალებით. ნაპოლეონის დროს ძველი, ტრადიციულია საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი ძალისმიერი ფორმით ხორციელდება. ეს იყო „პროგრესის ბარბაროსული ფორმა“.

აქ წამოიქრება ერთი საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში დასვა ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა გრაფ ალექსის

დე ტოკვილმა. საფრანგეთის რევოლუციის შედეგად წყვეტას ჰქონდა ადგილი თუ უწყვეტლობას. ნაპოლეონის რეჟიმი შეესატყვისებოდა ტრადიციას თუ არა? საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე. ნაპოლეონის დროს ფაქტობრივად მოხდა სახელმწიფოებრიობის ძველი ფორმების აღდგენა, მაგრამ თვისებრივად სულ სხვა ხარისხში, რომელსაც საფუძვლად ედო რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარება. ამიტომ ნაპოლეონის რეჟიმის გაიგივება „ძველ რეჟიმთან“, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. განსხვავება პრინციპულია და თვისებრივი, ხარისხობრივი, ხასიათისაა.

პრინციპული ხასიათი აქვს კიდევ ერთ საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და რომლის გარშემო ისტორიკოსთნ შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა არსებობს. რა ფასად იქნა მიღწეული ეს წარმატებები? ერთნი მიესალმებიან ნაპოლეონის ტრიუმფალურ გამარჯვებებს, დითირემბებს უმღერიან და გუნდრუქს უკმერეს მის სამხედრო წარმატებებს. ისინი ძირითადად ნაპოლეონის მრავალრიცხოვანი აპოლოგეტები არიან. (ადოლფ ტიერი, ალბერ სორელი, ალბერ ვანდალი, ედუარდ დრიო, ფრედერიკ მასონი, არტურ ლევი, ლუი მადლენი, ანდრე კასტელო). მეორენი კი, პირიქით, ძალზე სკეპტიკურად არიან განწყობილები და ნაპოლეონს სასტიკად საყვედუროებენ ამ გაუთავებელი ომების გამო. ამ ბანაკის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა ფიურე. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მისი გულისტიკივილი. მიუხედავად ნაპოლეონის ტრიუმფალური წარმატებებისა ეს გამარჯვებები საფრანგეთს საკმაოდ ძვირი დაუჯდა. საფრანგეთის გენოფონდი განახევრდა. მაგრამ ნაპოლეონს ბრალი დავდოთ გენოფონდში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ამ გაუთავებელ ომებში, ცხადია, კარგს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ მას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და მისი მიზეზი საკუთრივ ბონაპარტისეული რეჟიმის სპეციფიურ ხასიათში ძევს. საქმე ის გახლდათ, რომ ნაპოლეონის რეჟიმის ლე-

გიტიმურობა მჭიდროდ უკავშირდებოდა მის სამხედრო წარმატებებს, წარუმატებლობა, დამარცხება, მისი რეჟიმის ლეგიტიმურობასთან ასოცირდებოდა. მართლაც, ეს ასე მოხდა. 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოსთან დამარცხებამ წერტილი დაუსვა ნაპოლეონის რეჟიმს. მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდა. ევროპის მონარქები დამარცხების შემთხვევაშიც მონარქებად რჩებოდნენ, ნაპოლეონი კი არა, გამარჯვება იყო ნაპოლეონის ლეგიტიმაცია. მათ შორის მთავარი განსხვავება, სწორედ ამაში მდგომარეობდა. ამ გაუთავებელ ომების გასაღები, სწორედ, აი აქ ძევს. მას ახსნა გააჩნია, მაგრამ გამართლება არა. ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას, რომელიც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და მკვეთრად განასხვავებდა ნაპოლეონის მმართველობას ი. სტალინის და ა. ჰიტლერის რეჟიმისაგან, ბოლშევიზმის და ნაციზმისაგან. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ნაპოლეონის დროს ამ უზარმაზარ მსხვერპლს ადგილი ჰქონდა განუწყვეტელი ომების შედეგად, რომელსაც არავითარი გამართლება არ გააჩნია, ხოლო ი. სტალინის და ა. ჰიტლერის დროს ეს ხდებოდა მშვიდობიან პერიოდში, რომლის აუცილებლობა არ იყო. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მათ შორის განსხვავება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. სერ უინსტონ ჩერჩილის თქმით „მე კატეგორიულად უარვყოფ რაიმე შედარებას ბატონ ჰიტლერს და ნაპოლეონს შორის, მე არ მსურს შეურაცხყოფა მივაყენო მიცვალებულს“. (ე. ი. ნაპოლეონს – მ. კ.).

ნაპოლეონის მოღვაწეობის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობას საფუძველი ჩაეყარა XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე, როდესაც, პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ძირითადი ისტორიოგრაფიული მიმდინარეობები. იკვეთება სამი მთავარი მიმართულება... კლერიკალური და როიალისტური, ბონაპარტისტული და დემოკრატიული ისტორიოგრაფია.

კლერიკალური და როიალისტურ წრეების დამოკიდებულება ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. მათი ლოგიკა იყო ძალზედ მარტივი, მიამიტური და ნაპოლეონს უარყოფითი ეპითეტებით ამკობდნენ. „ნაპოლეონი არის რევოლუციია შეილი და ჯოჯოხეთის წარმომდგენელი. მას არ შეიძლება შეურიგდე, მას უნდა ებრძოლო და აღადგინო კანონიერი ხელისუფლება“ მათი შეხედულებით, ნაპოლეონი იყო „ანტიქრისტე“, „კორსიკელი ბანდიტი“, „სისხლიანი ტერორისტი“, „პატივმოყვარე არამზადა“. ბუნებრივია, რომ ნაპოლეონის მიერ დაარსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და გატარებულ გარდაქმნებს ისინი მტრულად შეხვდნენ და არ მოსწონდათ ცენტრალიზაცია და ბიუროკრატია. ამ ვერსიას ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში „შავი ლეგნდა“ უწოდეს. ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლა თანამედროვე ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ტიულარმა. ნაპოლეონის პოლიტიკის პოზიტიური ასპექტები პრაქტიკულად მათ თვალთახედვის არეალში ვერ ხვდება. (8. 4-5. 9.10).

დაზუსტებას საჭიროებს მოსაზრება, თითქოს „ნაპოლეონის ლეგენდის“ ფორმირება დაიწყო 1815 წლის შემდეგ. სინამდვილეში ეს მოხდა გაცილებით უფრო ადრე, 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალების შემდეგ. მისი ერთ-ერთი მთავარი სულის

ჩამდგმელი თავად ნაპოლეონი იყო (8, 5-6). „ნაპოლეონის ლეგენდის“ მთავარი შემადგენელი კომპონენტებია ნაპოლეონის და რევოლუციის გაიგივება. ნაპოლეონს წარმოაჩენს როგორც მშვიდობისმოყვარე მმართველს, გამოჩენილი ფრანგმა ისტორიკოსმა აკად. ალბერ ვან-დალმა ისე შორს შეტოპა, რომ ამტკიცებდა – „ნაპოლეონი ელბაზე და ოდერზე, რომ იბრძოდა მაშინაც საფრანგეთს იცავდა“. ნაპოლეონი ცდილობდა ევროპის ქვეყნებში გაევრცელებინა 1789 წლის იდეები. ხაზს უსვამენ, რომ ნაპოლეონმა შეძლო ფრანგი ერის გაერთიანება. მას მიიჩნევენ ევროპის-ინტეგრაციის იდეის მომხრედ. ერთი სიტყვით, ნაპოლეონის საქმიანობაში პრიორიტეტულია პლუსები, ვარდისფერი დომინირებებს. ნაპოლეონის განდიდება ამას ლოგიკურად დაგვირგვინებად გვევლინება (8 5-6 9).

„ნაპოლეონის ლეგენდა“ ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, რა თქმა უნდა, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. მაგრამ ნაპოლეონის უსაშველო განდიდება, გაიდაალება, გადაჭარბებული შეიძლება იყოს. როგორც დამაჯერებლად ცხადყო გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალბერ სობულმა. „ნაპოლეონის ლეგენდა“ სავსებით რეალურ საფუძველზე აღმოცენდა. ის არ წარმოადგენს ფაქტებზე თვითნებობის, ძალმომრეობის, შედეგს. მას საფუძვლად ედო ნაპოლეონის მიერ რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარება-, (11).

თუ კლერიკალური და როიალისტური წრეები მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ ნაპოლეონის რეჟიმს, დემოკრატიული წრეები მარცხნიდან უტევდნენ მას. ისინი უარყოფითად ეკიდებოდნენ 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებას. მათ ვერ აპატიეს ნაპოლეონს რესპუბლიკის ლიკვიდაცია. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსები უიულ მიშლე და ედგარ კინე. (12, 13). ნაპოლეონის რეჟიმის კონტრევოლუციურ ტენდენციებზე აქცენტირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას.

ახლა, როდესაც ძალიან მოკლედ გადავავლეთ თვალი საქმის რეალურ ვითარებას. ძირითად ისტორიოგრაფიულ მიმართულებებს გავიხსენოთ ნაპოლეონისადმი ცალკეული ისტორიკოსების დამოკიდებულება. ეს ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა და მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

XIX-XX საუკუნეების ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის განდიდება დომინირებს, ის თავის აპოგეას აღწევს ადოლფ ტიერის, ალბერ სორელის, ალბერ ვანდალის, ლუი მადლენის ფუნდამენტალურ გამოკვლევებში. ეს შრომები ამ დარგის კლასიკაა. ისინი ხოტბას ასხამენ და გუნდრუქს უკმერეს ნაპოლეონს. (14,15,16,17). გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, უორჟ ლეფევრი თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე ვერ ფარავს მისი მოღვაწეობით გამოწვეულ ემოციებს, აღტაცებას და პირდაპირ წერს, რომ „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი“ (18). შეიძლება არ დავეთანხმოთ XX საუკუნის ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორს, ჟაკ გოდმოს თოთქოს ლეფევრის წიგნი „არ ნარმოადგენს ნაპოლეონის აპოლოგიას“, ნაპოლეონი უორჟ ლეფევრის საყვარელი გმირია. ის ნაპოლეონზე საქმაოდ მაღალი აზრისაა და მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებს, პატივს მიაგებს. შეიძლება მისი ტონი გაცილებით გაწონასწორებული და ობიექტურია, ვიდრე ადოლფ ტიერის, ალბერ სორელის, ალბერ ვანდალის ან ლუი მადლენის, მაგრამ ნაპოლეონი კულტს, მანაც მიაგო სათანადო პატივი და ამის ნაყრუება, გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნება. ის უფრო ზომიერი ბონაპარტისტია. აი ამაში კი შეიძლება დავეთანხმოთ ჟაკ გოდმოს. ალბათ, ეს უფრო ზუსტი იქნებოდა. ნაპოლეონის განდიდება, ცხადია, არ წარმოადგენს მხოლოდ ფრანგი

ისტორიკოსის დომენს. მას მრავლად ყავს თაყვანისმცემლები საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც. აი რას წერდა ნაპოლეონზე ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯონ ემერი აქტონი, ის ნაპოლეონს უწოდებს „ყველაზე დიდ გენიას, მათ შორის, რომელიც კი გამოჩენილა დედამიწის ზურგზე“

ნაპოლეონის ქება მარტო ისტორიკოსების საქმეს არ წარმოადგენს მათ მხარი აუბეს სხვა დარგის წარმომადგენლებმაც. ნაპოლეონის თაყვანისმცემლები საკმაოდ ფართო სპექტრით არიან წარმოდგენილი. ისტორიკოსებს მხარი დაუჭირეს გამოჩენილმა მწერლებმა. მათი მთავარი ტონის მიმცემები არიან დიდი გერმანელი მწერალი, იოპან ვოლფგანგ გოეთე და გამოჩენილი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი. ნაპოლეონის ქება ლაიტმოტივად გასდევს მთელს მის შემოქმედებას და თავის პიკს, მწვერვალს აღწევს მის ლექსში „ოდა ნაპოლეონზე“, სადაც ნაპოლეონის მოლვანებობისადმი სიმპათია უკვე ლექსის სათაურშია გამჟღავნებული. თუმცა ის არ ერიდება ნაპოლეონის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმას. ნაპოლეონის პირვენებით აღფრთოვანებული გოეთე დასძენდა: „ნაპოლეონისათვის ძალაუფლება იგივე იყო, რაც დიდი ხელოვანისათვის ინსტრუმენტი“. ამ ფრთოსან გამონათქვამში კარგადაა გამჟღავნებული ნაპოლეონისადმი სიმპათია. ისტორიკოსებს და სიტყვაკაზმული ლიტერატურის კორიფეებს მხარი აუბეს ფილოსოფოსებმა. მათი მთავარი ტონის მიმცემი დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი იყო. აი რას წერდა აღტაცებული ჰეგელი. „მე ვიხილე იმპერატორი, ეს მსოფლიოს სული, როცა ის ქალაქში შემოვიდა, საკვირველი გრძნობა გეუფლება კაცს, როცა ხედავ ასეთ არსებას, ერთ წერტილში თავმოყრილს, ცხენზე შემჯდარს და ამავე დროს მთელი ქვეყნიერების მპრძანებელს“, მათ არც მხატვრები ჩამორჩნენ. დავიდი, გრო, უერიკო, თავის ფერწერულ ნამუშევრებში ხოტბას აღავლენენ ნაპოლეონს. საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა ცნობილი ესპანელი მხატვარი ფრანჩესკო გოია. ის სასტიკად ამხელს ნაპოლეონის შექრას ესპანეთში. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის თაყვანისმცემელები მუსიკის დარგშიც გამოჩდნენ. მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გამოჩენილი გერ-

მანელი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. ცნობილია, რომ ნაპოლეონის პირველი წარმატებებით აღფრთოვანებულმა ბეთჰოვენმა მას თავისი მეცხრე სიმფონია მიუძღვნა.

ნაპოლეონის თაყვანისმცემლები გვხვდება ექიმებს შორის. მათ ერთ-ერთ ლიდერად შვედი დანცისტი სვენ ფორშევუდი მოგვევლინა. თავად განსაჯეთ მათ რიგებში გამოჩნდნენ ბიზნესმენები. ნაპოლეონს დიდ პატივს მიაგებდა ამერიკელი მილიარდელი ბენ ვეიდერი.

ნაპოლეონის მეხოტეთა ფერხულში აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბ-მული პოლიტიკოსები XIX საუკუნის ინგლისელი პოლიტიკოსი ლორ-დი როზბერი, რომელმაც ისტორიულ მეცნიერებაშიც მოსინჯა ძალები და დაწერა ნაშრომი ნაპოლეონზე, რომელიც წმინდა მეცნიერულ თვალსაზრისით, საკმაოდ სუსტია, დასძნდა: „ნაპოლეონმა უსასრულობამდე გადანია ის, რაც მის გამოჩენამდე ადამიანის შესაძლებლობების ზღვარად იყო მიჩნეული“. უფრო მეტი ქება განა რა შეიძლება იყოს? მან ნაპოლეონი პირდაპირ ცაში აიყვანა. ნაპოლეონს დიდ პატივს მიაგებდა კიდევ ერთი ცნობილი ინგლისელი პოლტიკო-სი სერ უინსტონ ჩერჩილი. ის ნაპოლეონზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. მისი ღრმა რწმენით, ნაპოლეონს შეეძლო, როგორც ნგრევა ისე შენება. მის თვალში ნაპოლეონის სახელი ასოცირდებოდა ძველი დრომოჭმულის ნგრევასთან და ახლის შენებასთან. ამიტომ ნაპოლეონის შედარება ჰიტლერთან ან სტალინთან, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ნაპოლეონის თაყვანისმებელ პოლიტიკოსთა ლიდერად კი, მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტი შარლ დე გოლი მოგვევლინა. მისი აზრით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“ (8, 2). ამ შემთხვევაში ნაპოლეონის განდიდებაში თავის პიკს, ზენიტს აღწევს. დე გოლს პირდაპირ ცაში აყავს ნაპოლეონი. ეს არცად გასაკვირი, დე გოლის სახით საქმე გვაქვს პირწავარდნილ ბონაპარტისთან.

ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლ-ზომიერი უნდა იყოს, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონა-ლურ მარცვალს, და სრულად მისაღები ჩანს, მაგრამ ნაპოლეონის

გაიდიალება, უსაშველოდ განდიდება, ცაში აყვანა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ნაპოლეონის პანეგერიკთან. ცხადია, სასურველი იქნებოდა მეტი ზომიერება, რამდენად შევძლებთ ამის გაკეთებას ეს უკვე სულ სხვა და ჩვენი აზრით., მთავარი საკითხია.

ეს ერთი ხედვა იყო, რომელიც უმთავრესად ნაპოლეონის აპოლოგეტი ისტორიკოსებთან ასოცირდება. არის სხვა თვალსაზრისიც. რა თქმა უნდა, ამ აღფრთოვანებას ყველა როდი იზარებდა. იყვნენ ის-ეთები, რომლებიც ნაპოლეონის მოღვაწეობას მხოლოდ უარყოფით კონტექსში მოიაზრებდნენ და მის სახელს აუგად იხსენებენ. მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი ისტორიკოსი პიერ ლანფრე. მისი მრავალტომიანი ნაშრომი წარმოადგენს ნაპოლეონზე დაწერილ პასკვილს. მას ნაპოლეონის პოლიტიკის პოზიტიური ასპექტების გაგონებაც არ სურს და მის მოღვაწეობას უარყოფითად ეკიდება. პ. ლანფრეს აზრით, ნაპოლეონი იყო ტირანი, დესპოტი, რომელმაც სისხლით მორწყა ევროპა (19). ასეთი მკაცრ განაჩენი გამოუტანა პ. ლაფრემ ნაპოლეონს. მისი აზრით, ნაპოლეონი გმირიდან ანტიგმირად იქცა. ნაპოლეონის მოღვაწეობა მუქ ფერებში წარმოაჩინა ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა ერნსტ ენგელბერგმა, ეს იმით გამოიხატებიდა, რომ ის აქცენტირებას ახდენდა ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე. მისი აზრით „ნაპოლეონი იყო რევოლუციის არადემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი“. სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ნაპოლეონის სახელის აუგად მოხსენიება მწვერვალს აღწევს ლევ ტოლსტოის რომანში „ოში და მშვიდობა“.

ნაპოლეონის დროს გარდაქმნები ძირითადად თვისებრივ, ხარისხობრივ ხასიათს ატარებდა და ხორციელდება ძალისმიერი ფორმით. საქმე გვაქვს „პროგრესის ბარბაროსულ ფორმასთან“. ნაპოლეონის გარდაქმნების შუქ-ჩრდილები სწორედ ამაში მდგომარეობდა. ნაპოლეონს, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუილ კანტის სიტყვები, „დიდ პატივმოყვარეობას ძველთაგანვე ბევრი გონიერი ადამიანი ჭურიდან შეუშლია“. ნაპოლეონის

გმირული ეპოპეის ტრაგიკული აღსასრულის გასაღებიც იქნებ, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ? წარმატებით თავბრუდახვეული ნაპოლეონი ხომ არა კარგავს რეალობის გრძნობას? ამიტომ ნაპოლეონის უსაშველო განდიდება, რაც შეინიშნება აპოლოგეტურ ლიტერატურაში, გადაჭარბებული უნდა იყოს და, ცხადია არ ლირს, ზედმეტია.

ნაპოლეონის რეჟიმი ცეზარისტულ ხასიათს ატარებდა. მან შექმნა ავტორიტარული სახელმწიფო, ის იყო ერთპიროვნული მმართველი, მისი მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს ერთპიროვნულ მმართველთან, კანონმდებელთან, რეფორმატორთან.

ლიტერატურა:

1. А. Гуревич, История историка, М., 2004.
2. გ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნანილი პირველი, თბ., 2011.
3. გ. კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე, კლდეკარი, 3. 1998.
4. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნიგნი მეორე. იმპერატორი, თბ., 1997.
5. გ. კალანდაძე, „გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში“ (ამერიკელი მეცნიერის ჯ. მოდელსკის თეორიის ირგვლივ), ქართული დიმპლომატია, წელიწერული, 12. თბ., 2005.
6. Е. Тарле, Наполеон, М., 1957.
7. А. Токвиль, Старый порядок и революция, СПБ., 1861.
8. Дж. Туган-Барановский, Формирование Бонапартического режима во Франции в годы консульства (1799-1804), Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, М., 1990.
9. Дж. Туган-Барановский, У истоков Бонапартизма (Происхождение режима Наполеона), М., 1986.
10. Дж. Туган-Барановский, Наполеон и власть, М., 1993.
11. А. Собуль, Герой, Легенда, история, Французский Ежегодник 1969, М., 1970.
12. Ж. Мишле, История XIX века, том 1. СПБ., 1882.
13. Э. Кине, Революция и критика её, М., 1906.
14. А. Тьер, История консульства и империи, т. 3. СПБ., 1846.
15. А. Сорель, Европа и Французская революция, том 1-8. СПБ., 1892-1906.
16. А. Вандаль, Возышение Бонапарта, том 1-2. СПБ., 1905. А. Вандаль, Наполеон и Александр I. том 1-3. Р/д., 1995.
17. L. Madlin, Fuche, P., 1955.
18. G. Lefebvre, Napoleon, P., 1935.
19. П. Ланфре, история Наполеона | СПБ., том 1-5. 1870-1875.

თავი მეორე

ნაპოლეონი და საფრანგეთის დიდი რევოლუცია

საკითხი არის რთული და საინტერესო. ამ რაკურსით მისი გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს, აქტუალურია და საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო კარგად გავისიგრძეგანოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხი. როგორი შეიძლება ყოფილიყო ნაპოლეონის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი? როგორ ეკიდებოდა იგი რევოლუციის მემკვიდრეობას და რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული მას რევოლუციის სოციალური მონაპოვრის მნიშვნელობა?

ნაპოლეონი არ იყო არც „აიაჩიოლი დიოკლეტიანე“, როგორც ამას ხაზს უსვამდა XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი და არც „ევროპული ჩინგიზ-ხანი“ რამაც, ი. სტალინის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი 30-40 წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ამგვარი ხედა მნიშვნელოვანილად აღარიბებს ნაპოლეონის მოღვაწეობის პალიტრას და მის ნიჭა და ტალანტზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. ნაპოლეონი არ იყო მხოლოდ დიქტატორი ერთპიროვნული მმართველი. მისი მოღვაწეობის არეალი უაღრესად ფართოა და რამდენიმე სფეროს მოიცავს.

ნაპოლეონი იყო თავისი დროის დიდი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. მან როგორც მხედართმთავარმა ახალი სიტყვა თქვა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, ის იყო სამხედრო საქმის ნოვატორი და რეფორმატორი. მან შეიმუშავა ომის წარმოების სრულიად ახლებური ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის წიაღში იშვა (1. 119-160).

ნაპოლეონის სამხედრო ტალანტი უკვე თანამედროვეებმა დაინახეს და დააფასეს. აი რას ამბობდა ნაპოლეონის მარშალი, შემდგომში შვედეთის მეცე უან ბატისტის ბერნანდოტი, რომელსაც ნაპოლონისადმი კეთილგანწყობილება ძნელია დავწამოთ. „ნაპოლეონის იყო ყველა დროის ყველაზე უფრო დიდი სარდალი. ყველაზე უფრო დიდი ადამიანია, ვინც კი ცხოვრობდა დედამიწის ზურგზე. გაცილებით დიდი, ვიდრე ჰანიბალი, ვიდრე ცეზარი და თვით მოსე“ (2, 81). აქ რაიმე კომენტარის გაეკითხა ძნელია. ბერნანდოტის შეფასება ნაპოლეონის აპოთეოზად უღერს. თუ ბერნანდოტი ასე ფიქრობდა, ადვილი ნარმოსადგენია მისი თაყვანისმცემელი რას იტყოდნენ.

ნაპოლეონი იყო არა მხოლოდ დიდი მხედართმთავარი, არამედ დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ძალიან კარგად შეეძლო არა მარტო ნგრევა, არამედ შენება. მისი სახელი ასოცირდება ძველის ნგრევასთან და ახლის შენებასთან. უნინარესად, საინტერესო იქნებოდა გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ნაპოლეონის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესო და აქტუალურად მიგვაჩნია. ნაპოლეონის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი საინტერესოა და საშუალებო გზის მოძიების ერთ-ერთ მცდელობად გვევლინება. ეს იმით გამოიხატება, რომ ის შეეცადა რევოლუციიდან აეღო ის რაც მას ესახებოდა, რევოლუციის დადებით მომენტებად, ხოლო უარს ამბობდა იმაზე რაც რევოლუციის უარყოფით მხარედ ნარმოედგინა. მან დაგმო რევოლუციისათვის დამახასიათებელი უკიდურესი ექსცესები, ექსტრემიზმი. ამიტომ ნაპოლეონის გაიგივება რევოლუციისათან, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. მაგრამ შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი და ცდილობდა ის გაევრცელებინა ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. ფაქტობრივად, ეს იყო ზომიერი პოზიცია, რომელსაც საფუძვლად ედო კომპრომისი რევოლუციურ და არისტოკრატიულ ტენდენციებს შორის. აქედან იღებს სათავეს ნაპოლეონის რეჟიმისათვის დამახასიათებელი ელასტიკურობა, ლავირების უნარი. ის წარმატებით ახერხებს მანევრირებას არისტოკრა-

ტიულ ელემენტებსა და საშუალო ფენას შორის. ამ თვალსაზრისით, ფრიად ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ ნაპოლეონმა უმაღ შეცვალა დირექტორია ახლით კონსულობის რეჟიმით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს სიახლე, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ძველი გზას უთმობს ახალს. ეს ნაპოლეონის როგორც პოლიტიკოსის წარმატება იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვერც როალისტებმა, ვერც კონსტიტუციური მონარქიის მომხრეებმა, ვერც უირონდისტებმა. ვერც იაკობინებმა, ვერც დირექტორიამ, ვერც ბაბუვისტებმა, ვერ შეძლეს შეეთავაზებინათ საფრანგეთის საზოგადოებისათვის პოზიტიური პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, პროგრამა „ნაპოლეონმა კარგად აუღო ალლო საფრანგეთის მოსახლეობის მთავარ მისწრაფებებს და შეძლო მათვის შეეთავაზებინა პოზიტივი. მნიშვნელოვანნილად, ამით იყო გამოწვეული, რომ ხალხის ენდო მას და გაყვა“ (3, 41).

ნაპოლეონი ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა მთელი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა კომპრომისს არა ვიწრო პარტიულ ნიადაგზე, არამედ უფრო ფართო ეროვნულ საფუძველზე. ნაპოლეონი საზოგადოებას თავაზობდა საშუალედო გზას. თანხმობის პოლიტიკას ეროვნულ ნიადაგზე. ამ პოლიტიკას ნაყოფია სტაბილიზაცია, რაც ნაპოლეონის რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ მიღწევას წარმოადგენს. ნაპოლეონმა წერტილი დაუსვა რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ნგრევას, ქაოსს და შეძლო რევოლუციის დროს ორად გახლეჩილი ფრანგი ერის გაერთიანება, მიაღწია მისთვის სასურველ კონსესუას. (1-341-346, 5-114-115). ეს იყო შექმნილი ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ მისი არც აპოლოგეტური შეფასება და არც შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა უორუ ლეფევრმა თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა შეინარჩუნა რევოლუციის მთავარი სოციალური მონაპოვარი. (6) ნაპოლეონის მთელი აგრარული კანონმდებლობა პროგრესულ, ანტისენიორალურ, ხასიათს ატარებდა. ფრანგმა გლეხმა

შეინარჩუნა რევოლუციის დროს მიღებული მიწის ნაკვეთი. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით, იყო განპირობებული, რომ ფრანგი გლეხი ნაპოლეონს დიდ პატივს მიაგებდა და ძალიან უყვარდა. XX საუკუნის მეორე გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟაკ გოდშო აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ძველი რეჟიმისაკენ გადადგმული ნაბიჯისა, ნაპოლეონის მმართველობა წარმოიშვა რევოლუციის მონაპოვარის საფუძველზე“ (3.12).

დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაზე დგას გერმანელი მარქისისტი ისტორიკოსის აკად. ერნსტ ენგელბერგი. ის ფიქრობს, რომ „ნაპოლეონი განასახიერებდა რევოლუციის არადემოკრატიული ფრთის წარმომადგენელს“ ნაპოლეონის რეჟიმს კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე აპელირება, ალბათ, ამჟებს საქმის ვითარებას და მის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი ნაპოლეონის უარყოფით დამოკიდებულებაზე აქცენტირება, როგორც ამას აკად. ევგენი ტარლე ჩადის, საკამათო შეიძლება იყოს. (4). „ნაპოლეონს კარგად უნდა ჰქონოდა გათავისებული თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირადად მისთვის და მისი ხელი-სუფლებისათვის რევოლუციის სოციალური მონაპოვრის აღიარებას და ამას აკეთებდა ძალიან ხშირად და ყოველვის აკეთებდა გულწრფელად“. (3. 38). ნაპოლეონის სოციალურ პოლიტიკას მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელექტრი დაკრავს. მას, საფუძვლად ედო ძველ პრივილეგიებზე და ინსტიტუტებზე უარის თქმა. გლეხებისა და საშუალო ფენის საკუთრების დაცვა. ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ძლიერ საშუალო ფენას, რომელმაც მნიშვნელოვანნილად, უზრუნველყო მისი ერთპიროვნული მმართველობის ტრანსფორმაცია ლიბერალიზმისაკენ, დემოკრატიისაკენ.

საფრანგეთის XIX-XX საუკუნის ისტორია ერთპიროვნული მმართველობიდან დემოკრატიისაკენ ევოლუციის პროცესია, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ნაპოლეონმა მისცა ბიძგი. ეს არის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, უმტკიცენეულო ხასიათს არ ატარებდა.

ვ. ლენინის. ი. სტალინის და ა. ჭიჭლერისაგან განსხვავებით ნაპოლეონს ხელეწიფებოდა არა მარტო ნგრევა, არამედ შენება, მისი მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ნაპოლეონმა დაიწყო ახალი საფრანგეთის შენება. შემთხვევით როდია, ის დიდი მსგავსება, რომელიც არსებობს ნაპოლეონის რეჟიმს და შარლ დე გოლის მმართველობას შორის. ერთმა თანამედროვემ დე გოლის მმართველობას „განათლებული ბონაპარტიზმი“ უწოდა. თუ კარგად ჩაუკირდებით ბევრ მსგავსებას დაინახავთ 1958 წლის დე გოლის კონსტიტუციისა და 1799 წლის ნაპოლეონის კონსტიტუციის შორის. (3. 2).

XIX საუკუნის ცნობილმა ფრაგმა ისტორიკოსმა იპოლიტ ტენმა, რომელსაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი სიმპათია ძნელია დავნამოთ, თავის სოლიდურ ექვსტომიან გამოკველევაში „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა“ (7) ასეთი აზრი გაატარა. თანამედროვე საფრანგეთის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები სათავეს იღებს საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქიდან. საინტერესო მიდგომაა. „თანამედროვე საფრანგეთის შორეული ფესვები, უნინარესად, საფრანგეთის რევოლუციაში და ნაპოლეონის მიერ განხორციელებულ გარდაქმნებში უნდა ვეძიოთ. სწორედ, მაშინ ჩაეყარა საძირკველი თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს“ (3, 3). XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის კ. ჩერჩის თქმით, „ნაპოლეონმა საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის კლასიკური სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციულ და სოციალურ სტრუქტურას“. (3, 15). გერმანელი ისტორიკოსი ჰანს შმიტი აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონი იყო არა მხოლოდ დამანგრეველი სული, არამედ მან განსაზღვრა ის გზა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ევროპის განვითარება., არა მარტო XIX საუკუნეში, არამედ, მნიშვნელოვანნილად XX საუკუნეში. საძირკველი ჩაეყარა საფუძვლებს, რომელსაც დღემდე ემყარება ევროპის განვითარება“. (8.465). მისი თანამემამულის, გერმანელი ისტორიკოსის, პიტერ კლაუს ჰარტმანის თქმით „ნაპოლეონმა საძირკველი ჩაეყარა საფრანგეთის საზოგადოების ახალ სტრუქტურას, რომელმაც იარსება არა მარტო მთელი

XIX საუკუნის განმავლობაში, არამედ ძირითადად შტრიხებში მიაღწია დღემდე. ძალაუფლება და ერთიანობა ეროვნულ ნიადაგზე – წესრიგის რაციონალური დაფუძნებით“ (9. 23). ე. ბერჰარდ ვაისის აზრით, სწორედ, სამოქალაქო კოდექსი მოყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ ნაპოლეონი არ ყოფილა მარტო დამპყრობელი, ის იყო სახელმწიფო მოღვაწე, რომლის საქმეებმა, მასზე უფრო მეტ ხანს იცოცხლა. (8. 422). შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“ (3.2).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვითონ ნაპოლეონი საკმაოდ მაღალი აზრის იყო თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა, მის გვერდით აყენებდა. ალბათ, ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს. „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი დიდი ბრძოლა... ის რაც იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსი“ (10. 123). ეს გახლავთ „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ნაპოლეონის ტრიუმფალური წარმატების „სამხედრო ბონაპარტიზმის“ ჩრდილში რჩებოდა და პერიფერიულ თემას წარმოადგენდა. თანამედროვე ავსტრალიელმა ისტორკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარტინ ლაიონსმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. (11. 305). პირველ რიგში ეს შეეხება რევოლუციის აგრარულ კანონმდებლობას, რომელიც ნაპოლეონის დროს ძალაში დარჩა. ასე შეინარჩუნა ფრანგმა გლეხმა რევოლუციის დროს მიღებული მინის ნაკვეთი. ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა საფრანგეთის ახალ სოციალურ სტრუქტურას.

საკითხი არის რთული და მრავლნახნაგოვანი და მისი ერთი ნიშნით შეფსება სწორხაზოვანი ჩანს, პროფ. ჯ, ტუგან-ბარანოვსკის აზრით, „ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს რევოლუციასთან კავშირის გაწყვეტას, მაგრამ ის არ წარმოადგენს მის გაგრძელებას, განვითარებას, მაგრამ ახალი რეჟიმი თავისი არსით უფრო მეტად იყო დაკავშირებული რევოლუციასთან, ვიდრე ძველ რეჟიმთან“ (3.

47). სხვათა შორის, ეს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული თვითონ ნაპოლეონსაც. ვატერლოსთან დამარცხების შემდეგ მას უთქვამს „სახელმწიფოები მე კი არა რევოლუციას ეომებიან. ისინი ყოველთვის ხედავდნენ ჩემში მის წარმომადგენელს, რევოლუციის კაცს“. (12. 524).

რ. ჰოლტმანის თქმით „ნაპოლეონმა გადაარჩინა რევოლუცია და ის დაასრულა“. (13. 76).

ლიტერატურა:

1. დ. ცისკარიშვილი, ნაბოლეონი, წიგნი პირველი, გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994.
2. А. Егоров, Маршалы Наполеона, Р/д., 1998.
3. Дж. Туган-Барановский, Формирование бонапартического режима во Франции в годы консульства (1799-1804), _ Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, М., 1990.
4. Е. Тарле, Печать во Франции при Наполеоне I. соч. в 12 томах, т. 4. М., 1958.
5. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
6. G. Lefebver, Napoleon, P. 1935.
7. И. Тен, Происхождение общественного строя современной Франции, том 1-6. СПБ., 1907-1913.
8. Х. Шмидт, Наполеон I (1799/1804-1815) – წიგნი „Французские короли и императоры“, Р/д., 1997.
9. П. К. Хартман, Введение, «Французские короли и императоры», Р/д., 1997.
10. История Франции, том 2. М., 1973.
11. В. Сироткин, Наполеон и Россия, М., 2000.
12. ე. ჭარლე, ნაბოლეონი, თბ., 1942.
13. Ив. Ментешашвили, Власть и герой. Наролеон Бонапарт. Тб., 2014.

თავი მესამე

ნაპოლეონის მართველობა როგორც

„პროგრესული ცხადიზმის“ ნიშანი.

ისტორიულსამეცნიერო ლიტერატურაში ნაპოლეონის განდიდებაში თავისებური ხასიათი შეიძინა და იმით გამოიხატებოდა, რომ უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა ნაპოლეონის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებზე, „სამხედრო ბონაპარტოიზმზე“, ხოლო მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა ანუ „ადამინისტრაციულ ბონაპარტიზმი“ შედარებით უფრო უკანა პლაზე აღმოჩნდა, ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში დამხმარე ფუნქცია გააჩნდა. და პერიფერიულ თემად გვევლინებოდა. ამგვარი მიდგომა ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. უახლესი ისტორიოგრაფია ცდილობს გადალახოს ეს ცალმხრიობა, ეს შეუსაბამობა და ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. ასეთი განონასწორებული, დაბალანსებული, მიღვომა გაცილებით უფრო ადეკვატურია. (1) ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად მეხუთე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გენერალი შარლ დე გოლი გვევლინება. ის პირვარდნილი ბონაპარტისტი გახლდათ. მას ნაპოლეონის მოღვაწეობის ეს ორივე მხარე მისი ტრიუმფალური სამხედრო წარმატები, ანუ „სამხედრო ბონაპარტიზმი“ და კანონშემოქმედებითი საქმიანობა ანუ „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“ ძალიან კარგად უნდა ჰქონდა გაცნობიერებული. შარლ დე გოლის თქმით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“ (2.2) შეიძლება ითქვას, რომ აქ ნაპოლეონის აპოლოგია თავის პიკს, კულმინაციას, აღწევს. დე გოლის ამ გამონათქვამში ნაპოლეონის გან-

დიდება დასრულებულ ფორმას იქნა. შარლ დე გოლის მოსაზრება უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ხოლო ნაპოლეონის უსაშველოდ განდიდება გადაჭარბებული შეიძლება იყო და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია ერთი სიტყვით, თუ მის მსჯელობას ნაპოლეონისადმი მიძღვნილ დითირამბებს ჩამოვაშორებთ, ხელში რეალობა გვრჩება. მთავარი, სწორედ, აი ეს უნდა იყოს.

რას ნარმოადგენდა ბონაპარტისტული რეჟიმი XIX საუკუნის და-საწყისში, როგორც მმართველობის ფორმა? ამ თვალსაზრისით ყურ-ადლებას იპყრიბს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კოდექსი, რომელსაც ისტორიკოსებმა „ნაპოლეონის კოდექსი“ უწოდეს. ის მიიღეს 1804 წლის 21 მარტს. „ნაპოლეონის კოდექსის“ შექმნის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო იურისტმა ჟან ეტიენ პორტალისმა.

როიალისტური წრეების მიერ ნაპოლეონის კანონშემოქმედები-სადმი ნეგატიური დამოკიდებულება ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. „ნაპოლეონის კოდექსი“ ახალი დროის პირმშო. ის პრინ-ციპულად უპირისპირდება ძველ რეჟიმს და აბსოლუტურ სისტე-მას. მას მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს და ლოგიკურად გამომდინარეობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრინციპიდან.

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონის ოლარი როგორც ლიბერალი ხომ არ ამჟაებ-და. საქმის რეალურ ვითარებას როდესაც ნაპოლეონის მმართველო-ბას აღიქვამს როგორც ძველი რეჟიმისაკენ დაბრუნებას? ნაპოლეონს მიიჩნევს რევოლუციის მესაფლავედ და საფრანგეთის დიდ რევო-ლუციას ასრულებს 1804 წელს, როდესაც ნაპოლეონი იმპერატორად ეკურთხა. (3). ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელიც მეცნიერული განსჯის საგანი შეიძლება გახდეს. ნაპოლეონის სა-ფრანგეთის რევოლუციის მესაფლავედ გამოცხადება, ალბათ. მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ნაპო-ლეონმა შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი და ამის

შეუფასებლობა, ცხადია, გამართლებული არ იქნებოდა. ეს ერთი, მეორე. ფაქტობრივად, აქ საქმე გვაქვს რევოლუციის პერიოდიზაცი-ასთან. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დამთავრებას 1804 წელს, ნაპოლეონის კორონაციით, ყავს თავისი მომხრეები, მაგრამ საკამათო შეიძლება იყოს და ძალიან ბევრი ისტორიკოსი, მათ შორის ჩვენც, რევ-ოლუციის დამთავრებას 1804 წელს დაგვიანებულად მიიჩნევს. (4. 5).

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი მიზნად ისახავდა კანონის უზენაესობას, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უთანასწო-რობა და არისტოკრატიული პრივილეგიები წარსულს ჩაბარდა. კანო-ნის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. მეორე მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც გატარებული იყო კოდექსში. ეს არის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, რომელსაც საფუძვლად ედო საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური კანონმდებლობის აღიარება. ფრანგმა გლეხმა შეინარჩუნა რევოლუციის შედეგად მოპოვებული მინა. ნა-პოლეონის დროს რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა ძალაში დარჩა. ამიტომ იყო, რომ ფრანგი გლეხი პირდაპირ აღმერთებდა ნა-პოლეონს. კოდექსი ხელს უწყობდა კერძო საკუთრებით თავისუფალ სარგებლობას. განამტკიცებდა და უზრუნველყოფდა თავისუფალი მენარმოების განვითარებას. კოდექსი გვევლინება რევოლუციის შედეგად საშუალო ფენის მიერ მოპოვებული წარმატების კონსტი-ტუციურ გარანტიად. რევოლუციის შედეგად მოპოვებული ქონე-ბა მის ახალ მფლობელს უმტკიცდებოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იქმნება მყარი საფუძველი საშუალო ფენის განვითარები-სათვის. კოდექსი ქადაგებდა „1789 წლის პრინციპებს“ რომლის მთა-ვარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა პიროვნების თავისუფლება. კოდე-ქსის კიდევ ერთი პლესი იყო, რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკა, სინდისის თავისუფლება. ამიტომ „ნაპოლეონისა კოდექსისადმი“ ხისტი დამოკიდებულება, რაც იგრძნობოდა საბჭოთა ისტორიოგრა-ფიაში, ტენდენციური იყო და მიუღებელი. (6.282-284).

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაიდიალე-ბა, რაც ძალუმად იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში, ცხა-

დია, არ ლირს, ზედმეტია. მას გააჩნია თავისი სუსტი მხარეები და ამის წაყრუება გამართებული არ იქნებოდა. აქ, პირველ ყოვლი-სა, ხაზი უნდა გაუსვათ პრინციპულ დაპირისპირებას ფრანგ გან-მანათლებელთან შარლ ლუ მონტესკიესთან. ნაპოლეონი როგორც ერთპიროვნული მმართველი, ცხადია, არ იზიარებდა მონტესკიეს შესედულებას ხელისუფლების დანაწილების შესახებ. საკანონმდებ-ლო, აღმსარებელი, სასამართლო (7) ფართო, შეუზღუდავი ძალაუ-ფლება, წარმოადგენდა ნაპოლეონის მმართველობის დედა-აზრს. ნაპოლეონის ღრმა რწმენით, სწორედ, ხელისუფლება უნდა იყოს „ერის წარმომადგენელი“. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია და ნაპოლეო-ნის პოლიტიკური დოქტრინის კვინტესენციას წარმოადგენს მნიშ-ვნელოვანნილად, სწორედ, ამითაა გამოწვეული რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს საკანონმდებლოზე. ეს უკანასკნელი ნაპოლეონის ერთ-პიროვნული მმართველობის პირობებში სუსტია. არჩევნებმა და-კარგა თავისი მნიშვნელობა. ამიერიდან თანამდებობაზე ზემოდან მთავრობა ნიშნავდა – მართალია, ნაპოლეონმა გადაუხვია რევო-ლუციიის პრინციპს, მაგრამ ამას გააჩნია თავისი პლუს-მინუსები. ეს არ მოასწავებდა საკადრო პოლიტიკაში თვითნებობას, რაც მი-უღებელი იყო. ნაპოლეონის კურსის წარმატება მნიშვნელოვანნილად განსაზღვრა მისმა სწორმა საკადრო პოლიტიკამ. ნიკოლო მაკიაველი ამბობდა „მმართველის გონიერებაზე მასთან დაახლოებული ადა-მიანების მიხედვით მსჯელობენ“. (8, 62). ამ თვალსაზრისით, ნაპო-ლეონს მართლაც ძნელი იქნებოდა რაიმე უსაყვედურო. დანიშვნებს, უმთავრესად, საფუძვლად ედო არა პირადი ერთგულება, არამედ ნი-ჭიერება. ტალეირანის, ფუშეს, კარნოს, გოდენის დაწინაურება ამის კარგი მაგალითია. ეს იყო კიდევ ერთი პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობდა ნაპოლეონს, სტალინს, და პიტლერს შორის. ნაპოლეონი იდგა სერიოზული დილემის წინაშე. თავისუფლება თუ წესრიგი? მან სწორი ნაბიჯი გადადგა და ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთა. მკვეთრად შეიზღუდა პრესის თავისუფლება. 160 გაზეთი დაიხურა. აქ ნაპოლეონი მოქმედებდა, როგორც ნიკოლო მაკიაველის

ნამდვილი მოწაფე „თავისუფლება კარგია, მაგრამ წესრიგი უმჯობესია, რომლის დამყარება ყველა ხერხითაა გამართლებული“. იგივე ითქმის ნაპოლეონის მიერ ლე შაპელიეს კანონის შენარჩუნებაზე. მათ ანტიდემოკრატიულობაზე აპელირება, სავსებით სწორი უნდა იყოს მაგრამ. ამ შემთხვევაში მთავარი იყო არა დემოკრატიულობა, არამედ წესრიგი. ყოველგვარი ოპოზიცია იზღუდებოდა, იმპერიის ხანაში კონსერვატიული ტენდენციები კიდევ უფრო ძლიერდება. ად-მინისტრაციულ ცენტრალიზაციას ემატებოდა პოლიტიკური კონ-ტროლი საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მკვე-თრად შეიზღუდა პარიზის თვითმმართველობა. (9. 31-33).

მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობის, ავტორიტარული რეჟიმისა, როგორც წყაროებიდან ჩანს, რეპრე-სიების მასშტაბები დიდი არ ყოფილა. კონსტიტუცია ირლვეოდა ხშირად. 1804 წლის 21 მარტს ენგეენის ჰერცოგის დახვრეტა ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს, მაგრამ „ტოტალურ ტერორს ადგ-ილი არ ჰქონია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნის, რომ არ იყო არც მასობროვი წინააღმდეგობა. სიკვდილის განაჩენი იშვიათად გა-მოჰქონდათ და მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის გამო. საკმაოდ დიდი იყო მორალური ზენოლა, ხელისუფლება სასამართლოს საქმი-ანობაში არ ერეოდა“. (2. 37). აი კიდევ ერთი დიდი განსხვავება ნა-პოლეონის, სტალინის და ჰიტლერის რეჟიმებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ნაპოლეონის შედარება ჰიტ-ლერთან ან სტალინთან, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. (10. 11). „რა არის პალმისა და ჰაფერის დასჯა. რა არის დამსჯე-ლი ექსპედიციები გერმანიის და ესპანეთის ქალაქების და სოფლების წინააღმდეგ, იმასთან შედარებით, რაც ჩვენ დროში ხდებოდა ჰიტ-ლერის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ – დასძენდა ცნობილი ჰიტლერი ისტორიკოსი, ლეიიდენის უნივერსიტეტის პროფესორი, პიტერ ჰეილი. სერ უინსტონ ჩერჩილის აზრით, „ნაცისტების გამარ-ჯვება იქნებოდა ყველა ჩვენთაგანისათვის გაცილებით უფრო დიდი კატასტროფა, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო ნაპოლეონის გამარჯვე-ბა. ნაპოლეონს შეეძლო არა მარტო ნგრევა, არამედ შენება. ცივ-

ილიზაციის თვალსაზრისითაც არ შეიძლება გავავლოთ პარალელი ნაცისტებსა და ნაპოლეონის რეჟიმს შორის. თავისუფლებისმოყვარე ფრანგები არასოდეს არ გახდებოდნენ ისეთი უსაზღვრო ბარბაროსობის იარაღი, რომელიც ახლა მოედინება ჩვენსკენ“. (10. 373) იგ-ივე პიტერ ჰეილი დასძენს. „ნაპოლეონის დროს ფრანგული ცივი-ლიზაცია თან ახლდა მისი არმიის დაპყრობით ლაშქრობებს, მაშინ როდესაც დაპყრობების ხასიათი, რომელიც მოვიდა ჩვენი თაობის დროს (იგულისხმება ნაციზმი – მ. კ.) შეუთავსებელია საერთოდ რომელიმე ცივილიზაციისათვის“. განა იგივე არ შეიძლება გავიმეოროთ ბოლშევიზმის, სტალინის შესახებ? ალბათ, გაცილებით, უფრო უპ-რიანი იქნებოდა ნაპოლეონი შევადაროთ ალექსანდრე მაკედონელს, ცეზიარს, კრომველს, ვაშინგტონს.

საზოგადოების მოდერნიზაციის იდეა პროგრესული იყო და სავსე-ბით მისაღები ჩანს, მისი განხორციელების ძალისმიერი ფორმა აზრ-თა სხვადასხვაობას იწვევდა. ნაპოლეონის მცდელობა შეექმნა ახალი გლობალური იმპერია წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ნაპო-ლეონის დამარცხებისა უნდა ითქვას, რომ მის მიერ განხორციელე-ბული გარდაქმნები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ახალ ვითარებაში კვლავ განაგრძობდა არსებობას, მხოლოდ სხვა ფორმით ხორციელდებოდა. მან ლიბერალური ხასიათი შეიძინა და რევოლუცი-ური და ევოლუციური გზების სინთეზად, შეპრემად, გვევლინება. სამ-რენველო რევოლუციამ შეუქცევად ხასიათი მიიღო. ყველა გზას თავი-სუფალ მენარმეობასთან მიეყავართ. ყალიბდება ახალი ინდუსტრიული საზოგადოება. ეს უმტკიცნეულო პროცესი არ ყოფილა და ბუნებირ-ვია, გააჩნდა თავისი გძლიერი და სუსტი შხარეები. პოზიტივი აშკარად დომინირებს ნეგატივზე. წითელი ჭარბობს შავს.

თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ნაპოლეონი იმაში ხედავდა, რომ ახალი ფრანგული კანონები გაევრცელებინა დაპყრობილ ევ-როპის ქვეყნებში. 1806 წელს ის შემოიღეს იტალიაში, 1807 წელს გერმანიაში და ჰოლანდიაში, 1810 წელს პოლონეთში. 1813 წელს ესპანეთში გააუქმეს ინკვიზიცია. ყველგან გაუქმებული იქნა სე-

ნიორალური ვალდებულებები „ნაპოლეონი წმენდა ევროპის ფეო-დალიზმის ავგენის თავლებს“. სწორედ, ამაში მდგომარეობდა ნაპოლეონის ომების სოცილური ასპექტები, რომელმაც დიდად შეუწყობდა ნაპოლეონის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებს. აღსანიშვია, რომ ნაპოლეონის ომების ეს მხარე ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებას. მის მთავარ ტონისმიტცემად კი, რა თქმა უნდა, დიდი ნიკო ნიკოლაძე გველინებოდა. ის საკითხოდ ჩახედულებას ამჟღავნებდა საფრანგეთის ახალ ისტორიაში, კონკრეტულად, კი საფრანგეთის დიდი რეოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში. ეს ამ თემაზე მისი მსჯლობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. აი რას წერდა იგი „მას შემდეგ რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-1807 წ.). მან, აქ, ამასთან ერთად, ძველი უნესობისა უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“ (12. 113-114, 13. 49-54). აქ, ცხადია, იგულისხმება „ნაპოლეონის კოდექსი“. იგივე შეიძლება ითქვას XIX საუკუნის სხვა ქართველ სამოციანელებზე. აი რას წერდა გიორგი წერეთელი. „იმის (ე. ი. ნაპოლეონის – მ. კ.) დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან გათავისუფლება მთავრობის შევიწროებისაგან“ (14, 86) აქცენტი კეთდება – ნაპოლეონის ომების სოციალურ ასპექტებზე. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ როგორც კი ნაპოლეონის ომების სოციალურმა ასპექტებმა შედარებით უკანა პლანზე გადაიწია, დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დაწერგვა აღარ ხდებოდა და ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო, ნაპოლეონის დაცემა გარდუვალი გახდა. სხვათა შორის, ამან ყველაზე უფრო რელიეფურად, სწორედ, ესპანეთში და რუსეთში იჩინა თავი. ფრანგი ისტორიკოსის ა. კალვეს თქმით „სამოქალაქო სულისკვეთება თანდათან იხევს უკან დაპყრობის სულისკვეთების წინაშე, რევოლუციის ჯარისკაცს ზურგს უკან, სულ უფრო ხშირად ჩნდება კონდოტიერი“ (15. 34. 16. 100).

არსებობს ასეთი გამონათქვამი „კარგი დიქტატურა არის ის, რომელიც დემოკრატიით მთავრდება“. შეიძლება თუ არა მათ რიცხვს

მივაკუთნოთ ნაპოლეონის მმართველობა? ჩვენ საკმაოდ ფრთხილად უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ალბათ, მაინც კი. ნაპოლეონის დიქტატურა საფრანგეთში დემოკრატიით დასრულდა. საფრანგეთის XIX-XX საუკუნის ისტორია ამის საუკეთესო ნიმუშია. ნაპოლეონის რეჟიმის დროს ჩამოყალიბებულმა ძლიერმა საშუალო ფენამ მნიშვნელოვანნილად უზრუნველყო საფრანგეთის ისტორიული განვითარების ტრანსფორმაცია, ევოლუცია, ერთპირონული მმართვლობიდან ლიბერალიზმისაკენ, დემოკრატიისაკენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საფრანგეთის ისტორია 1815-1870 წლებში. თანამედროვე ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ტიულარმა, რომელსაც თავგადაკულულ ბონაპარტისტთა რიგებს ვერ მივაკუთნებთ, მისი დამოკიდებულება ნაპოლეონის რეჟიმისადმი კრიტიკულია, მაგრამ მისი გამოცხადება ანტიბონაპარტისტული მიმართულების წარმომადგენლად, როგორც ამას პროფ. ალბერტ მანფრედი აკეთებს, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს, ძალიან კარგად შენიშნა, რომ „ნაპოლეონის მმართველობა არ წარმოადგენდა წმინდა სამხედრო დიქტატურას. სახელმწიფო ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამოქალაქო ხასიათი. ხშირად სახალხო რეფერენდუმებზე განსახილველად გამომჰკონდათ სახელმწიფო გადაწყვეტილებები, ეს იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ და უცხო იყო როგორც კონსტიტუციური მონარქიისათვის, ისე ლიბერალური რესპუბლიკისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნაპოლეონის რეჟიმს ფართო ლავირების პერსპექტივას უქმნიდა, რასაც ის ახორციელებდა კიდეც“. (17. 18).

ნაპოლეონი იყო ერთპიროვნული მმართველი. მან საძირკველი ჩაუყარა ავტორიტარულ რეჟიმს. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმას ავტორიტარული რეჟიმის რა ფორმასთან გვაქვს საქმე. საკითხის ამ რაკურსით განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

ცეზარისტული რეჟიმისადმი, ერთპიროვნული მმართველობისადმი, ჩვენში არსებული მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკ

იდებულება, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ იყო და ვიწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ხანგრძლივი პატონობის გამოძახილია. საქმე გვაქვს ერთ ჩვეულებრივ საბჭოთა სტერეოტიპთან. ასეთი სწორხაზოვანი დამოკიდებულება დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. თემა არის საინტერესო, როგორიც და მრავალწახნაგოვანი. მისი ერთგვაროვნად შეფასება ძალზე ძნელი იქნებოდა. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ცეზარისტული რეჟიმი ერთგვაროვანი არ გახლავთ და მისი სხვადასხვა ფორმები არსებობს. ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე მოთავსება და განხილვა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

XX საუკუნის პოლიტოლოგიაში გამოითქვა მოსაზრება თითქოს ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა წარმოადგენდა თანამედროვე ტოტალური რეჟიმების წინამორბედს. მათ შორის გარეგნული მსგავსება ნამდვილად არსებობს და ამას არც არავინ უარყოფს. ეს მხოლოდ აისპერგის ზედა ხილული ნაწილია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავება, და მასზე თვალის დახუჭვა მიზანშენონილი არ იქნებოდა. აქ, პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, იგულისხმება ნაციზმი, ფაშიზმი და ბოლშევიზმი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტოტალიტარული რეჟიმების ნაირსახეობასთან. როგორც უკვე ითქვა, ნაპოლეონის რეჟიმი იმ ექსტრემალური სიტუაციიდან რომელიც შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, ერთ-ერთი გამოსავალი ჩანდა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ მისი აპოლოგეტური შეფასება ანდაც შეუფასებლობა, მართებული არ უნდა იყოს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. რაც შეეხება ნაციზმს, ფაშიზმს და ბოლშევიზმს, ის საზოგადოების განვითარების ჩიხური გზა იყო. მათ შორის პრინციპული განსხვავება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. (19. 114-115. 20. 300-301).

ცეზარისტული მმართველობის რომელ ნაირსახეობად შეიძლება მოვიაზროთ ბონაპარტისეული რეჟიმი? აი ეს საინტერესო თემაა. XX

საუკუნის იტალიელი მოაზროვნე ანტონიო გრამში ცეზარისტულ რე-ჟიმებს პირობით ორ ჯგუფად ყოფს: პროგრესული და რეაქციული. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ცეზარისტული რეჟიმი პროგრესული და რა შემთხვევაში რეაქციული? საკითხი არის რთული და მრავალ-წანაგოვანი. მის გამორკვევას პრინციპული მნიშვნელობა გააჩინა. ამის გაკეთება ადვილი საქმე არ იქნება. მათ შორის ზღვარი ძალ-ზედ მყიფეა და შეუმჩნეველი, ზედაპირზე არ ძეგს. ეს უნდა გა-ვაკეთოთ კონკრეტული ისტორიული მონაცემების საფუძველზე. სხვა მეთოდი აქ უბრალოდ არ გამოგვადგება. ანტონიო გრამშის თანახმად, პროგრესული ცეზარიზმის დროს ხელისუფლების ჩარე-ვა პროგრესულ ხასიათს ატარებს, ხელს უწყობს პროგრესული ძა-ლების წარმატებას, გარკვეული კომპრომისებისა და დათმობების ხარჯზე, რომელიც ჩრდილავს მოპოვებული წარმატების მნიშვნე-ლობას. საინტერესოა, რომ მას პროგრესული ცეზარიზმის ნიმუ-შად ესახებოდა ცეზარი და ნაპოლეონი. ახლა მოდით შევხედოთ რა წარმოედგინა მას რეაქციული ცეზარიზმის განსახიერებად. მისი შეხედულებით, რეაქციული ცეზარიზმის დროს სახელმწი-ფოს ჩარევა ნეგატიურ შედეგებს იწვევს და ხელს უწყობს რეა-ქციული ძალების წარმატებას. აღსანიშნავია, რომ მას რეაქციული ცეზარიზმის წარმომადგენლებად მიაჩნდა ნაპოლეონ მესამე და ბისმარკი (21. ტ. 3. 185-186. 2. 48). ანტონიო გრამშის მსჯელობის დასკვნითმა ნაწილმა გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა და, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს. მისი დაზუსტება გა-მორიცხულად არ მიგვაჩინა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ასეთი მქაცრი განაჩენი ნაპოლეონ მესამის და ბისმარკის მიმართ ხისტად გვეჩვენება და გარკვეული კორექ-ტივების შეტანას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, ალბათ, გაცილებით უფრო უმჯობესი იქნებოდა კანდიდატის შერჩევა არა XIX, არამედ XX საუკუნის პირველი ნახევარის ისტორიიდან. იქ ხომ მას მეტად მდიდარი არჩევანი გააჩინდა.

აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო ადეკვატური წარმოდგენა, რომ შევიქმნათ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი

გარემოება. „ნაპოლეონის რეჟიმისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი უცხო არ იყო, თაქ იჩენს სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქებში, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი და არსებითი. ალსანიშნავია, რომ ამ რეჟიმების ისტორიული მნიშვნელობა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, ერთგვაროვანი არასოდეს არ ყოფილა“. (2. 47).

მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა უნდა ითქვას რომ ის იყო თვისებრივად, ხარისხობრივად. წინგადადგმული ნაბიჯი ძველი რეჟიმის შემდეგ. ის გაცილებით უფრო მეტად იყო დაკავშირებული რევოლუციასთან, ვიდრე ძველ რეჟიმთან. ეს მისი პლუსი იყო. ნაპოლეონის დროს ფაქტობრივად მოხდა სახელმწიფოებრიობის ძველი ფორმების აღდგენა, მაგრამ თვისებრივად სულ სხვა ხარისხში და ამის ნაყრუება. გვერდის ავლა, ალნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. მას საფუძვლად ედო რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარება. ნაპოლეონის ერთპიროვნულ მმართველობას, მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ხასიათი გააჩნდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ნაპოლეონმა ძალაში დატოვა იაკობიანთა ანტისენიორალური კანონმდებლობა. „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგენისის თავლებს“.

მიუხედავად ნაპოლეონის მიერ განხორციელებული პროგრესული გარდაქმნებისა, რომელსაც, ბურებრივია, გააჩნდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მან კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა მოდერნიზაციის პროცესი. სამრეწველო გადატრიალების ტემპები. ახალი ინდუსტრიული საზოგადების ფორმირება. საფრანგეთის და ევროპის ქვეყნების განვითარებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და გამორიცხა ძველი რეჟიმისაკენ დაბრუნება. ყველა გზას თავისუფალი მენარმეობასთან მივყავართ. ყველაფერი ამას კი ბიძგი, სწორედ, რომ ნაპოლეონის ეპოქამ მისცა.

ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა მკვეთრად გამოკვეთილ პროგრესულ ხასიათს ატარებდა და ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. ნაპოლეონის რეჟიმი

ებრძოდა ძველს, ყოველგვარ დრომოქმულს და გზას უკაფავდა სახელმწიფოს ახალ სტრუქტურებს.

ნაპოლეონის რეჟიმის საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური შეფასება, რომლის მთავარ ტონის მიმცემად პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ლენინი მოგვევლინა და რომელიც ძირითადად აქცენტს აკეთებდა ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ხასიათზე, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრაგს (22). დღეს აქცენტი კეთდება ბონაპარტიზმის არა სუსტ მხარეებზე, არამედ პოზიტიურ ტენდენციებზე. ეს უფრო რეალისტური მიდგომა უნდა ჩანდეს. ბონაპარტისტული პროგრამა ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის იდეაზე, ზომიერ სოციალურ გარდაქმნებზე, რომელიც გამსჭვალულია ლიბერალიზმის სულისკვეთებით, სამხედრო დიდებაზე. ევროპის ხალხების გაერთიანებაზე, რა თქმა უნდა, საფრანგეთის პეგემონიის ქვეშ. ძველი საზოგადოების მოდერნიზაციის იდეა მისაღები იყო. მისი განხორცილების ძალისმიერი ფორმა აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, შემთხვევითი არ იყო, რომ ნაპოლეონის მცდელობა შეექმნა ახალი გლობალური იმპერია წარუმატებელი აღმოჩნდა.

როგორც ერთსულოვნად აღნიშნავნ ფრანგი ისტორიკოსები, მათ მთავარ ტონის მიმცემად, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, ტულუზას უნივერსიტეტის პროფესორი, უაკ გოდშო გვევლინება, ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს ევროპის ერთიანობის იდეის მომხრესთან. მას სურდა შეექმნა ერთიანი უნიფიცირებული ევროპა, რომელიც ფედერაციული სისტემა იქნებოდა. მას საფუძვლად დაედებოდა ერთიანი უნიფიცირებული კანონთა კოდექსი, სასამართლო, ფულადი სისტემა. ამის განხორციელება ხდებოდა ძალმომრეობის საშუალებით, რომელიც იწვევდა საპასუხო რეაქციას. გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალბერ სორელმა თავის ფუნდამენტალურ რვატომიან გამოკვლევაში „საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ევროპა“. ასეთია საინტერესო აზრი გაატარა. ფრანგი რევოლუციონერების საშანაო პოლიტიკა მჭიდრო კავშირში იყო მათ საგარეო პოლიტიკასთან. რევოლუციის იდეების ფართო პროპაგანდამ როგორც საფრანგეთში, ისე

მის საზღვრებს გარეთ სასურველი ნაყოფი გამოიღო. მათ თავიანთი პროპაგანდის შედეგად თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ეს გახლ-დათ მედლის ერთი მხარე, მას გააჩნია მეორე მხარე, რომელიც სახელ-მოხვეჭილ ფრანგ ისტორიკოსს მხედველობიდან არ გამორჩენია. ნებ-სით თუ უნებლიერ ამით ფრანგებმა თავისი დაცუმისათვის ნიადაგი შეამზადეს. საქმე ის გახლავთ, რომ მათ მიერ ხიშტებით შეტანილი ახალი იდეები კარგად გაითავისეს და თვითონ დაინტეს ბრძოლა მათი განხორციელებისათვის. ფრანგებს და საერთო ყველა დამპყრობელს იმავე იარაღით ეკვეთნენ, რომლითაც ადრე ფრანგები იმარჯვებდნენ. ეს იყო რევოლუციური იდეა თანასწორობის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის. მათ საფრანგეთის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა დაუპირისპირეს. ევროპა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლების აღში გაეხვია, (23). თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის უან ტიულარი აღნიშნავდა „1812 წელს ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობა წარმოადგენდა არა მხოლოდ სამხედრო კატასტროფას. არამედ ეს იყო ნაპოლეონის ახ-ალი პოლიტიკური სისტემის კატასტროფის დასაწყისი. ნაპოლეონის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა კარგად გამოიყენეს ევროპის მონარქებმა და გახდა ძალა, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა, იმპერიის და მისი დამაარსებლის განადგურების საქმეში“ (18). სინამდვილეში ეს ფედერაცია გაცილებით უფრო ახლო იყო იმპერიასთან, რომლის ლიდერის როლში, სწორედ, საფრანგეთი გვევლინებოდა, ხოლო ერთადერთი რეალური, მმართველი კი თვითონ ნაპოლეონი იყო.

მიუხედავად ნაპოლეონის ჩანაფიქრის სრული ფიასკოსა, ის რო-გორც წყაროებიდან ჩანს, იმედიანად იყო განწყობილი, „როგორც არ უნდა იყოს ადრე თუ გვიან ევროპის გაერთიანება მაინც მოხდება, ბიძგი უკვე მოცემულია“. ეს ოპტიმიზმი სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული. მას მოუხდა საკმაოდ გრძელი და ეკლიანი გზის გავლა უტოპიიდან რეალობამდე. ნაპოლეონის ომებმა დიდი როლი შეასრულეს იმ პროგრესული ძალების კონსოლიდაციის საქმეში, რო-მელსაც წილად ხვდა განესაზღვრა ევროპის მომავალი – აი, ეს იყო,

სწორედ, მთავარი. ნაპოლეონის გმირული ეპოპეის ისტორიულად პროგრესული მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. თუმცა ამის გამო ნაპოლეონის ომების ხოტბა-დიდება, რაც შეიმჩნევა აპოლიგეტურ ლიტერატურაში, გადაჭარბებული უნდა იყოს.

მაშ ასე, ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა ავტორიტარულ სახელმწიფოს, ცეზარისტულ რეჟიმს. ის იყო ერთპიროვნული მმართველი, რომელიც ფლობდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ მის მოღვაწეობაში შუქი გაცილებით მეტია ჩრდილზე, პოზიტივი დომინირებს ნეგატივზე წითელი ჭარბობს შავს. ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ის იყო „პროგრესული ცეზარიზმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს ერთპიროვნული მმართველთან, დიქტატორთან, რეფორმატორთან, კანონმდებელთან. სწორედ, აი ასე გვესახება ჩვენ ეს რთული პრობლემა. ეს არ გახლავთ ნაპოლეონის მმართვლეობის აპოლოგია, ნაპოლეონის განდიდება, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ჩვენ ვცადეთ გავრკვეულიყავით მისი მმართველობის ავკარგიანობაში და დაგვეფიქსირებინა ჩვენი პოზიცია. ჩვენ ძალიან ფრთხილად უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ დადებითი უფრო მეტია, უარყოფითზე. ნაპოლეონის აპოლოგია მიზანშენილი არ იქნებოდა, „ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურ ძალაუფლებას რყვნის აბსოლუტურად“. ეს ხომ არ დაემართა ნაპოლეონსაც? (19. 115. 20. 284-302. 24. 87-94. 25, 26, 114-118).

ლიტერატურა:

1. С. Боботов, Наполеон _ реформатор и законодатель, М., 1998.
2. Дж. Туган-Барановский, Формирование Бонапартического режима во Франции в годы консульства (1799-1804), _ Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. М.,1990.
3. А. Олар, Политическая история Французской революции, М., 1938.
4. გ. კილურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107. 1964. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
5. გ. კალანდაძე, ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9-10. 2015.
6. 3. Черниковский, Всеобщая история государства и права, М., 1983.
7. შ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994.
8. ბ. ჩამიაკაძე, ა. გვიმრაძე, ნიკოლო მაკიაველი, თბ., 2005.
9. А. Ревякин, Наполеон и «Великая империя», в кн: Европейские монархии в прошлом и настоящем, М., 2001.
10. Д. Сьюард, Наполеон и Гитлер, Смоленск, 1995.
11. Ив. Ментешашвили, Власть и рождение Революции, Тб., 2019.
12. 6. ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა, თხზ. ტ. 2 თბ., 1962.
13. ვ. დონაძე. საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა. (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978.
14. გ. წერეთელი, კიკოლოკო, ჩიკოლიკო და კუდაბზიკა. (მგზავრის წერილებიდან), თბ., 1935.
15. А. Calvet, Napoleon, P. 1943.
16. История Франции, т. 2. М., 1973.
17. Дж. Туган-Барановский, Наполеон и власть. М., 1993.
18. ჟ. ტიულარი, ნაპოლეონი, თბ., 2012.

19. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
20. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი დიქტატორი და რეფორმატორი, ქართული დიპლომატია. წელიწდეული 15. თბ., 2011.
21. А. Грамши, Избранные произведения т. 3. М., 1958.
22. ვ. ი. ლენინი, თხზულებები, მეოთხე გამოცემა, ტ. 25. გვ. 305. ვ. ი. ლენინი, თხზ. მეოთხე გამოცემა, ტ. 24. გვ. 495. ი. სტალინი, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვა თვალმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე,...თბ., 1937. გვ. 14. ფრ. ენგელსი, ანტიდურინგი, თბ., 1933, გვ. 214, კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, თბ., 1932. გვ. 128.
23. А. Сорель, Европа и Французская революция, том 3. СПБ., 1893.
24. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008.
25. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი, თბ., 2020.
26. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.

კარი მეორე

**ქართული ისტორიოგრაფია „აღმინისტრაციულ
პონაპარტიზმი“**

თავი პირველი

საქართველოში ნაკოლეონის კანონითმოქმედებითი საქმიანობის შესწავლის საკანონო მომენტი

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გადავავ-ლეთ თვალი იმ ძირითად მომენტებს, რომელიც საქართველოში ნა-პოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებამ განვლო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული პრობლემის პერიოდიზაცი-ასთან. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალუ-რად მიგვაჩნია. ეს ამ თემის გაშუქების, შესწავლის, პირველი მცდე-ლობაა.

მართალია, ქართულ ენაზე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე საგანგებო, სპეციალური, მეცნიერული გამოკვლე-ვა, მონოგრაფია ან სამეცნიერო-პოპულარული ნარკევები დღემ-დე არ გაგვაჩნია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას თითქოს ამ თემაზე ქართულ ენაზე არაფერი იყოს დაწერილი. სინამდვილეში ეს ასე არაა. ნაპოლეონის ცხოვრების და მოლგანეობის შესწავლის დროს, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ ტოვებენ და შეეხებიან ნაპო-ლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას. „ნაპოლეონის კოდექსს“, „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“, ამ თემის პოპულარიზაციამ, უმთავრესად, ასახვა პოვა ნაპოლეონისადმი მიძღვნილი საინტერე-სო გამოკვლევებში და სასწავლო საცნობარო ლიტერატურაში, სკო-ლის და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვა უფრო ხელშესახები მასალა უბრალოდ არ გაგვაჩნია. ამიტომ იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. ამ მასა-ლის ხელადებით უგულებელყოფა, აღბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და ამ საკითხის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, ნარ-

მოდგენას ვერ გვიქმნის. ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთ პატარა ქვეყანას როგორც საქართველოა იმის ფუფუნება არ გააჩნია, რომ ამ მწირ ინფორმაციას, რაც გვაქვს, გვერდი აუაროს, ნაუყრუოს. (გასათვალისწინებელია, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორც საქართველოა ამგვარი ინფორმაციული დეფიციტი ნიშანდობლივია).

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციას ვერ მოვწყვეტთ ქართული ნაპოლეონიანას განვითარებას. ის მისი ორგანული შემადგენელი ნაწილია. მათ შორის გენეტიკური კავშირი არსებობს. (1). ქართულ ნაპოლეონიანას და საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების პერიოდიზაციას შორის არსებული მინიმალური განსხვავება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ამ კონკრეტული საკითხის სპეციფიურობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. სავსებით მართლზომიერია, რომ ეს განსხვავება ყველაზე უფრო რელიეფურად მულავნდება გასაბჭოებამდე ქართულ ნაპოლეონიანაში, რაც იმ პერიოდის ქართულ რეალობაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე არსებული მწირი ინფორმაციით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ვიღრე უშუალოდ ამ თემაზე ვისაუბრებდით მანამდე მიზანშენილი იქნებოდა მოკლედ გადავავლოთ თვალი და გავიხსენოთ ქართული ნაპოლეონიანას საკვანძო მომენტები.

ყველაზე უფრო სიანტერესო ჩანს საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქების პერიოდიზაცია გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში. ეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ, იმით აიხსნება, რომ ის ნაკლებად განიცდიდა პოლიტიკური კატაკლიზმების გავლენას. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო,. რომ ამ მონაკვეთის პერიოდიზაცია ყველაზე უფრო მეტ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს, და სხვადასხვა ვერსიები არსებობს.

საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქებას თავისი წარსული აქვს და საკმაოდ გრძელი გზა განვლო და თავისი ისტორია გააჩნია. ალსანიშნავია, რომ ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის პერიოდიზაცია პირობით ხასიათს ატარებს. სხვადასხვა ვერსიები იკვეთება, შეიძლება იყოს აღნიშნული საკითხის პერიოდიზაციის რამდენიმე ვერსია მოდით გავიხსენოთ ისინი:

პირველი ვერსია. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ სინამდვილეში, (XIX საუკუნის დასაწყისიდან – 1921 წლამდე). თავის მრივ ეს პერიოდი კიდევ შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვბანი მიჯნა უნდა ჩანდეს XIX საუკუნის შუა ხანები და 1918 წელი, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

2. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991 წწ.).

3. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, XX საუკუნის 90-აინი წლების დასაწყისიდან დღემდე.

მეორე ვერსია: საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პირობით ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს. ორი ვარიანტი არსებობს.

ა) 1. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვანი ტეხილია XIX საუკუნის შუა ხანები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდა პერიოდიზაციიასთან. ეს საინტერესო უნდა იყოს.

2. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

3. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991 წწ.).

4. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

ბ) მეორე გარიანტი მხოლოდ პირველ მონაკვეთს შეეხება. დაარჩენი უცვლელი რჩება. ამიტომ მხოლოდ პირველ პერიოდს შევეხებით. ის შეიძლება დავიწყოთ არა XIX საუკუნის დასაწყისიდან, არა ამედ უფრო გვიან. სახელდობრ XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ის მთავრდება 1918 წელს, ხოლო რაც შეეხება წინა მონაკვეთს ამ ვერსიის მიხედვით, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოში აღნიშვნული პრობლემის გაშუქების მოსამზადებელი ეტაპი, წინაისტორია, შესავალი, უვერტიურა.

მესამე ვერსია. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პირობით ხუთ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

1. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

2. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1918 წლამდე.

3. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

4. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991 წწ.).

5. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

სამივე ვერსიას გააჩნია არსებობის უფლება, რომელს აირჩევს ისტორიკოსი ეს მის გემოვნებაზეა დამოკიდებული, პირადად ჩვენ მეტად ფრთხილად უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ყველაზე უფრო

მისალები შეიძლება ჩანდეს პირველი ვერსია. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს. 1. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში (XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე. 2. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991 წწ.). 3. საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე., ორი სხვა ვერსია აღნიშნული საკითხის პერიოდიოზაციის აღტერნატიულ ვარიანტად შეიძლება იქნას მოაზრებული.

მოსაზრება თითქოსდა ამ დარგში და კონკრეტულად, ამ საკითხში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი გაკეთებულა რეალობას არ შეესატყვისება, ღრმად ტენდენციურია და რაც, ყველაზე მთავარია, ანტიეროვნულია ანტიპატრიოტულია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ეს იყო კიდევ ერთი საბჭოთა მითი.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო საინტერესოა გასაბჭოებამდე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაცია უნდა ჩანდეს. ვიტქობთ, შემთხვევითი რიდია, რომ ყველაზე უფრო რთული, სწორედ, ამ მონაკვეთის პერიოდებად დაყოფაა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაცია, ცხადია, პირობითია.

პირველ ყოვლისა. ბუნებრივია, წამოიქრება საკითხი რა შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის, პოპულარიზაციის, ათვლის წერტილად? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. არსებობს სხვადასხვა ვერსიები. ზოგ ძველ ფაქტს ემატება ახალი, რომელსაც ადრე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და კადრში ვერ ხვდებოდა. საბჭოთა იდეოლოგიას ამ კითხვაზე პასუხი გამზადებული ჰქონდა და საქართველოში

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ათვლის წერტილად 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებას მოიაზრებდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. იყო სხვა, ჩვენი აზრით, ამაზე არანაკლები მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელზეც თვალის დახუჭვა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საქართველოში აღნიშნული პრობლემის ათვლის წერტილად, 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების აღება დაგვიანებულად მიგვაჩნია. როგორც ირკვევა, ამ დაინტერესებამ თავი იჩინა გაცილებით უფრო ადრე. რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ჩრდილში აღმოჩნდა და მივიწყების სქელმა მტვერმა დაფარა. ჩვენ ვეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ მასალისათვის მტვერი გადაგვეწმინდა.

საქართველოში ნაპოლეონზე პირველი საინტერესო ინფორმაცია გვხვდება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ბუნებრივია, წამოიქრება საკითხი რამდენად შეიძლება ეს მასალა მივიჩნიოთ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების ათვლის წერტილად? დიდი აღბათობით მაინც არა. ისინი ეხებიან ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას, მაგრამ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე კრინგს არ ძრავენ. ამ თემის გაშუქება მათ მიზანს არ წარმოადგენდა. ეს არ არის საყვედური ან შენიშვნა. ეს სწორი არ იქნება. ჩვენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდეთ. ამიტომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოაზრება აღნიშნული პრობლემის ათვლის წერტილად, აღბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევად მიგვაჩნია.

არსებობს სხვა ვერსიაც. ამ პრობლემის ათვლის წერტილად პირობით XIX საუკუნის მეორე ნახევარი შეიძლება იქნას მოაზრებული, როდესაც ჩნდება პირველი სპორადული ცნობები საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ეს მწირი ინფორმაცია, ცხადია, ძალიან ცოტაა, საქმარისი არ უნდა იყოს. ამიტომ XIX საუკუნის შუა ხანებიდან ამ თემატიკით

დაინტერესებაზე საუბარი მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა თუ ამ მონაკვეთს, XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1918 წლამდე საქართველოში ნაპოლეონის კანონ-შემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების მოსამზადებელ პერიოდად, უვერტურად, შესავალად, წინაისტორიად, მოვიაზრებდით და არა ცალკე პერიოდად.

ჩვენი აზრით, საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის გაშუქების ათვლის წერტილად 1918 წელი შეიძლება მივიჩნიოთ. ეს არცაა გასაკვირი და, პირველ ყოვლისა, ორ გარემოებას-თან ასოცირდება. დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ალბათ, არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ საქართვე-ლოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია, მათ შორის, ცხადია, ამ პრობლემის გაშუქება, პირველ ნაბიჯებს, სწორედ, ამ წლებში დგამს. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებას-თან როდი ასოცირდება. აი ეს გახლავთ ის მინიმალური განსხვავება, რომელიც ქართული ნაპოლეონიანიას და საქართველოში ნაპოლეო-ნის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციას შორის არსე-ბობს. 1918 წლამდე რაიმე პერიოდებად დაყოფაზე საუბარი ძალიან ძნელი იქნებოდა და უხერხულად მიგვაჩნია.

საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. როგორც უკვე ითქვა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისტორიული მონაკვეთი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1918 წლამდე ყველაზე უკეთეს შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც საქართველოში ნაპოლეონის კანო-შემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების მოსამზადებელი პერიოდი, უვერტურა, შესავალი, წინაისტორია. საკუთრივ საქართველოში ნა-პოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარ-იზაცია პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს, რომელსაც მკვე-თრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, რაც კარგი ცხოვრებით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული:

1. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში.

2. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, 1921-1991 წლები.

3. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში – 1991 წლიდან დღემდე.

ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ პირველი საინტერესო ინფორმაცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდება. სწორედ, აქედან იწყება ქართული ნაპოლეონიანა. ამ დაინტერესების კულმინაციად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონი“ და ალექსანდრე ორბელიანის პატარა, მაგრამ შინაარსიანი წერილი „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“ (3), მიგვაჩინა. საინტერესო სურათი იკვეთება. ეს საკითხი აი ასე გვესახება. მათ, ევროპელი რომანტიკოსების მსგავსად, ხიბლავდათ და იტაცებდათ ნაპოლეონის თავბრუდამხვევი კარიერა, მისი ტრიუმფალური წარმატებები. ნაპოლეონი როგორც ძლიერი პიროვნება მათი კუმირი იყო, რომელიც საქართველოსთვის საცხებით მისაღებ პოლიტიკურ ფიგურად ესახებოდათ და დიდ პატივს მიაგებდნენ მას. ნაპოლეონის მეხოტებე ევროპელ რომანტიკოსებს, მათი თავკაცი იყო ლორდი ჯორჯ ბაირონი, მხარი ქართველმა რომანტიკოსებმაც აუბეს. (4. 5). ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება, ცხადია მათ მიზანს არ წარმოადგენდა. რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ეს მასალა საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების პირველ ეტაპად აღვიქვათ? შეიძლება ორი დაშვების გაკეთება. თუ მიზანშენონილად ვცნობთ მის ცალკე პერიოდად გამოყოფას, მაშინ ამ მონაცვეთის მთავარ დამახასიათებელ თავისებურებად ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება მიგვაჩინა. მეორე, პირადად ჩვენ XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ პრობლემით

დაინტერესებაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩინია. კონკრეტულად ამ თემაზე, ფაქტობრივად, არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. როგორც უკვე ითქვა, ამ თემატიკით განხილვა მათი მიზანი არ იყო.

არსებითად იცვლება ვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს, პირველ ყოცლისა, იმით გამოიხატება, რომ ჩინდება პირველი, სპორადული, ცნობები ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რომელიც, ვფიქრობთ, საქმაოდ გამჭვირვალეა. ამ კარგი საქმის მოთავეებად, რა თქმა უნდა, ქართველი სამოცანელები გვევლინებიან.

მათი მთავარი ტონისმიმცემი, რა თქმა უნდა, დიდი ნიკო ნიკოლაძე იყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ის ძალიან კარგად იცნობდა საფრანგეთის ახალ ისტორიას, კერძოდ კი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. აღსანიშნავია, რომ ამ ვიწრო ასპექტში ეს საკითხი სათანადოდ არ ყოფილა გამუქებული. პროფ. ვარლამ დონაძე, რომელიც განიხილავს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს, ამ კონკრეტულ საკითხს არ შეხებია. ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი მას არ განუხილავს, თუმცა ამ თემაზე მის წიგნში საინტერესო ინფორმაციას მოვიძიებთ. ეს, ჩვენი აზრით, ამ საკითხის დასმის ტოლფასად შეიძლება მივიჩნიოთ (6. 50-54). ჩვენ ვცადეთ ეს ხაზი კიდევ უფრო გაგვევრცო – მეტად გამჭვირვალე გაგვეხადა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე მინიშნება ამოგვეკითხა.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის ყურადღების მიპყრობა საინტერესოა და ნაპოლეონისადმი ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულების კიდევ ერთ პლუსად გვევლინება, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, ნაპოლეონისადმი ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ნიკო ნიკოლაძეს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა. მისი პროგრესული ხასიათი. ის ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაზე დადებითი აზრის უნდა ჩანდეს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩინია. ამ თვალსაზ-

რისით, ყურადღებას იპყრობს მისი წერილი „გერმანიის მდგომარეობა“ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. აი რას წერდა ნიკო ნიკოლაძე „მას შემდეგ რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-1807 წ.) მან აქ, ამასთან ერთად ქველი უწესობის და უსამართლობის ნაცვლად, საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“ (7. 113-114. 6. 50). ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, რომელიც პირდაპირ ზედაპირზე ძევს და მისი შემჩნევა სულაც არ წარმოადგენს ძნელ საქმეს. ბუნებრივია, გაგვიჩნდება კითხვა რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ნაპოლეონის მიერ გერმანიის დაპყრობის ორმაგ თარიღზე აპელირება? ხომ არ ვართულებთ ამით საქმეს? დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ თქმით, რომელიც ნაპოლეონის დიდი თაყვანისმცემელი იყო, „ნაპოლეონმა პრუსიას სული შეუბერა და პრუსიამ არსებობა შეწყვიტა“. ეს მოხდა 1806 წელს. ცნობილმა გერმანელმა სამხედრო ისტორიკოსმა კარლ კლაუზევიცმა თავის წიგნს, რომელიც ეხება ნაპოლეონის მიერ გერმანიის დაპყრობას უწოდა „1806 წელი“. ხომ არ გვაჩვს აქ საქმე ლაფსუს კალამთან? მე მგონი კი. ფაქტობრივი გადაცდომები ნიკო ნიკოლაძისათვის დამახასიათებელი არ იყო. ამიტომ ამ ერთი ფაქტის გამო მისი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილად არ ცვანით. ამ შემთხვევაში. ჩვენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენთ.

ახლა მოვიყვანთ მეორე ამონარიდს, რომელიც გენეტიკურ კავშირშია პირველთან და მის გაგრძელებად გვევლინება. აი რას წერდა ნიკო ნიკოლაძე „მამაპაპური უწესობა ღვთის დაწესებული და აუცილებელი ბედი როდი ყოფილა. სხვანაირი უფრო სამართლანი და რიგიანი წესიც შესაძლებელი ყოფილა“ (7. 114. 6. 50-51). აქ დიდი ალბათობით, საფრანგეთის ახალი კანონმდებლობა „ნაპოლეონის კოდექსი“ შეიძლება იგულისხმებოდეს. საინტერესოა მესამე ამონარიდი. ამჯერად ნიკო ნიკოლაძე ამ თემას შეეხება თავის პუბლიკაციაში „შარშან და შარშან წინ“. აი რას ვკითხულობთ აქ. „ქველი წესის და მართვის მაგიერად, ახალი სამოქალაქო წყობილება და სამოქალაქო

სამართალი დააყენა“ (8. 11. 6. 49). აქ კვლავ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე კეთდებოდა აქცენტი. ამგვარი ვარაუდი, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ შეიძლება იყოს და იმითაა გამყარებული, რომ იმ ეპოქაში სხვა მსგავსი არაფერი ხდებოდა. ანალოგი არ არსებობდა.

ნიკო ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი. ნაპოლეონი არ იყო მარტო დამპყრობელი. მას მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა (9. 10, 15). ერთ-ერთი ასეთი სიახლე ნაპოლეონის კანონმდებლობა შეიძლება ყოფილიყო.

ამ თემაზე ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები საინტერესოა და ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასების შერწყმის, შეხამების, მცდელობად გვევლინება. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდა. ამის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს და ხელში ჩაგვიდებს მისი მსოფლმხედველობის გასაღებს. მნიშვნელოვანილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ის ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას დადებითად აფასებდა. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომას-თან, რომელიც, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალს, რომელიც განსაზღვრავს მის ფასეულობას.

ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობისადმი აპოლოგეტურად ხომ არ შეიძლება მივიჩნიოთ? ალბათ, მაინც არა. თუმცა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ძნელი სათქმელია კონკრეტულად რა ესახებოდა ნიკო ნიკოლაძეს ნაპოლეონის კანონებმდებლობის სუსტ მხარედ. აქ რაიმე ვარაუდის გამოთქმა, ალბათ, ძალზე ძნელი იქნებოდა.

აქვე უნდა შევეხოთ, ჩვენი აზრით, ერთ საინტერესო თემას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე იმაზე გაცილებით უფრო უკეთესად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული, ვიდრე ეს აქ მოყვანილი ამონარიდებიდან შეიძლება ჩანდეს. ამ შემთხვევაში მისი ცოდნის ფრაგმენტებთან შეიძლება გვქონდეს საქმე. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის ჩვეული ოსტატობით გადმოგვცა წაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიულად პროგრესული მნიშვნელობა. მისი ეს მსჯელობა სამეცნიერო პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშია. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და მნიშვნელოვნად გვეხმარება შევასოთ ის ვაკუუმი, რომელიც ამ საკითხზე საქართველოში არსებობდა. ნიკო ნიკოლაძის მსჯელობას შემეცნებითი დანიშნულება გააჩნია და თავისი წვლილი შეიტანა ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თემაზე მისი მსჯელობის მნიშვნელობა, ვთქირობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

აღნიშნული პრობლემის გაცნობიერების პირდაპირ თუ არა არაპირდაპირ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი სამოციანელების კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის გიორგი წერეთლის მოსაზრებები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძისგან განსხვავებით, აქ ამ თემაზე მინიშნება გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად იყვეთება და ძნელად იკითხება. ნიკო ნიკოლაძის პოზიცია ამ შემთხვევაში უფრო გამჭვირვალეა. როგორ შეიძლება მოვეკიდოთ ამ მასალას? ორ მიდგომასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. შესაძლოა, ეს ინფორმაცია ღირებული არ იყოს და ბევრს არაფერს იძლევა და ჩვენ ვაჭარბებთ მის მნიშვნელობას. სასურველი შესაძლებლად გვესახება. ეს გახლავთ ერთი ხედვა. არის მეორე თვალსაზრისი. ეს მნირი ინფორმაცია, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა ჩანდეს, მაგრამ ნუ ვიქნებით პესიმისტები. ჩვენ ვცადეთ ამ მწირ ინფორმა-

ციაში აღნიშნული პრობლემისადმი დამოკიდებულება ამოგვეკითხა. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა ამ ძუნწი ინფორმაციის გვერდის ავლის, წაყრუების, ფუფუნება არ გააჩნია. ყველა ასეთ ინფორმაციას დიდ თუ პატარას თვალისწინივით უნდა მოფრთხილება. ჩვენ პირადად ეს მეორე მიდგომა უფრო პერსპექტიულად წარმოგვიდგენია. მას როგორც სამუშაო ჰიპოთეზას გააჩნია არსებობის უფლება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს გიორგი წერეთლის მხატვრული ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილები, სადაც ის ამჟღავნებს საფრანგეთის ახალ ისტორიაში, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში ჩახედულებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მინიშნება შეიძლება ამოვიკითხოთ გიორგი წერეთელის მხატვრულ ნაწარმოებში „კიკოლიკო, ჩიკოლიკო და კუდაბზიკა (მგზავრის წერილებიდან)“. ამ საინტერესო მასალას პირველად ყურადღება მიაქცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა პროფ. ვარლამ დონაძემ, მაგრამ ამ კუთხით საკითხი მას არ განუხილავს (6. 50-51). ჩვენ ვცადეთ ეს საკითხი, სწორედ, ამ რაკურსით წარმოგვეჩინა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ უფრო ვრცელი მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამ საკითხზე მსჯელობა ფართოდ გაგვეშალა, არ გაგვაჩნია. ამიტომ იმ ძუნწი ინფორმაციას უნდა დავჯერდეთ რაც გაგვაჩნია. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ და ამ თემაზე ჩვენი მსჯელობა ჰიპოთეზების, ვარაუდების, სფეროს არ ცილდება. ჰიპოთეზებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა“ უიულ ვერნის ერთ-ერთი გმირის, ფრანგი გეოგრაფის უან პაგანელის თქმით „ჰიპოთეზებს მივყავართ მეცნიერებამდე“.

გიორგი წერეთელი წერდა „ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის სახელით შეესია ევროპას, იმის დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან გათავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხს ათავისუფლებდა მთავრობის შევიწროებისაგან. ნუ დაივიწყებთ, რომ ეგ მერე მოხდა (ე. ი. ცვლილებები იმის ხასიათში – მ. კ.) როდესაც ნაპოლეონი იმპერატორი გახდა. ამან ჯერ საფრანგეთში მოახრჩო თა-

ვისუფლება და მერე მთელს ევროპაში და აი მაშინ კიდეც ადვილად მოახრჩეს, როგორც ნაპოლეონი, ისე მისი მხედრობა. წუ დაივიწყებთ, რომ ეგ ჯარები მაშინ შეიქმნა საშიში, როდესაც თავის დრო-შაზე დააწერეს „სიცოცხლე და თავისუფლება“, როცა ისინი თავიანთ თავს ამხნევებდნენ ან უნდა მოვკვდეთ ან მტერი უნდა გავაგდოთ“ (11. 84-85). აქ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარემოებაზე, რომელიც საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩინა. გიორგი წერ-ეთელს ნაპოლეონი რევოლუციის მესაფლავედ ხომ არ ესახებოდა? კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება მაინც გვექმნება. ნაპოლეონის გამოცხადება რევოლუციის მესაფლავედ, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მას მკვერად გამოკვეთილი მემარცხენე ელფერი დაკრაგს და მესამე დასთან მისი სიახლოვით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული.

მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული, ის გენეტიკური კავშირი, რომელიც არსებობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ომებს შორის. არც ის გამოპარვია მხედველობიდან, როდესაც ნაპოლეონმა ამ გზას გადაუხვია. როგორც ის აღნიშნავს ეს მოხდა ნაპოლეონის იმპერატორად კურთხვის შემდეგ. ფრანგი ისტორიკოსის ა. კალვეს თქმით „სამოქალაქო ხელისუფლება სულ უფრო უკან იხევს დაპყრობის სულისკვეთებასთან. რევოლუციის ჯარისკაცის ზურგს უკან სულ უფრო ხშირად მოჩანს კონდოტიერი“. (12. 34. 13. 100). „წუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის სახელით შეესია ევროპას, იმის დროშაზე დაწერილი იყო მტარვალის-აგან გათავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხებს ათავისუფლებდა მთავრობის შევიწროვებისაგან“. იმ სიახლეებს და ნოვაციებს შორის, რომელზეც აქცენტს აკეთებდა გიორგი წერეთელი შეიძლება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა იგულისხმებოდეს? კატე-გორიულად, რა თქმა უნდა, არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს გაზეთ „კვალში“, რომლის რედაქტორი ბრძანდებოდა გიორგი წერეთელი და მისი იდეური გავლენა გამორიცხულად არ მიგვაჩნია, გამოქვეყნებული სტატია. აი რას ვკითხულობთ აქ. „ნაპოლეონი ყველგან დაპყრობით ომებს ეწეოდა, მაგრამ სადაც მივიდა ყველგან დალენა ფეოდალური ურთიერთობები, ბატონიშვილი და ახალი ურთიერთობები დაამყარა. საფრანგეთის განმათავისუფლებელი იდეები ყველგან მიჰენდა. მან (ე. ი. ნაპოლეონმა – მ. კ.) გამოაფხიზლა დამორჩილებული ხალხები და ნაპოლეონის გამოჭედილი იარაღი იხმარეს ნაპოლეონის წინააღმდეგ“ (14. 6. 50). უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი წერეთელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების ორმაგი მისია დაპყრობითი და სოციალური. დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დაწერგვა მაინც ხდებოდა. „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგენის თვალებს“ მას არც ის გამოპარვია მხედველობიდან, რომ ფრანგების მიერ ხიშტებით შეტანილი ახალი იდეები სხვა ხალხებმაც შეისისხლხორცეს და ახლა ფრანგების წინააღმდეგ მოიმარჯვეს. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ იმ სიახლეებს შორის, რომელზეც გიორგი წერეთელი ამახვილებდა ყურადღებას შეიძლება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაც მოიაზრებოდა? ახალი ურთიერთობები დაამყარა. თუმცა სასურველი იყო ამაზე მინიშნება უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო.

„უეოდალურ ურთიერთობებზე“ და ბატონიშვილის აპელირება თვალში მოგვხვდა და რეალობას არ შეესატყვისება. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, ჩვენი აზრით, ქართული რეალობის გამოძახილი შეიძლება ყოფილიყო. (საქართველოში ბატონიშვილა გაუქმებული იქნა XIX საუკუნის შუა ხანებში, კონკრეტულად კი 1864 წელს. საფრანგეთში ეს მოხდა გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ XIV საუკუნის დასაწყისში) (15).

და ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ ამ თემაზე გიორგი წერეთელი გაცილებით უფრო უკეთესად შეიძლება ყოფილიყო ინფორმირებული, ვიდრე ეს ჩვენს ხელთ არსებული მნირი ინფორმაციიდან უნდა

ჩანდეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ამ თემაზე მისი ცოდნის მხოლოდ ფრაგმენტები შეიძლება ყოფილიყო.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ კუთხით ეს თემა ჩვენ სპეციალურად არ შეგისწავლია და იმ მასალას დავჯერდით, რომელიც აქამდე ცნობილი იყო, თუმცა მას სხვა კუთხით შევეხეთ. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. შეიძლება აღმოჩნდეს რამე საინტერესო მასალა, რომელიც ახლა თვალს ეფურება და არ ჩანს.

ეს, სპორადული ცნობები ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა ჩანდეს, მაგრამ აღბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და XIX საუკუნის პირველი ნახევარის ქართულ ნაპოლეონიანასთან შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ეს სპორადული ცნობები აღვიქვათ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ათვლის წერტილად?

XIX საუკუნის შუა ხანების მიჩნევა საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ათვლის წერტილად ნაადრევად მიგვაჩნია. ნაპოლეონის კანონშემოქმდებითო საქმიანობის პოპულარიზაცია, უმთავრესად მაინც, ინდივიდუალურ, ეპიზოდიურ ხასიათს ატარებდა. ეს სპორადული ცნობები, რა თქმა უნდა. ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში აღბათ, უპრიანი იქნებოდა ეს ისტორიული მონაკვეთი XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1918 წლამდე საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესების მოსამზადებელ ეტაპად, წინარეისტორიად, უვერტიურად, შესავალად შეიძლება აღვიქვათ. ეს უფრო ადეკვატურად მიგვაჩნია.

1918 წლამდე საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაციის მთავარ დამახასიათებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ამ საკითხის გაშუქება, უმთავრესად მაინც, ფრაგმენტულ, ეპიზოდურ, ხასიათს ატარებდა და მისი ცალკე პერიოდად ან თუნდაც ქვეპერიოდად გამოყოფა, აღბათ, მაინც ძალზე ძნელია და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. 1918 წლამდე ნაპოლეო-

ნის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციაზე საუბრისა-გან პირადად ჩვენ მაინც თავს შევიკავებდით.

საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანო-ბის გაშუქების ათვლის წერტილად 1918 წელი გვევლინება. რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა შემთხვევითი და მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის გახსნასთან და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას-თან. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ორმა მოვ-ლენამ თავისი დადებითი როლი შეასრულა როგორც საერთოდ ამ დარგის განვითარების, ისე კონკრეტულად ამ საკითხის გაშუქებაზე. ჩვენი აზრით, ეს წლები საქართველოში აღნიშნული საკითხის შეს-წავლის პოპულარიზაციის, პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წა-ნია ზოგადად ამ დარგის, კონკრეტულად კი, აღნიშნული პრობლემის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოლება, საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად ამ თემის წარსულიდან, როგორც ეს საბჭოთა წლებში ხდებოდა, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საბჭოთა მიდგომის მიხედვით, ეს დარგი და მათ შორის, ცხადია, აღნიშნუ-ლი საკითხი, უნარსულოდ გამოიყენებოდა. ამგვარი მიდგომა, ამ საკითხის პერიოდიზაციის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. მცდარია და ამავე დროს ანტიეროვნულია, არაპატრიოტულია.

საქართველოს გასაბჭოებამდე 1921 წელს, ნაპოლეონის კან-ონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის კულმინაციად, პიკად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები გვესახება. საქართვე-ლოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპუ-ლარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, ასახვა ჰქოვა ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმ-ღვანელოებში. ეს იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე სე-

რიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ სინამდვილეში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. საკითხისადმი მიდგომა არის მეცნიერული, უპირატესად, აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. დასაწყისი ურიგო არ ყოფილა. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ ამას მოყვებოდა გაგრძელება და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ პრობლემის გაშუქებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. აი ასეთი იყო სინამდვილე, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალსაწირის მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აძნიშნული საკითხის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა. მას საფუძვლად ამ მონაკვეთის რეანიმაცია დაუდეთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მონაკვეთზე ვიმსჯელოთ არა მხოლოდ იმის მიხედვით რისი გაკეთებაც მოასწრეს. ეს ცხადია, ძალიან კარგი იყო, არამედ გავითვალისწინოთ ისიც, რისი გაკეთებაც მათ განზრახული ჰქონდათ, მაგრამ, ვერ მოასწრეს. ჩვენი აზრით, ეს გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა.

მაშ ასე, საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სწავლებამ, შესწავლამ, პოპულარიზაციამ, შეუქცევადი

ხასიათი შეიძინა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას აქამდე გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იწყება საქართველოში აღნიშნული საკითხის გაშუქების მეორე პერიოდი. ნაპოლეონის კანონ-შემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ის პირობით სამ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. მათ შორის მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს 30-იანი წლების შუა ხანები. აქედან მოყოლებული იწყება „სტალინური ხანა“, რომელიც დასრულდა 50-იან წლების დასაწყისში, სტალინის გარდაცვალებით. ამის შემდეგ არის მესამე ქვეპერიოდი, რომელსაც ორი ეტაპი გააჩნია „დათბობის ხანა“ და „უძრაობის პერიოდი“. ფაქტობრივად, ეს ამ მონაკვეთის შიდა პერიოდიზაციაა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებამ მეცნიერული ხასიათი შეინარჩუნა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი, წინსვლა, აშკარაა და ამის უგულებელყოფა, დაუნახაობა, მიზანშენონილი არ იქნებოდა. ეს მისი კიდევ ერთი დადებითი მხარეა. მაგრამ, მთელმა ამ პროცესმა ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ეს იყო ჩიხური გზა. ისტორიას არ ხელეწიფება უკანასკნელი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღებიც, სწორედ აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ უმთავრესად აქცენტი კეთდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სუსტ მხარეებზე. პრიორიტეტული გახდა არა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი დადებითი მომენტები, არამედ უარყოფ-

ითი კონტექსტი. აი ასეთი იყო რეალობა. მისი არც შელამაზება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“.

1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად, აქედან იწყება საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ის პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდა პერიოდიზაციასთან. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად შეიძლება მივიჩნიოთ 2006 წლის რეფორმა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა, ჩვენი აზრით, უმთავრესად მაინც უარყოფითი, მეცნიერების და განათლების სისტემაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა ალინიშნოს, რომ ეს დაყოფა უფრო მეტად შეესატყვისება სკოლაში ისტორიის სწავლებას, ვიდრე ამ საკითხის მეცნიერულ გაშუქებას, პოპულარიზაციას. მან, სკოლაში ისტორიის სწავლება გვაქვს მხედველობაში, მკვეთრი, რეგრესი განიცადა. (16, 17, 18, 47-48).

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი აქცენტების დასმას, სწორი არჩევანის გაკეთებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს ადვილი საქმე არ გახდავთ და მტკიცნეული პროცესი იქნება. პრიორიტეტულია ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება. ეს სწორი უნდა იყოს და საბჭოთა რეალობს შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ეს შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც მჭიდრო კავშირშია საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების პერიოდიზაციასთან და რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. ამას აქვს მნიშვნელობა. საქმე

ეხება აღნიშნული საკითხის პერიოდიზაციის განსხვავებული ვარიანტს. შეიძლება იყოს სხვა პერიოდიზაცია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება აღბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით საკითხის ამ კუთხით გაშუქება და ვცადეთ ჩვენი პოზიცია დაგვეფიქსირებინა. რა პერიოდები შეიძლება იყოს ეს?

შეიძლება საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესება ორ პერიოდად დაიყოს, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩეული გააჩნია: ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ სინამდვილეში და გასაბჭოების შემდგომ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამგვარ პერიოდიზაციას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. 1921 წელი საქართველოს გასაბჭოება მართლაც იყო მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ზოგადად ამ დარგის და კონკრეტულად ამ საკითხის გაშუქების დროს. ამ საკითხის განხილვა გასაბჭოებამდე სულ სხვა იყო და გასაბჭოების შემდეგ კიდევ სულ სხვა და ამაზე, თვალის დახუჭვა, აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. ამ ორ ეპოქას შორის პრინციპული განსხვავება არსებობს, რაც, უნინარესად, ღირებულებებში გამოიხატება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უპირატესად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

სრულიად განსხვავებულ ვითარებას ვხედავთ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. აქცენტი კეთდება სულ სხვა პრინციპებზე. პრიორიტეტული ხდება ისტორიული მოვლენებისადმი მონისტური მიდგომა. რომელმაც ჩაანაცვლა პლურალიზმი, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა. ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ბრძოლის ფაქტორი, ისტორიული მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომა. საქმე გვაქვს ისტორიული მოვლენების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შეფასებასთან, რომელმაც

ჩანაცვლა თავისუფალი აზროვნება, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. მეორე შემთხვევაში მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია. საქმე ის გახლავთ, რომ საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული და მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია წარმოადგენდა უკანასკნელ ჭეშმარიტებას. მოხდა თავისუფალი აზროვნების ჩანაცვლება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიით, დაქტატით. ეს უკვე სხვა მიდგომა იყო.

პირველ ყოვლისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვარკვიოთ ერთი საკითხი. რა შეიძლება ავიდოთ გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების ათვლის წერტილად? ამას აქვს მნიშვნელობა. გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში. საიდან შეიძლება დავიწყოთ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება? ის მჭიდროდაა დაკავშირებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციასთან და მისი გამოძახილია. ეს გახლავთ ერთი საკითხის სხვადასხვა რაკურსი.

ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გასაბჭოებამდე პერიოდზე საუბარი?

საიდან იწყება ამ პრობლემის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში? XIX საუკუნის დასაწყისი, როდესაც ჩინდება პირველი ინფორმაცია ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე? თუ ამავე საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც გვხვდება პირველი სპორადული ცნობები, საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაზე? ვფიქრობთ, არც ერთი და არც მეორე. საქმე ის გახლავთ, რომ ის მნირი ინფორმაცია, რომელიც ამ საკითხზე მოგვეპოვება 1918 წლამდე, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს. არსებობს მესამე ვერსია. ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენა. პირადად ჩვენ 1918 წლამდე ვარჩევდით რაიმე პერიოდ-იზაციისაგან მაინც თავი შეგვეკავებინა. ჩვენ მიგვაჩინია, რომ 1918 წლამდე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდ-იზაციაზე აქცენტირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ნაადრევი შეიძლება იყოს. რეალურად გასაბჭოებამდე პერიოდი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და სულ რაღაც სამ წელსაც არ მოიცავს. 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე. აი, სწორედ, ეს გახლავთ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში. რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ეს არასრული სამი წელი აღვიქვათ როგორც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში? ეს გახლავთ სავსებით კონკრეტული პერიოდი. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში XIX საუკუნის დასაწყისიდან ან მისი შუა ხანებიდან, 1921 წლამდე. ძალიან ზოგადია და ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა, ხოლო აღნიშნული პრობლემის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედარებით უფრო კონკრეტულია და გაცილებით უფრო მისაღები უნდა ჩანდეს.

და ბოლოს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, პრინციპულ საკითხს, რომლის გვერდის ავლა, ნაყრუება, მიზანშეწონილად, არ მიგვაჩინა. საქმე ეხება გასაბჭოების შემდგომი პერიოდის ცალკე გამოყოფას 1921 წლიდან დღემდე და მის განხილვას არა ორ, არამედ ერთ პერიოდად. რამდენად მართლზომიერი იქნებოდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთად მოაზრება? აი, ეს გახლავთ სწორედ მთავარი. საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება გასაბჭოების შემდგომ ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921 წლიდან დღემდე? რამდენად გამართლებული ჩანს ეს ნაბიჯი? ამ ორ პერიოდს შორის ხომ სერიოზული განსხვავება არსებობს, რომელიც პრინციპულ, კონცეპტუალურ, ხასიათს ატარებს და ამაზე

თვალის დახუჭვა, ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას რამდენად ჩამოგვიყალიბებდა? ამგვარი ნაბიჯი ხელოვნური ხომ არ იქნებოდა? ამიტომ პირადად ჩვენ ამგვარი გაერთიანებისაგან მაინც თავს შევიკავებდით. და თუ მაინც ასეთი აუცილებელია მისი ერთ პერიოდად მოაზრება, თუმცა ამის აუცილებლობას მაინცდა-მაინც ვერ ვხედავთ, მაშინ ის ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. საქმე გვაქვს საკითხის შიდა პერიოდიზაციასთან. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991) და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხილვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1991 წლიდან დღემდე). სინამდვილეში საქმე გვაქვს არა ორ ქვეპერიოდთან, არამედ ორ პერიოდთან, ეს აქტუალური თემა სწორედ ასე გვესახება.

მაში ასე, ამგვარად დაყოფა საქართველოს გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ, ცხადია, დღეს უკვე მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე რეალიებს.

შეიძლება იყოს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციის კიდევ სხვა ვარიანტები, რომელიც ემთხვევა, ფაქტობრივად იმეორებს, ქართული ნაპოლეონიანას პერიოდიზაციას. ამჯერად შევჯერდებით ორ შესაძლო ვარიანტზე. საქმე გვაქვს ხუთ პერიოდად დაყოფასთან:

1. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ რეალობაში.
2. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1918 წლამდე.
3. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
4. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლები.
5. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1991 წლიდან დღემდე.

რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ქართული ნაპოლეონიანას და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდიზაციის დამთხვევის მცდელობა?

ქართულ ნაპოლეონიანას და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებას შორის არსებობს განსხვავება, რომელიც სპეციფიური ხასიათისაა და ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის აღნერასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი კონკრეტულ საკითხთან, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებასთან. პირველი სიუჟეტი გაცილებით უფრო საინტერესო და მიმზიდველი ჩანს, უფრო მეტად გიტაცებს, ვიდრე მეორე. პირველ საკითხზე გაცილებით უფრო მეტი ინერება, ვიდრე მეორეზე. მნიშვნელოვანი ილად, სწორედ, ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ქართული ნაპოლეონიანას ძირითადი ეტაპები და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება ერთმანეთს არ ემთხვევა და განსხვავებულია. ამიტომ მასზე როგორც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების ორ პერიოდზე პერიოდული აღბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს და მიზანშეწონილი არ იქნება. ამ თემაზე ჩვენს ხელთ არსებული ძუნნი ინფორმაციის გამო 1918 წლამდე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პერიოდებად დაყოფაზე საუბარი ალბათ გადაჭარბებული შეიძლება იყოს და უხერხეულად მიგვაწინა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის, ქართული ნაპოლეონიანას მსგავსად, ხუთ პერიოდად დაყოფა, მიუღებელია და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

შესაძლოა, შედარებით უფრო რეალისტური ჩანდეს საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება დავყოთ არა ხუთ, არამედ ოთხ პერიოდად, რომლის ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ არა XIX საუკუნის დასაწყისი, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო, არამედ XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც გაჩნდა პირველი სპორადული ცნობები ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. XIX საუკუნის დასაწყისის ქართუ-

ლი რეალობის შემდეგ, როდესაც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება, კადრს მიღმა რჩებოდა და მათ მიზანს არ წარმოადგენდა ეს, უეჭველად, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ეს მნირი ინფორმაცია, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და მასზე როგორც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების პირველ პერიოდზე საუბარი გადაჭარბებული იქნებოდა და ნააღრევად მიგვაჩნია. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაცია ინდივიდუალურ, ეპიზოდურ ხასიათს იძენს. როგორც უკვე ითქვა, ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში, აღბათ, უპრიანი იქნებოდა თუ ამ მონაკვეთს საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების მოსამზადებელ ეტაპად, უვერტიურად, შესავალად, წინაისტორიად, მოვიაზრებდით და არა ცალკე პირველ პერიოდად.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, რაც კარგი ცხოვრებით, არ იყო განპირობებული.

ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ისტორიული მონაკვეთი, XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1918 წლამდე, როდესაც ჩნდება პირველი სპორადული ცნობები ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირობით მოვიაზროთ როგორც აღნიშნული პრიბლემის გაშუქების მოსამზადებელი პერიოდი, უვერტიურა, შესავალი, წინაისტორია. პირადად ჩვენ ეს საკითხი, სწორედ, ასე გვესახება.

საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ, რომელიც

ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება.

1. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში.

2. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლები.

3. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1991 წლიდან დღემდე.

თითოეული ეს პერიოდი თავის მხრივ კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იყო.

ამ პრობლემის განხილვას, სწორედ, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას, სამ პერიოდად დაყოფა დაუდევით საფუძვლად.

ლიტერატურა:

1. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის საკვანძო მომენტები, საისტორიო ძეგბანი, XII, თბ., 2015,
2. 6. ბარათაშვილი, პოემები, ლექსები, თბ., 1968.
3. ალ. ორბელიანი, ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა, სიტყვა მამულის ტრაპესზე, თბ., 1999.
4. მ. კალანდაძე. ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკამზულ ლიტერატურაში., თბ. 2008.
5. რ. ჩხეიძე, ჩემი წილი ვატერლოო, თბ., 2016.
6. ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა. (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978.
7. 6. ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა., თხზ, ტ. 2. თბ., 1962.
8. 6. ნიკოლაძე, შარშან და შარშანინ, ტ. 3. თბ., 1962.
9. Н. Николадзе, На праздники гаზ „Новое обозрение“, 1889. №2046.
10. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან თბ., 1963.
11. გ. წერეთელი, კიკოლიკო, ჩიკოლიკო და ბუდაბზიკა (მგზავრის წერილები), თბ., 1935.
12. A. Galvet, Napoleon, Paris, 1943.
13. История Франции, т. 2. М., 1972.
14. კვალი, 1900, №2.
15. М. Блок, Характерные черты французской аграрной истории, М., 1957.
16. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით ისნავლება ისტორია სკოლაში, ლიტერატურული საქართველოს, 14 ნოემბერი, 2014.
17. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით დაიწერა ეს ისტორიის სახელმძღვანელო, ისტორიული ვერტიკალები, 23. 2016.
18. მ. კალანდაძე. ისტორიორაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.

თავი მეორე

თავი მეორე კანონის პარომავით გადატვითი საქმიანობის შესხვავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საკითხი არის საინტერესო და ამ რაკურსით მისი გაშუქება აქტუალურად მიგვაჩინა. ეს ამის გაკეთების პირველი მცდელობაა. ეს არცაა გასაკვირი. დიდი ხნის განმავლობაში ეს იყო ტაბუდადებული თემა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

ეს მონაკვეთი, ამ დარგის ისტორიის, კონკრეტულად კი აღნიშნული საკითხის გაშუქების, ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ელიმინირებული, აღმოჩებული, აღმოჩნდა ამ დარგის ისტორიიდან და ფართო საზოგადოების თვალსასწირს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ამავე დროს ის ანტიროვნული, ანტიპატროტული, იყო. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მისი მთავარი ამოსავალი წერტილი გახლდათ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსული შსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების სრული უგულებელყოფა, იგნორირება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს ამ სფეროში და კონკრეტულად აღნიშნულ პრობლემაზე საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიკური არაფერი იყო გაკეთებული. ეს გახლავთ კიდევ ერთი ბოლშევიკური მითი. სინამდვილე სულ სხვაგვარად იყო.

ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. მის მთავარ პოსტულატად 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რეს-

პუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია გვევლინება. ეს სახელმძღვანელოები აღნიშნული დარგის ისტორიის საინტერესო წყაროა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაძათილოთ მთელი რიგი მარქსისტული კლიშეები და სტერეოტიპები, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. მითებს რეალობა ამსხვრევს.

ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მათ საშუალება მისცეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს თავიდან აეცილებინათ ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობა არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოებმა თავისი მისია მეტ-ნაკლებად, შეძლებისდაგვარად, წარმატებით შეასრულეს. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა, ნიშნებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიაზეაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ეს კიდევ ერთი საბჭოთა მითია, რომელიც რეალურ ფაქტებთან შეხების შემთხვევაში მარტივად ბათილდება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაინტყო მუშაობა „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და აქ ნიშილისტური დამოკიდებულება სრულიად უადგილო იქნებოდა.

ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოპულარიზაციის, პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესების ათვლის წერტილად შეიძლება აღებული იქნას არა XIX საუკუნის დასაწყისი ან შუა სანები, ან 1921 წელი, არამედ სწორედ, 1918 წელი. ეს არცაა გასაკვირი და, პირველ ყოვლისა, ორ გარემოებასთან ასოცირდება. დიდი ივანე ჯავახაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენასთან. აი ასეთი გახლდათ სინამდვილე, რომელიც მოსვენებას უკარგავდა ბოლშევიკებს და ეკალივით ერჭობოდათ თვალში. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ეს მონაკვეთი კადრის მიღმა აღმოჩნდა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებულა რეალურად. ეს პერიოდი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად ამ თემის გაშუქების წარსულიდან და ქართული საზოგადოების ცნობიერებაში მრუდე სარკეში აისახა. ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი ხდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს წარმატებების დისკრეტიზაციის ფონზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება. როგორც უკვე ითქვა, ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. ის იყო ანტიეროვნული და ანტიპატრიოტული. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა წმინდა მეცნიერულ, აკადემიურ კალაპოტში დაგვებრუნებინა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ფასეულობები დავსახეთ უფრო ღირებულად. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია ამის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ამ დარგის, კონკრეტულად აღნიშნული საკითხის ევოლუციის, სულ სხვა და შეიძლება გაცილებით რეალისტური სურათი დავდეთ.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებამ 1918-1921 წლებში დემოკრატიულ საქართველოში რესპუბლიკაში სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, ასახვა პოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, პრაქტიკულად ცაიტნოგრამი, უბრალოდ, მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძალიან მწირია და, უმთავრესად, სწორედ, ამ სახელმძღვანელოებით შემოიფარგლება. ეს ძუნი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. სხვა უფრო ხელშესახები მასალა, სამწუხაროდ. უნდა ითქვას, რომ არ გაგვაჩინია. რაც გვაქვს იმას უნდა დავჯერდეთ და ამის გვერდის ავლის ფუფუნება ისეთ პატარა ქვეყანას როგორიც საქართველოა უბრალოდ არ გააჩინია. ყველა ინფორმაციას, ბრალიანს და უბრალოს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

თუ აქამდე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესების არეალი უურნალ-გაზეთების, უურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ფარგლებს არ ცილდებოდა. ახლა მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შეიძინა და გადაინაცვლა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადაგმული ნაპიჯი იყო და ამაზე, თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ბუნებრივია, ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი და შეძლებისდაგვარადა გაშუქებული, ეს ასეც უნდა იყოს. ეს გახლავთ ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მცირე მოცულობის საინტერესო ისტორიული ნარკვევის შექმნის მცდელობასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, ნარმატებულად შეიძლება

მივიჩნიოთ. მას ლირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა აქვს და ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის პოპულარიზაციას ისახავდა მიზანდ. როგორც ჩვენ გვგონია, სახელმძღვანელოების ავტორები ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ისინი ნაპოლეონისადმი სიმპატიებით უნდა იყენებ განწყობილი და მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებენ, ქათინაურებით ამკობენ. ნაპოლეონზე მსჯელობის დროს მათი ზეანეული ტონი ამის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ისინი ქართული ნაპოლეონიანას ბონაპარტისტულ მიმართულებას უნდა მივაკუთნოთ. (1).

ნაპოლეონისადმი სახელმძღვანელოების ავტორების კეთილგანწყობილი დამოკიდებილება თავისებურ ხასიათს ატარებს და, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებებით გამოწვეული ემოციები დომინირებს მის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. „ადმინისტრაციულ ბონაპარტზე“. ის პირველის ჩრდილში აღმოჩნდა და მეორეხარისხოვანი, დამხმარე ფუნქცია დაეკისრა. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არაა და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის გამოძირებისა და სავსებით შეესატყვისებოდა ამ პერიოდის ისტორიულ მეცნიერების მკაფრი მოთხოვნებს.

დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაფრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს მათ მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიძებნის. ამიტომ ამგვარი დამოკიდებულება ძალზე ხისტად მიგვაჩნია და მიუღებელია.

რა თქმა უნდა, მთავარი იყო ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებები და ეს ადვილი გასაგებია. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ კადრს მიღმა არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა რჩებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. სწორედ, ეს მცირე ინფორმაცია გვევლინება ჩვენი განსჯის საგნად, ჩვენს მთავარ წყაროდ. აი ასეთია რეალობა. მისი არც შელამაზება და არც გამუქება, ცხადია, არ ივარგებს.

სახელმძღვანელოებში განიხილავენ ნაპოლეონის მოღვაწეობას და ბუნებრივია, შეეხება მის კანონშემოქმედებითი საქმიანობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა უყურადღებოდ არ რჩება. სახელმძღვანელოებში მასზე მცირე ინფორმაციას წავაწყდებით. ეს ნაპოლეონზე მათი მსჯელობის ერთ-ერთი პლუსია.

ამ მსჯელობისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება სწორი არ უნდა იყოს და საბჭოთა მიდგომის წისქვილზე ასხამს წყალს. პირველ ყოვლისა, მიზანშეწინილად მიგვაჩნია სწორი კრიტერიუმის შერჩევა. ამას აქვს მნიშვნელობა. და ამ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენა ჩამოგვიყალიბებდა. დავიწყოთ იმით, რომ აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. სახელმძღვანელოების ავტორების წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ის ამ საკითხის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა. ეს ხომ სკოლის სახელმძღვანელოებია. ეს მწირი ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალიანებდა და ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია. მთელი ამ მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ეს სახელმძღვანელოები XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.

ეს ძუნწი მასალა საინტერესოა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ რეალობაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაცნოებიერების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ის ძალიან კარგად თავსდება ამ პრობლემის პოპულარიზაციის ჩარჩებში.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას, რომელიც საინტერესოა და დაგვეხმარება ამ თემას კიდევ უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ. საფიქრელია, რომ ამ საკითხში ისინი იმაზე გაც-

ილებით უფრო კარგად უნდა ყოფილიყვნენ ჩახედულები, ვიდრე ეს ამ სახელმძღვანელოების აღნიშნული მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. ეს მასალა, შესაძლოა, ამ თემაზე მათი ცოდნის მხოლოდ ფრაგ-მენტები იყოს.

ახლა შეუდგეთ კონკრეტულად სახელმძღვანელოების განხილვას. მას ორი მხარე გააჩნია: გარეგანი განხილვა და შინაგანი განხილვა. პირველი ზოგად მიმოხილვას ისახავს მიზნად. მეორე კი უფრო კონკრეტულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს სახელმძღვანელოების ძლიერი და სუსტი მხარეები და შეძლებისადაგვარად შეეცადოს ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები.

რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოები არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ის არაა ფაქტების უბრალო გროვა. მაშინ ის საინტერესო არ იქნებოდა. მათ მსჯელობას გააჩნია შეფასებითი დატვირთვა, რაც მას ისტორიოგრაფიულ მუხტის სქენს. ეს საინტერესოა და საშუალებას გვაძლევს ვცალოთ გამოვარკვიოთა თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი. სახელმძღვანელოებს გააჩნია ორი მხარე. ფაქტოლოგიური, როგორ იცნობენ ისინი საკითხის ემპირიულ, ფაქტობრივ მხარეს, და როგორ აფასებენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას. ფაქტი და მისი ინტერპრირება. ორივე ასპექტი, ვთქურობთ, საინტერესო უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების დადებით მომენტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

1. დავიწყოთ იმით, რომ ისინი საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, ასეთი ინფორმირებულობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია. ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ თემაზე მათ მსჯელობას მტკიცე სა-

ძირკველს უქმნის. ფაქტების ცოდნის გარეშე ისტორიკოსი ნაბიჯს ვერ გადადგამს წინ. ფაქტობრივი მასალის ფლობა ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. მნიშვნელოვან-წილად ამით იყო განპირობებული, რომ ისინი სწორედ, გადმოცემდნენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას.

2. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მნიშვნელოვანწილად ეს იმით აიხსნება, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას ისინი პროგრესული-ლიბერალური პოზიციიდან ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში კვალში მიყვებოდნენ ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიას. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები.

3. საკითხისადმი დაბალანსებული მიდგომა ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას რომ სახელმძღვანელოში არ შეინიშნება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხოტბა-დიდება, რაც ლაიტმოტოვად გასდევს აპოლოგეტურ ლიტერატურას და არც ნეგატიური შეფასება, რაც დამასასიათებელი იყო კონსერვატიული წრეებისათვის. ისინი ხაზს უსვამენ „ნაპოლეონის კოდექსის“ როგორც დადებით მხარეებს ისე სუსტ წერტილებს. ეს იყო მეცნიერული მიდგომა, რომელიც, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა გათვლილი.

4. მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ ნაპოლეონი შეძლებისდაგვარად ცდილობდა დაეცვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ეს სახელმძღვანელოების ამ მონაკვეთის კიდევ ერთი დადებითი მხარე უნდა იყოს.

5. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება, ვფიქრობთ. საკსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და იმუამინდელი ქა-

რთული ისტორიოგრაფის ფონზე, როდესაც ამ საკითხზე ქართულ ენაზე, ფაქტობრივად, არაფერი იყო დაწერილი წინდაგადადმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ჯერ კიდევ დიდი ნიკო ნიკოლაძის მიერ დაწყებული საქმის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება, რაც იმ პე-რიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

6. და ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების ამ მოკრძლებულ მცდელობას პოზიტიური მუხტი გააჩნია და ქართულ რეალობაში ამ საკითხის პოპულარიზაციის პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. აქ ყოველგვარი სკეფსისი უადგილოა და საბჭოთა კონცეფციის რეანიმაცია იქნებოდა, რაც, სრულიად მიუღებელია.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ, აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმძღვანელოების ამ მონაკვეთის აპოლოგეტური შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაციის საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

ახლა მოდით კონკრეტულად ვნახოთ როგორაა ეს თემა განხილული 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალ ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში.

სახელმძღვანელოებში, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ექცევა ნაპოლეონის ტრიუმფალურ წარმატებებს, პირველ რიგში „სამხედრო ბონაპარტიზმს“, მაგრამ ამავე დროს გვერდს არ უვლიან და ძალიან მოკლედ განიხილავენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“. ეს ცხადია, ძალიან კარგია, ამ თემის წინ წამოწევა ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების კიდევ ერთი პლუსია (1. 114-118).

დავიწყოთ იმით, რაც მთავარია. ისინი სწორედ გადმოგვცემენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი საკმაო ჩახედულებას იჩენენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაში და ცდილობენ გაერკვნენ მის ავკარგიანობაში. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მხარეა.

ეს თემა საინტერესოდ არის განხილული დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასაკილო სახელმძღვანელოში. აქ, ბუნებრივია, ყურადღება აქვს დათმობილი ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის განხილვას, მის ტრიუმფალურ წარმატებებს, მაგრამ არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას უვლიან დუმილით გვერდს და მოკლედ ჩერდებიან ამ თემაზე. ისინი მცირე ინფორმაციას აწვდიან მკითხველს, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. ეს, ცხადია ძალიან კარგია.

მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული „ნაპოლეონის კოდექსის“ ისტორიული მნიშვნელობა, მის პროგრესული ხასიათი. აი, რას წერდნენ ისინი. „ნაპოლეონის კოდექსში“ სამოქალაქო უფლება ორ საფუძველზე იყო აშენებული – კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობაზე და ინდივიდუალიზმზე“ (2. 120-121). ნაპოლეონმა სცადა შეენარჩუნებინა საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ამაზე მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და კარგად იყითხება, „ამას თან მოჰყვა სისხლის სამართლის კოდექსი და შემდეგ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და კომერციული სამართლის წარმოების კოდექსი“. ამ კაპიტალური იურიდიული ნაშრომით სამოქალაქო წყობილებაში საბოლოოდ და-კანონდა ყველაფერი, რაც რევოლუციით იყო მოპოვებული“. (2. 121). აქ ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. პირველი, ესაა ამ საკითხში მათი ინფორმირებულობა, ჩახედულება, მეორე, ხაზგას-მულია ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გენეტიკური კავშირი რევოლუციისათან. ნაპოლეონი შეეცადა შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ვინაიდან საქმე გვაქვს სკო-

ლის სახელმძღვანელოსთან, ნაპოლეონის მიერ მიღებულ სხვადასხვა კოდექსებზე აპელირება, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ სასურველი ხომ არ იქნებოდა მათი თარიღების მითითება? ყოველ შემთხვევაში „ნაპოლეონის კოდექსის“ მაინც? ამას შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა. 1804 წლის 21 მარტს მიიღეს „სამოქალაქო კოდექსი“ რომელსაც ისტორკოსებმა „ნაპოლეონის კოდექსი“ უწოდეს, 1808 წლის 1 იანვარს მიიღეს „კომერციული კოდექსი“, ხოლო 1811 წლის 1 იანვარს: „სისხლის სამართლის კოდექსი“ (3. 490-491).

„ნაპოლეონის კოდექსის“ დადგებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს. ამავე დროს მათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ის სიახლეები, რომელიც ნაპოლეონმა დანერგა განათლების სფეროში. ხაზს უსვამენ მის ისტორიულად პროგრესულ ხასიათს, (2.221). „ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა სახალხო განათლების იმ ორგანიზაციას, რომელიც დღემდე არსებობს სრულიად უცვლელად. მართალია, მის დროს დაბალი საფეხურის სკოლები არ არსებობდა, მაგრამ, უმაღლეს და საშუალო განათლების დარგში დღემდე არსებითი ცვლილება არ მომხდარა“ (4. 128).

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადგებით მომენტებთან ერთად აღნიშნავენ მის სუსტს მხარეებს. სავსებით ვეთანხმებით დ. უზნაძეს და ივ. გველესიანს, როდესაც ხაზს უსვამენ, იმას, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უფრო სუსტი იყო. „1799 წელს საკანონმდებლო უფლება აღმასრულებელ უფლებას დაუმორჩილეს“ (2. 118).

მათ ამ საქმეში არც ნაპოლეონის როლის ხაზგასმა ავინწყდებათ. „მართალია, მის შედგენაში უმთავრესი როლი სპეციალიტის ეკუთხოდა, მაგრამ მთავარი საკითხების გადაწყვეტაში. პირველი კონსულიც ხშირად იღებდა მონაწილეობას და ამიტომ მისი ღვანლის ამ მხრივ დაუფასებელია“. (2. 121). უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ აზვიადებენ ამ საქმეში ნაპოლეონის როლს, რაც იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში, ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად მიგვაჩნია.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას, უწინარესად, ასეთად მიგვაჩინია ნაპოლეონის მმართველობის სამხედრო ხასიათზე აპელირება. აი რას წერდნენ ისინი. „გენერალ ბონაპარტეს იდეალს ის შეადგენდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია სრულად სამხედრო ორგანიზაციის დაემსგავსებინა. მოხელეები მისთვის ოფიცრები იყვნენ. ქვეშევრდომები კი სამოქალაქო წყობის ჯარისკაცები“. (2. 121).

ნაპოლეონის სამხედრო დიქტატურაზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყო. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი უან ტიულარი, რომელიც ნაპოლეობის თაყვანისმცემელთა რიგებს ძალიან ძნელი იქნებოდა მივაკუთნოთ, აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენდა სამხედრო დიქტატურას. სახელმწიფო ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამოქალაქო ხასიათი, ხშირად სახალხო რეფერენდუმზე განსახილველად გამოჰქონდათ სახელმწიფო გადაწყვეტილებები. ეს იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ და უცხო იყო, როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე ლიბერალური რესპუბლიკისთვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნაპოლეონის რეჟიმს ფართო ლავირების პოლიტიკის საშუალებას უქმნიდა, რასაც ის ახორციელებდა კიდეც“. (5. 6). სიესის თქმით: „ეს იყო სამხედრო ხელისუფლებიდან ყველაზე უფრო სამოქალაქო“. სხვა სახელმძღვანელოებში აღნიშნული საკითხის განხილვამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინა, მაგრამ მისი გაშუქების მცდელობა დადგებითად მიგვაჩინია. ამ საკითხისადმი გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაცნობიერების კიდევ ერთ მცდელობასთან გვაქვს საქმე. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიოს ისტორიის პირველი ლექტორის, სიმონ ავალიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოსაზრება თითქოსდა „ახ-

ლადდაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველად წაიკითხა მსოფლიოს ისტორიის კურსი და სათანადო გზა და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“ (7. 366). მსოფლიო ისტორიის კურსის პირველი ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „არაჩეულებრივად განათლებული პიროვნება, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ეკონომისტი, სოციალოგი, ბატონი სიმონ ავალიანი იყო“. (8. 363. 9. 9).

ის, როგორც ამ დარგის სპეციალისტი, აქტიურად აღმოჩნდა ჩაბ-მული „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში. მან დაწერა „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადდგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ეს ახალი ისტორიის სწავლების და შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში მის მთავარ დამსახურებად გვევლინება. მართალია, მას საგანგებო გამოკველევები ამ დარგში არ დაუწერია, მაგრამ ერთი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწრო. ეს გახლავთ მისი ჩართულობა „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში, რაც, ეტყობა, უნებლიერ გამორჩა მხედველობიდან ისტორიკოს ლალი ფირცხალავას, თავისი საინტერესო სტატიაში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“. რაც, ამ სფეროში სიმონ ავალიანის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოადგენას ვერ ვვიქმნის. (9. 9). ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღვევდგინა რეალობა. (10. 11).

სიმონ ავალიანი „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, განიხილავს ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას და მოკლედ მის კანონშემოქმედებით საქმიანობაზეც ჩერდება, (12. 184-186). რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ნაპოლეონის პოლიტიკას, მის ტრიუმფალურ წარმატებებს. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ უყურადღებოდ არც მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა რჩება და ძალიან

მოკლედ განიხილავს მას. აი, რას წერდა იგი. „ნაპოლეონმა შეადგინა კომისია დახელოვნებული იურისტებისაგან, კომისიამ დაამუშავა სამოქალაქო კოდექსი ან კრებული კანონებისა, რომელსაც ეწოდება „ნაპოლეონის კოდექსის“ სახელი, კოდექსი აღიარებდა, რომ მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის ნინაშე, მოქალაქეს სრული თავისუფლება აქვს ქონების განკარგვისა. კოდექსი იმდენად მარტივი შინაარსის იყო, რომ ბევრი სახელმწიფოსათვის სანიმუშოდ გადაიქცა. სამოქალაქო კოდექსის შემუშავების შემდეგ დამუშავებული იყო კიდევ კოდექსი სისხლის სამართლისა და სასამართლო წარმოებისა“. (12. 185-186). ყურადღებას იპყრობს მისი ინფორმირებულობა, რაც ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ნაპოლეონის კანონშემოქმედებისადმი მისი დამოკიდებულება დადებითია. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული „ნაპოლეონის კოდექსის“ ისტორიულად პროგრესული მნიშვნელობა. ვინაიდან საქმე ეხება სკოლის სახელმძღვანელოს სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო „ნაპოლეონის კოდექსის“ მიღების თარიღი, ეს მოხდა 1804 წლის 21 მარტს. ამას შემცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

სიმონ ავალიანი როგორც ლიბერალი ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას? ნაპოლეონის დროს აბსოლუტიზმის აღდგენაზე საუბარი. ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვდა და დამაჯერებელი არ უნდა იყოს. (12.186).

ნაპოლეონის დროს მართლაც მოხდა ძველი რეუიმისკენ შემობრუნება, მაგრამ ეს განხორციელდა სულ სხვა ხარისხში და ეს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას. ის ცდილობს ხაზი გაუსვას ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამით მას სურს თავიდან აიცილოს როგორც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის აპოლოგეტური შეფასება, ისე ნეგატიური დამოკიდებულება. საქმე გვაქვს აღნიშნული პრობლემის გაშუქების დაბალანსებული მიდგომის მცდელობასთან, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მომენტია. ეხება რა ნაპოლეონის კანონშემოქმედების

სუსტ მხარეს ის რატომდაც კრინტს არ ძრავს მთავარზე და არ-სებითზე. აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს საკანონმდე-ბლობზე. ეს უკანასკნელი ძალიან სუსტია. ნაპოლეონისთვის, როგორც ერთპიროვნული მმართველისათვის ხელისუფლების დანაწილების იდეა უცხო იყო. აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო.

ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული ცნობილი ისტორიკოსი, შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე წერეთელი. ეს არცა გასაკვირი. ის იმხანად ქუთაისში სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. მის კალამს ეკუთხის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო, სადაც ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას, რათემა უნდა, სათანადო ყურადღება ეთმობა. ის არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებას უვლის გვერდს და ორიოდე სიტყვით მასზე ჩერდება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია „1804 წელს შედგენილი იქნა კანონთა ახალი კრებული, რომელსაც ნაპოლეონის კოდექსი (კრებული) დაერქვა. ახალი კრებულის შინაარსის უმთავრესი საფუძველი იყო ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია. გარდა ამისა ნაპოლეონმა შეწყვიტა რევოლუციის დროს საფრანგეთიდან ლტოლვილ პირთა დევნა და ნება მისცა მათ სამშობლოში დაბრუნებულიყნენ, თუმცა ჩამორთმეული ქონება მათ უკან აღარ დაუბრუნა“. (13. 279). ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნა და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

დავიწყოთ იმით, რომ აქ „ნაპოლეონის კოდექსის“ მიღების თარიღი მითითებულია. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული „ნაპოლეონის კოდექსის“ ისტორიული მნიშვნელობა. მისი პროგრესული ხასიათი. ძველი რეჟიმის შემდეგ ეს ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ხაზგასმულია კანონის წინაშე თანასწორობა. მისი დადებითად შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარედ გველინება. ეს მარტივი, პრიმიტიული მსჯელობა შეიცავს მინიშნებას ნაპოლეონის მიერ რევ-

ოლუციის სოციალური მონაპოვარის შენარჩუნებაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლიუ-სია. აქვე დავძენთ, რომ იმის თქმა თითქოს „ჩამორთმეული ქონება მათ უკან აღარ დაუბრუნეს“. (13. 79). ალბათ, მაინც დიდ სიფრთხ-ილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ცხადია, ემიგრანტები უნდა იგულისხმებოდნენ. აქ, ბუნებრივია, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი მიდგომა აპოლოგეტური ხომ არაა? ამიტომ სასურველი იქნებიდა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სუსტ მხა-რეებზე მინიშნება კიდევ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არის საუბარი ისტორიკოს თეიმურაზ ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის“ პრველ ეროვნულ სასკო-ლო სახემძღვანელოში. აქ, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას. მის ტრიუმფალურ წარმატებებს. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ უყურადღებოდ არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანო-ბა რჩება და ლაკონურად განიხილავს „ნაპოლეონს კოდექს“. „1804 წელს ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი ანუ კანონთა კრებული გამოქვეყნდა, რომელმაც ნაპოლეონის კოდექსის სახელწოდება მიიღო. მას საფუძვლად კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანას-წორობა დაედგა“. (14. 162). სწორი შენიშვნაა. მითითებულია ნაპო-ლეონის კოდექსის“ თარიღი. „ნაპოლეონ I-მა ყოველგვარი ზომები მიიღო თავისი უზენაესი ძალაუფლების გასაძლიერებად. მან გააუქმა ან საგრძნობლად დაასუსტა ის საკანონმდებლო დაწესებულებანი, რომელსაც მისი განუსაზღვრელი ძალაუფლება ოდნავათ შეეძლო შეეზღუდა. ამასთან ერთად ნაპოლეონმა ძველი მონარქიის ბევრი დაწესებულება აღადგინა, აღადგინა სავსეპითთ ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია“. (14. 162). კონსულობის პერიოდში 1804 წელს როდესაც შემუშავებული იქნა კოდექსი, ნაპოლეონი ჯერ ისევ პირ-ველი კონსული იყო. ამიტომ ნაპოლეონ პირველის სახელით მისი მოხსენიება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და უხერხუ-ლად მიგვაჩინია. ის იმპერატორად ეკურთხა მოგვიანებით 1804 წლის დეკემბერში. აი ამის შემდეგ ნაპოლეონ პირველად მისი მოხსენიე-

ბა სავსებით მართლზომიერი იქნებოდა. მანამდე კი ჯობია, ალბათ, მაინც თავი შევიკაოთ ამის გაკეთებისგან. ეს საკითხი ჩვენ, სწორედ, აი ასე გვესმის. ნაპოლეონი იყო ცეზარისტული რეჟიმის ტიპიური წარმომადგენელი. მისი მმართველობა ავტორიტარულ ხასიათს ატარებდა. ის ფლობდა ფართო შეუზღუდველ ძალაუფლებას. ამაში სახელმძღვანელოს ავტორი ბ-ნ-ი თეიმურაზ ჭუმბურიძე ცამდე მართალია. საკანონმდებლო ძალაუფლების დასუსტებაზე მინიშნება საკმაოდ გამჭვირვალეა და სავსებით მისალები უნდა ჩანდეს. ეტყობა, ეს მას ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის აქილევსის ქუსლად ესახებოდა. მას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობირებული „ნაპოლეონის კოდექსის“ პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა და მას დადებითად აფასებდა. ცდილობდა გაეცნობიერებინა მისი ღირსება-ნაკლოვანებები. ტოლობის ნიშნის დასმა ძველი რეჟიმის დაწესებულებებს და ნაპოლეონის ეპოქის პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის. მიუხედავად მათ შორის არსებული გარეგნული მსგავსებისა, ამის უარყოფა, არ შეიძლება, განსხვავება პრინციპულია, თვისებრივ, ხარისხობრივ, ხასიათს ატარებს და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ძველი რეჟიმის დროს არსებული პრივილეგიები, ჩაანაცვლა კანონის უზენაესობამ, ადამიანის და მოქალაქის უფლებებმა. ეს თვისებრივი სიახლე, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რასაც, სხვათა შორის, არც სახელმძღვანელოს ავტორი არ უგულებელყოფს და ამაში ის სავსებით მართალია.

გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის აკად. ერნესტ ლავისის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს ქართულად თარგმნა, რა თქმა უნდა, სავსებით გამართლებული ჩანდა და ამ, სფეროში არსებული ვაკუუმის შევსებას კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. როგორც არის გაშუქებული ე. ლავისის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში ნაპოლეონის კანონშემოქმდებიოთი საქმიანობა? ჩვენს ხელთ არსებული მნირი ინფორმაციის გამო მთავარა ამოცანად ფაქტის კონსტანტაცია მიგვაჩნია. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა და სავსებით საკმარისია რომ ამ თემაზე წარმოდგენა ჩამოგვიყალ-

იბდეს. ის ნაპოლეონის მოღვაწეობის გაშუქებასთან ასოცირდება, მისი გამოძახილია. აქ ნაპოლეონის მმართველობაზე მსჯელობა თავისებურ ხასიათს ატარებს და ეს, უნინარესად იმით გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება ნაპოლეონის პოლიტიკის ევროპულ კონტექსტზე, ნაპოლეონის ომებზე. პრიორიტეტულია ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკის განხილვა. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას მისი გაშუქება ავტორის მიზანი, ეტყობა, არ იყო, ასე აღმოჩნდა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა კადრს მიღმა. (15. გვ. 26-32). აი, ასეთია რეალობა.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზეც მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ მას ექნებოდა გაგრძელება, რომელიც მის მეორე ნაწილად მოიაზრებოდა. ის, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებდა ახალი ტიპის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც იმ კარგი ტრადიციის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. ამას მოყვებოდა საკვლევი და პოპულარული ლიტერატურა, რაც მათი ჩანაფიქრის მესამე ნაწილი გახლავთ. აი, ასე გვესახება მათი გეგმა. ჩვენი აზრით, გაცილებით მართლზომიერი უნდა იყოს თუ ამ პერიოდზე ვიმსჯელებთ არა იმის მიხედვით, რისი გაკეთებაც მოასწრეს. ეს ძალიან ცოტაა, არამედ მათი ჩანაფიქრის მიხედვით. ეს გაცილებით უფრო სერიოზულად გამოიყურებოდა. ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ამ საქმეს გაგრძელება არ მოყოლია. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. პირველი ნაბიჯები, სწორად გადადგეს, კარგად გათვალისწინების ნამდვილად არ იყო ურიგო. დროის ამ მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტ-ნოტში, მეტის გაკეთება, უბრალოდ ველარ მოასწრეს. საქართველოს

ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. რაც შეძლეს გააკეთეს. ეს მათი წარმატება იყო და ამის, დაუნახაობა, ცხადია, არ ივარგებს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩდეთ. ამ სახელმძღვანელოებისადმი ხისტი დამოკიდებულება, რაც პრიორიტეტული იყო საბჭოთა წლებში, აპოლიგეტური მიდგომით არ შეიძლება ჩავანაცვლოთ. ეს უკვე სულ სხვა უკიდირესობა იქნებოდა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძეგს. ჩვენ ვცადეთ, გამოგვენახა საშუალებო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ადვილი საქმე არ იქნებოდა, მაგრამ რეალურად სხვა გამოსავალი არ არსებობს. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული და. უპირატესად, აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე პლურალიზმზე პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ როგორც აპოლოგეტური მიდგომა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს აპოლოგეტურ ლიტერატურას, ისე შეუფასებლობას, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი შემდგომი პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევთი არ იყო და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის გამოძახილია.

ამ თემაზე საუბარი აქ შეიძლება დაგვემთავრებინა, რომ არა ერთი გარემოება. ეს ამ სახელმძღვანელოების ერთი მხარეა, რომელსაც გააჩნია შემეცნებითი დატვირთვა. მას აქვს მეორე მხარე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება მივაპყროთ, ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო საკითხს. ამ კუთხით ეს თემა გაშუქებული არ ყოფილა. ეს სახელმძღვანელოები დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრაგს, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღე-

საც არ დაუკარგავს, აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს ამ დარგის განვითარების და კონკრეტულად აღნიშნული პრობლემის შესწავლის, საინტერესო საბუთს, წყაროს. ამ კუთხით საკითხის განხილვამ ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს საშუალებას მოგცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ-სებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი. გავაბათილოთ მთელი რიგი საბჭოთა მითები, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, მტკიცედ ინერგებოდა ფართო საზოგადოების ცნობიერებაში.

თუ განვაზოგადებთ ამ ვითარებას, ვფიქრობთ, საინტერესო სურათის იკვეთება. აღნიშნული საკითხის გაშუქებას მკვეთრად გადმოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და, უწინარესად, ითვლის-წინებს საბჭოთა მიდგომის გადახედვას, მის არგუმენტირებულად, მეცნიერულად, გაბათილებას. საბჭოთა კონცეფცია იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული და წინამორბედების წვლილის სრული იგნორირება, უგულებელყოფა ედო საფუძვლად. გვიმტკიცებდნენ, რომ ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტური არაფერი ხდებოდა. სინამდილეში სულ სხვაგვარად იყო. ასეთი მიდგომა მეცნიერულად მცდარი და ანტიეროვნული იყო. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მიერ ამ დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილი ელიმინირებული, ამოღებული აღმოჩნდა ამ დარგის განვითარების ისტორიიდან, ხოლო იმ წლებში გამოსული „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულო სასკოლო სახელმძღვანელოები კი მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. თითქოს არც კი არსებობდა. გაქრა, გაუჩინარდა. ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა რეალური სურათი. რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი სხნის განმავლობაში, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხდებოდა. სულ სხვა აქცენატები დაკვირვით.

զբագլետ ամ սակոտեն ցանեոլվա այսպահուր ჩարհոյքի դաշտեթրունեցնա. ամ սակոտեն ჩզեն մտացար Եպարու կո 1918-1921 Ելեքի սյուզերնուլ Սայարտազելոս Ռյասպանուկամո ցամոսալո ախալո իսգորոնու Տորզելո երոնուլո Սասկոլո Սաելմածլանելու ցազելոնեքա. (այս ցեագու, մեցագելոնեմո ցայէվս Ռոցորու Ցողագագա ախալո իսգորոնու. ուստի յոնցը բարձրագու նապոլեոնու յանոնշմոյմեցեքու տոտո Սայմունոնեմո). (1. 16. 17. 18. 19, 20, 21).

ցասածքոյնեմու վարուլ Ռյալոնեմո նապոլեոնու յանոնշմոյմու-սա դա մոռցանցոնեմու ցամույքենու ապոցագ, յուլմինացուագ, 1918-1921 Ելեքի սայարտազելոս դամոյուրագուլո Ռյասպանուկա մոցահնու. նապոլեոնու յանոնշմոյմոյմեցեքու տոտո Սայմունոնեմո դանոնցը յանոնշմոյմու ամ Տրոն-լու յուրու նանունու. գուգու յացանուշուլու մոյր 1918 Ելու 26 օնցարս տօնուսու Սաելմոնու շնոցը յանոնշմոյմեցեքու ցասնա, Ռոմելու ցայարտազելոս դամոյուկուցեքու ալացցենու յուզերնուրագ ցասմա դա 1918 Ելու 26 մասու Սայարտազելոս դամոյուկուցեքու ցամունչագեքա, ամ դարցու իսգորունու յութապոնքու մոցահնու. ամ Տրոն-լու յուրու նապոլեոնու դամոյուկուցեքու ամուս յյուր ցազելոնեքա.

1. յնոնարյասագ յնդա ալոնունու, Ռոմ ամ սակոտեն արացուտար Ռյացըս, Սգացնացուա Ռոցորու յս յրու Շեեցազու, Սածքոտա ցագ-մոսաեցուան Շեուլու հանցես, Տոնամցուլու ացցու ար Ֆյոնու. ամցարո յայցուսու. ցեագու, Կարուց նուացածի ար ալմունեցու յուլո, Շեմտեցացու ար յուուլո դա մալից პոլուցունուրեցու յուլո դա ուցուուցունուրեցու ոյու. մոսու մտացարու դեպուլու ցածլու նապոլեոնու յանոնշմոյմոյմեցեքու տոտո Սայմունոնեմո Շեսնացլու Սայմենո 1918-1921 Ելեքի սայարտազելոս յուզերնուլո Ռյասպանուկա նուլունու յուրու դամոյուկուցեքու ամ տալսաթրուսու արացուրո ցազետեցու. 1918-1921 Ելեքի սայարտազելոս յուզերնուլո Ռյասպանուկա ցամոսալո „աս-ալո իսգորոնու“ Տորզելո յրոցնուլո Սասկոլո Սաելմածլանելու մոցունույքու սյել նուլու ցայէվու. յս ոյու մորոցու Սածքոտա մոտո. արացուտար Եպարքաս, Սգացնացուա, ամ Ելեքի ացցու ար Ֆյոնու, նապոլեոնու յանոնշմոյմոյմեցեքու տոտո Սայմունոնեմո Շեսնացլամ ասաեցա

პოვა „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აი ასეთია რეალობა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ა) 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკაში ქართულ რეალობაში პირველად იქმნება პრეცედენტი მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, ქართულ ენაზე სწავლების. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ბ) როგორც ირკვევა, ამ სფეროში საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას თავის საქმიანობა ნულიდან კი არ დაწყო, არამედ გარკვეული ტრადიცია, დახვდა. აი, ასე გვესახება რეალობა.

2. უწინარესად, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა აღნიშნული საკითხით დაინტერესების საერთო სურათი და დაგვეზუსტებინა საკითხის პერიოდიზაცია, რომელიც ქართული საზოგადოების ცნობიერებაში, უმთავრესად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ ამ საკითხის შესწავლის საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილი ელიმინირებული, ამოღებული იქნა საერთოდ, ამ დარგის და კონკრეტულად აღნიშნული საკითხის შესწავლის, ისტორიიდან და მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა რეალობა, როგორც ეს სინამდვილეში იყო. ამ მონაკვეთმა დაიბრუნა თავისი კუთვნილი ადგილი საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კონკრეტულად კი ქართულ ნაპოლეონიანას განვითარებაში, მის მთავარ თეზად 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკი გამოსული „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების რეანიმაცია გვევლინება, სადაც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა უყურადღებოდ არ რჩება და სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. სწორედ ეს მწირი ინფორმაცია გვევლინება ჩვენი განსჯის საგანად. ამ შემთხვევაში ის ჩვენი მთავარი წყაროა.

3. როგორც ირკვევა, ნაპოლეონის ცხოვრებითა და მოღვაწეობით, მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობით, დაინტერესების პირველმა სერიოზულმა, სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქა-

რთულ ნაპოლეონიანაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში გამოცემულ „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, სადაც, ბუნებრივია, ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას, მის კანონშემოქმედებითი საქმიანობას, „ნაპოლეონის კოდექსს“ სათანადი ყურადღება და ადგილი აქვს დათმობილი. ეს ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ პლუსად გვევლინება. საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, ასახვა პოვა, „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აი ეს იყო რეალობა, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა ყველანაირად ცდილობდა, დაემალა ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ ამაოდ დაშვრა. მეტის გაკეთება ამ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მათ უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. რას იზამ, საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი იღებად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ მონაკვეთმა ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ სუსტი, მკრთალი. კვალი დატოვა, ვიდრე ეს რეალობაში შეიძლება ყოფილიყო. საქმე გვაქვს ამ სიახლეების, ნოვაციების, წარმატებების, კონტურებისან, სიმპტომებისან, პირველ ნიშნებთან, რაც ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩინია, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამ პრობლემის პოპულარიზაცია, შესწავლის, აკვანი დაირნა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. როგორც ჩანს, საქართველოში ახალი ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ამ პრობლემის სწავლებამ, შესწავლამ, პოპულარიზაციამ შეუქცევადი ხასიათი შეიძინა, არა 1921 წელს, საქართვე

ლოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს ადრე ეგონათ, არამედ გაც-ილებით უფრო ადრე 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა, „ახ-ალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქარ-თული წაპოლეონიანას, წაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის, მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის „წაპოლეონის კოდექსის“ გაშუქების დროს სწორი კურსი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორი გზით მიდიოდა, მეცნიერულ აქცენტებს სვამდა და, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე გახლდათ ორიენტირებული, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბ-ლიკაში გამოსული „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის წათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. პირველი წაბიჯი სწორად გათვალეს. დასაწყისი ურიგო არა იყო. რისო გაკეთებაც მოსწრეს გაკეთეს. ეს, ცხადია, ძალიან კარ-გია. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, სრულიად უადგილოა და არანაირი საფუძველი არ გააჩნია. არსე-ბობს დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით განვითარდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართუ-ლი წაპოლეონიანა იძულებული შეიქმნა არჩეული გზიდან გადახვია და სულ სხვა მიმართულებით წასულიყო. წაპოლეონის კანონშემო-ქმედებითი საქმიანობისადმი „წაპოლეონის კოდექსისადმი“ დადები-თი დამოკიდებულება უარყოფითმა მიდგომამ ჩაანაცვლა. ამგვარი დამოკიდებულება თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგ-მულ წაბიჯად, ძნელია მიერჩიოთ.

5. ქართული ნაპოლეონიანას ევოლუცია, მათ შორის ცხადია ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, სწორხაზოვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა გადასახედიდან მოჩანს. მან საინტერესო ფერისცვალება განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად, ზიგ-ზაგისებურად გვესახება. პირველად მან ქართულ პუბლიცისტიკაში, ჟურნალისტიკაში პოვა გამოძახილი, ხოლო 1918-1921 წლებში მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, ასახვა პოვა „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მეტის გაკეთება დროის იმ მცირე მონაკვეთში მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს, რაც შეძლეს ის გააკეთეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის, დადებითი შეფასება ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან.

მკვეთრად შეიცვალა ვითარება საქართველო გასაბჭოების შემდეგ. ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებამ, მისი კანონშემოქმედებითმა საქმიანობამ „ნაპოლეონის კოდექსი“ შესწავლამ, მეცნიერული ელფერი შენარჩუნა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვიწროდოგმატურად, გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება ხისტმა მიდგომამ ჩაანაცვლა. პრიორიტეტული გახდა საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა. მის კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება. ეს აკნინებს ნაპოლეონის კოდექსის ისტორიულ მნიშვნელობას. რაც, აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ ნარმოდგენას ვერ გვიქმნის.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ნაპოლეონიანა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის, „ნაპოლეონის კოდექსის“, შესწავლის ოპტიმალურ ხანად შეიძლება მოვიაზროთ. ის ცდილობს გათავისუფლდეს ვიწროდოგმატურიად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენისაგან. სწორ გზას დაუბრუნდეს, სწორი

აქცენტები დასვას, სწორი არჩევანი გააკეთოს, პრიორიტეტული კვლავ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება ხდება.

6. ამ პერიოდის შეფასების სწორი კრიტერიუმი ასე გვესახება. ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხის შეფასების დროს. გაცილებით უფრო მართლზომიერი იქნებოდა ვიხელმძღვანელოთ არა იმის მიხედვით. რისი გაკეთებაც მათ მოასწრეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ საკმაოდ ცოტაა და ამ სფეროში მათ მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს, არამედ მათი ჩანაფიქრის მიხედვით, რომელიც გაცილებით უფრო სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს და არ ითვალინებდა მხოლოდ ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერას. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამას ექნებოდა გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც სათავე დაუდო ახალი ისტორიის პირველმა ეროვნულმა სკოლის სახელმძღვანელოებმა. ეს მათი ჩანაფიქრის მეორე საფეხური იქნებოდა. მესამე საფეხური კი, ალბათ, ითვალისწინებდა ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლას. აი, ასე გვესახება, ამ დარგში მათი გეგმა. ვფიქრობთ. ეს გაცილებით უფრო ადეკვატური იქნებოდა. რა უყოთ, რომ მათ ვერ მოასწრეს თავისი განზრავის ბოლომდევ მიყვანა და, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მისი შუა გზაზე მიტოვება მოუხდათ. ეს ხომ მათი ბრალი არ იყო. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე გამოდგა. (ვფიქრობთ, იგივე შეიძლება ითქვას ამ წლებში ძველი მსოფლიო ისტორიის და შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქებაზე).

მაშ ასე, თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შეფასებისას სწორი მეცნიერული გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პრო-

გრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოზიტიურად შეფასება. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა: რომელსაც ბუნებრივია გააჩნია თავსი პლუსები და მინუსები. მკვეთრად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქმე გვაქვს საკითხისადმი ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქესისტულ-ლენინური მიდგომასთან. აპელირებენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე. ეს იყო საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება უარყოფითმა მიდგომამ ჩაანაცვლა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს, სწორი არჩევების გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას. ორიენტირებული არიან ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებით ასპექტებზე. ეს გახლავთ სწორი მიდგომის რეანიმაცია და მისი განვითარების მცდელობა. ეს შრომები აღნიშნული საკითხის გაშუქების მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მოვიაზროთ. მათი მნიშვნელობა ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
2. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნე), თბ., 1919.
3. История XIX века, под ред. Е. Лависса и А. Рамбо, том 1. М., 1938.
4. ე. ჭარლე, ნაპოლეონი, თბ., 1942.
5. ჟ, ტიულარი, ნაპოლეონი, თბ., 2012.
6. ჟ. თიულარი, Наполеон, М., 1996.
7. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ-იასონის-ძე ნათაძე, თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. თბ., 1959.
8. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
9. ლ. ფირცხალვა, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
10. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
11. მ. კალანდაძე, სიმონ ავალიანი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 10. თბ., 2016.
12. ს. ავალიანი, ახალი ისტორია (XIX -XX საუკუნეები) თბ., 1920.
13. ალ. წერეთელი, მსოფლიოს ისტორია, ნაწილი 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
14. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
15. ე. ლავისი, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1918.
16. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
17. მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.

18. მ. კალანდაძემ, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
19. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიას შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
20. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ეფოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1-2. 2016.
21. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13, თბ., 2017.

თავი მესამე

თავი მესამე კანონურობის გადაცემის საქმიანობის შესრულება საპროტო პრინციპის ქართულ ისტორიოგრაფიაში

ეს არის საქართველოში წაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის მეორე პერიოდი. წაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩინა. როგორც პროფ. ბორის პორშნევი იტყოდა, ეს გახლავთ კიდევ ერთი „ქალწულებრივი თემა“. როგორ შეიძლება შევაფასოთ ის? ამ საკითხის აპოლოგეტური შეფასება რაც ძალუმად შეინიშნებოდა საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში. დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩინდეთ. ეს აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას უკრ შეგვიქმნის. მისი მეტისმეტად მუქ ფერებში წარმოჩენა გადაჭარბებული უნდა იყოს. ორივე უკიდურესობა მიუღებელი ჩანს. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ეს საშუალებო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოიკვეთოს როგორც შუქი, ისე ჩრდილი და ავსხნათ მათი გამომწვევი მიზეზები. აი ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. (1).

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ემპირის, ფაქტოლოგის, დონეზე, პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული

ისტორიოგრაფიის პლუსია. საკითხისადმი მიღებომამ მეცნიერული ელფერი შეინარჩუნა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტული-ლენინური იდეოლოგის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას, უნიფიკაციას, რაც იმით გამოიხატა, რომ საკითხისადმი მარქსისტილ-ლენინური მიღებომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ამის ლოგიკური დაგვირგვინება იყო. განსხვავებული აზრისადმი რბილად, რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულება, საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად გვევლინება. დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერები სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო. (1)

ის მკვეთრი მეტამორფოზი, რომელსაც ადგილი აქვს საერთოდ ამ დარგში და კონკრეტულად ამ საკითხში, XX საუკუნის დასაწყისში, აშკარად ცილდება, წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმებთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე იმ სიახლეებთან და ნოვაციებთან, რასაც ადგილი ჰქონდა ამ სფეროში. რა თქმა უნდა, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული.

საქართველოს გასაბჭოებამდე აქცენტი კეთდებოდა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოზიტიურ ასპექტებზე და მას დადებითად აფასებდნენ. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიღებომასთან, რომელიც, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ლირებულებებზეა ორიენტირებული, რომელსაც, ბუნებრივია,

გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. არსებითად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს, უპირატესად, იმით გამოიხატა, რომ სულ სხვა აქცენტებს სვამდნენ. ყურადღებას ამახვილებდნენ „ნაპოლეონის კოდექსის“ ბურუუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე, რაც ნებით თუ უნებლიერ აკნინებს მისი ისტორიულ მნიშვნელობას. საქმე გვაქვს საკითხისადმი წმინდა კლასობრივ დამოკიდებულებასთან, რაც დამახასიათებელი გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ეს, ცხადია, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქნის. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ჩრდილი დომინირებს შექმნებით. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი დადებითი დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში უარყოფითმა მიდგომაში ჩაანაცვლა, რაც, წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას სპეციალური ნაშრომი ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაზე არ დაუწერია. ამ თემამ, უმთავრესად, ასახვა პპოვა ნაპოლეონისადმი მიძღვნილ სოლიდურ გამოკვლევებში და სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში, სკოლის და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. ბუნებრიოვია, მოკლედ განიხილავდნენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას. ამას გვერდის ავლა. წაყრუება, სწორი არ იქნება და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონზე თითქმის არაფერი დაწერილა. ამიტომ, ძირითადად, თარგმნილ ლიტერატირაზე გვიხდება აპელირება, რომელიც ნაწილობრივ გვეხმერება ამ ხარვეზის შევსებაში. ის, რა თქმა უნდა, ქართული ნაპოლიონიანას შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ამიტომ თარგმნილი ლიტერატურისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდი სიფრთილეს მოითხოვს და გამართლებულად არ გვესახება.

დავიწყოთ სასწავლო ლიტერატურით. საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებამ საინტერესო ფერისცვალება განიცადა და საკმაოდ რთული გზა განვლო. რომელიც პირობით რამდენიმე მონაკვეთად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ., ინტერესს მოკლებული არ იქნება და ეს საკითხი ლიტერატურაში, ამ რაკურსით, დღემდე არ ყოფილა განხილული.

თავდაპირველად საბჭოთა სკოლაში ადგილი ჰქონდა ექსპერიმენტს, რომლის გამოძახილი ქართულ სინამდვილეშიც გვხვდება. სკოლაში ისტორიის ნაცვლად ასწავლიდნენ საზოგადოებათმცოდნეობას, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის ნაჯვარს. ისტორიას გადიოდნენ ძალიან მცირედობით. ამგვარი მიღებომის პირობებში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხარისხიან სწავლებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა. (2.3) ფაქტობრივად. ეს მონაკვეთი ამ საკითხის გაშუქების პირველ ქვეპერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. მისთვის დამახასიათებელია ამ თემისადმი ინდიურენტული მიღება.

30-იანი წლების შუა ხანებიდან იწყება ამ პრობლემით დაინტერესების მეორე ქვეპერიოდი ე. წ. „სტალინური ხანა“. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ აღსდგა ისტორიის სწავლება სკოლაში. ეს სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ, მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინზაცია, უნიფიცირება. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ახალი ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის იდეა წარსულს ჩაბარდა და ტკბილ მოგონებად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ეს კარგი წამოწყება სტალინმა დაასამარა. ახლა უკვე ყველაფერს ცენტრი წყვეტდა. სახელმწიფო აქტიურად ერევა მეცნიერებაში და ცდილობს ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიღება, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები, უკან დარჩა. მისი ადგილი

დაიკავა ისტორიისადმი მონისტურმა მიდგომამ, ფორმაციულმა პრინ-ციპმა, კლასობრივმა ბრძოლამ, საკითხისადმი კლასობრივმა მიდგო-მამ. აი ასეთი იყო მკაცრი რეალობა. ყოველივე ამან, ცხადია, ასახვა პოვა ნაპოლეონის იმიჯზე. სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა ისტო-როგორაფია ნაპოლეონს აღიქვამდა უაღრესად ტენდენციურად, რო-გორც „ევროპელ ჩინგიზ-ხანს“, და ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას, რბილად, რომ ვთქვათ, ძალიან აღმაცერად უყურებდა, სკეპტიკურად ეკიდებოდა. მხოლოდ უარყოფით კონტექსტში აღიქ-ვამდა. ამიტომ, მსჯელობა თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლება არ ერეოდა მეცნიერების საქმიანობაში, ძალიან, პრიმიტიულად, მიამ-იტურად, გაისმის და ძირშივე მცდარია. ფაქტობრივად, სტალინმა სათავე დაუდო ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი უარყოფით მიდგომას. ერთი სიტყვით, ნაპოლეონისადმი კანონშემ-ოქმედებითი საქმიანობისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულება ჩაანაცვლა წევატიურმა მიდგომამ, არსებითად საქმე გვაქვს ცუდსა და უარესს შორის არჩევანთან.

სტალინმა გარდაცვალების შემდეგ იწყება ნაპოლეონის კანონ-შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესების მესამე ქვეპერიოდი. „დათმობის ხანა“, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო „იდეუ-რი დაბნეულოება“. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხილვას გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ეს ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ ცდილობენ მისი მნიშვნელობის დაკინე-ბას, ხაზს უსვამდნენ მის ბურუუზიულ-კლასობრივ შეზღუდულო-ბას. ეს იყო საკითხისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომა, რომელიც ნაპოლეონის საქმიანობაზე ამ დარგში სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. განსაკუთრებით არ მოსწონთ კერძო საკუთრების დაცვა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანო-ბის ლირსებები ნაკლად იქნა წარმოჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მისი მთავარი ნაკლია ამ საკითხში, ვფიქრობთ სწორედ ამაში უნდა მდ-გომარეობდეს. „დრო იყო კოჭლი და ლირსება ნაკლად იყო გადაქ-ცეული“.

სიტყვაძუნწი, რომ არ აღმოგზინდეთ მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს. აი რას ვკითხულობთ 1970 წელს. ა. ეფიმოვის მიერ გამოცემულ „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში. „1804 წელს დამთავრდა „სამოქალაქო კოდექსის“ შედგენა. „სამოქალაქო კოდექი“ იყო კანონთა სისტემური კრებული, რომლის უმთავრეს ამოცანას, შეადგენდა ბურუჟაზისათვის საკუთრებით სარგებლობის უზრუნველყოფა. „ნაპოლეონის კოდექსის“ ცნობილი 544 მუხლში ნათქვამია „საკუთრება ნივთების სარგებლობასა და გამოყენების ყველაზე შეუზღუდულავი უფლებაა“. სხვა მუხლი ამკვიდრებდა ბურუჟიული ოჯახის საფუძვლებს. კოდექსმა რევოლუციის დროს მიღებული საკუთრება დაუმკვიდრა მის ახალ მფლობელს და გამოაცხადა საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე, მაგრამ ჯერ კიდევ 1802 წელს ნაპოლეონმა აღადგინა საფრანგეთის კოლონიებში იაკობინთა მიერ გაუქმებული მონობა.

ნაპოლეონმა დაადასტურა დამფუძნებელი კრების კანონი მუშათა წინააღმდეგ. მუშათა კავშირია წინანდებურად იყრძალებოდა. გაფიცვების გამო სასტიკი სასჯელი დაწესდა (4. 126-127). როგორც ხედავთ, უმთავრესად, აქცენტი კეთდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სუსტ მხარეებზე. დადებითი მომენტები კი განიხილება ძალზე სუსტად, მკრთალად.

„ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „სამოქალაქო კოდექსი“, რომელსაც „ნაპოლეონისეული“ უწოდეს, მისი მთავარი ამოცანა იყო განემტკიცებინა კერძო საკუთრება. უმცირესი ხელყოფისათვის შემოლებული იყო სასჯელის უსასტიკესი ზომები…

დამფუძნებელი კრების კანონი, რომელიც კრძალავდა მუშათა კავშირებს და გაფიცვებს კვლავ ძალაში დარჩა. ასევე შენარჩუნებული იყო მუშათა უუფლებო მდგომარეობა. სასამართლო უყოყმანოდ უჯერებდა მეპატრონის ჩვენებას მუშების საწინააღმდეგოდ, მუშებისათვის ჯერ ადრე შემოილეს განსაკუთრებული წიგნაკები, რომლებიც შეიცავდნენ ჩანაწერებს მუშის ყოფა-ქცევის და დათხოვნის მიზეზების შესახებ“ (5.100).

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დემოკრატიული პოტენციალის სრული უგულებელყოფა, იგნორირება, საბჭოთა მიდგომის დამახასიათებელი შტრიხი იყო. პრიორიტეტულია მის ბურჟუაზიულ კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება. აქცენტი კეთდება არა პოზიტივზე, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, არამედ ნეგატივზე. საქმე გვაქვს საკითხისადმი ვიწრო კლასობრივ მიღებობასთან, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტიოგრაფიაში, სადაც მთავარი იყო აქცენტირება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ კლასობრივ შეზღუდულობაზე. (6.282-284) სახელმწიფო აქტიურად ერევა მეცნიერების საქმიანობაში, ცდილობს ძალით მოახვიოს თავს მეცნიერს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია, რასაც საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მივყევართ. აი ესაა რეალობა და ამის არც შელამაზება და არც გამუქება საჭირო არაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ფაქტობრივად, არაფერი დაუწერია. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ, როგორც ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას, ისე პოპულარიზაციას. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერი გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ პროფესორი გრიგოლ ნათაძის შრომები, რომელიც ეხებოდა ნაპოლეონის მოღვაწეობის საკვანძო საკითხებს. ასეთი პასიურობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მას გააჩნია თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. მნიშვნელოვანწილად ამ ხარვეზს, ვფიქრობთ, ავსებს აკად. ევგენი ტარლეს საინტერესო წიგნი ნაპოლეონზე, რომელიც ქართული ნაპოლეონიანას ორგანულ შემადგენელ ნაწილად გვევლინება. სხვა სერიოზული გამოკვლევები ქართველ ისტორიკოსებს ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ საბჭოთა პერიოდში არ დაუწერიათ. ეს არცაა გასაკვირი. აკად. ევგენი ტარლეს შემდეგ ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნებოდა. ამას გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი. ტარლეს წიგნის თარგმნა, გამართლებული ჩანდა და მნიშვნელოვანწილად ავსებს იმ

სიცარიელეს, რომელიც ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამიტომ თარგმნილი ლიტერატურისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. რა თქმა უნდა, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. შეიძლება რაოდენობრივად ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხარისხობრივად, თვისობრივად, ეს ასე არაა. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს.

უმთავრესად, ი. სტალინის ძალისხმევით, 30-40-იან წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ფართოდ მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ, რომელიც ნაპოლეონს უყურებდა, როგორ „ევროპელ ჩინგიზ-ხანს“. სახელმოხვეჭილი ისტორიკოსი იძულებული იყო ანგარიში გაეწია არ-სებული პოლიტიკური კონიუნქტურისათვის. მნიშვნელოვანილად, ალბათ, ამით აიხსნება ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე აქცენტირება. ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობისადმი ხისტი დამოკიდებულება. ამიტომ მოსაზრება თითქოსდა საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება მეცნიერების საქმიანობაში არ ეროდა სინამდვილეს არ შეეფერება და ელემენტარული ტყუილია. მთელს მის მსჯელობას ლაიტმოტივად გასდევს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურუუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობაზე აპელირება. მისის დემოკრატიული პოტენციალი გაშუქებულია გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად. ჩრდილი დომინირებს შუქზე (7. 173-175). მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩინა, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.

ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა ისტრიკოსმა პროფ. გრიგოლ ნათაძემ. მან ყურალება მიაპყრო ნაპოლეონის მოღვაწეობის ცალკეულ საკვანძო საკითხებს და მათ შესახებ დაწერა საინტერესო სამეცნიერო-პოლულარული ნაშრომები „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი“ (8), „ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები“ (9) ეს შრომები

ნაპოლეონის მოღვაწეობის ცალკეულ საკვანძო საკითხებს შეეხება და ამიტომ მის მიზანს არ წარმოადგენს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხილვა. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა.

სულ სხვა მისი წიგნი „კაპირტალიზმის ისტორიიდან, საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ (10). შესაძლოა, ეს მის მიერ ჩაფიქრებული „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოს ერთი ფრაგმენტი იყო. სინამდვილეში ის გაცილებით უფრო დიდ პერიოდს მოიცავს, ვიდრე ეს სათაურიდან ჩანს. აქ განხილება საფრანგეთის ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი, მათ შორის, ცხადია, „ნაპოლეონის ეპოქა“. ამგვარი, ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევით არ გახლავთ და დიდი ალბათობით ამ დარგში მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის დეფიციტით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ის შეძლებისადაგვარად ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიაში არსებობდა. საფიქრელი იყო, რომ, აქ ის შეეხებოდა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაა. ის, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას უთმობს ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის განხილვას, მაგრამ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა კადრში ვერ ხვდება, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩინია და ნაპოლეონის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის, ნაპოლეონის პორტრეტი ცალმხრივია, არაა დასრულებული. (10. 103-109.11).

მწერალმა როსტომ ჩხეიძემ ყურადღება მიაქცია ცნობილი მეცნიერის პროფესორ აკაკი გაწერელიას უბის წიგნაკში გაკეთებილ ერთ საგულისხმო ჩანაწერს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო თემას შეეხება და მას სულ სხვა რაკურსით წარმოგვიჩნის. როგორც ჩანს, პროფ. აკაკი გაწერელიას ყურადღება მიუჰყურია „ნაპოლეონის კოდექსის“ სტილისთვის, ლიტერატურული ღირსებისთვის და მასზე საკმაოდ მაღალი აზრი გამოუთქვამს. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩინია ის გარემოება, რომ სახელოვან მეცნიერს ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა და მხოლოდ მის უბის წიგნაკში ჩაწერილი ფრაზაა. (12. 183-186).

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების მესა-მე ქვეპერიოდი პირობით ორ ეტაპად იყოფა და უპირატესად პოლი-ტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება. „დათბობის ხანა“ ჩაანაცვლა „უძრაობის პერიოდმა“. თავი იჩინა ნაპოლეონის მოღვაწეობასადმი განსხვავებულმა მიდგომამ, რომელიც პირველ ყოვლისა, პროფ. ალ-ბერტ მანფრედის და პროფ. ჯური ტუგან-ბარანივსკის შრომებთა-ნაა დაკავშირებული. (13.14). ასეთი შემობრუნება ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და „უძრაობის ეპოქის“ გამოძახილია. ნაპოლეონს უკევ აღარ უყურებენ როგორც „ევროპელ ჩინგიზ-ხანს“. ამ ნოვაციების კვალი ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გვხვდება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს სოხუმელი ისტორიკო-სის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის დისერტაცია „საფრანგე-თის არმია როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულო-ბისა და იმპერიის დროს“ (1799-1815), (15). ეს იყო საქართველოში საფრანგეთის ახალ ისტორიაში დაცული ერთ-ერთი საინტერესო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ ის ეხება არა „სამხედრო ბონაპარ-ტიზმს“, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულად, არამედ შეხების წერ-ტილები გააჩნია „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმთან“ სახელდობრ კი, ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობასთან. ვფიქრობთ, საინ-ტერესო რაკურსია, ეს სიახლე იყო. ამ კუთხით ეს საკითხი საბჭო-თა ისტორიოგრაფიაში დამუშავებული არ ყოფილა და თვით ფრან-გულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი. ეს გამოკვლევა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშ-ვნელოვან შენაძენი იყო და ქართული ნაპოლეონიანას წარმატებად მიგვაჩნია. მას ამ პრობლემით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლე-ვარი გულგრილი ვერ აუვლის გვერდს. ის სწავლობს ფრიად აქტუალ-ურ და საინტერესო თემას ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობას. როგორ ჩვენ მიგვაჩნია, საკითხის ასეთი დასმა უფრო მეტად „ად-მინისტრაციული ბონაპარტიზმთან“ უნდა ასიცირდებოდეს, ვიდრე „სამხედრო ბონაპარტიზმთან“, სადღაც „სამხედრო ბონაპარტიზმის“ და „ადამიანისტრაციული ბონაპარტიზმის“ ზღვარზეა. შეიძლება ასე უფრო სწორი იქნებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან, მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. თუ ამ მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაშორებთ, ხელში შეგვრჩება სოლიდური მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც, უეჭველად, ლირებულია. სპეციალისტების (ჯური ტუგან-ბარანოვსკი, ვლა-დლენ სიროტკინი, ეფიმ ჩერნინაკი) მაღალი შეფასება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, საინტერესოა, ლირებულია, საბჭოთა კავშირის წიგნთსაცავებში და არქივებში მრავალი წლის დაუღალავი შრომის ნაყოფია. როგორც სპეციალისტები აღიარებენ, ხშირ შემთხვევაში სიახლეს წარმოადგენს. ეს, ცხადია, კოტე ბოჭორიშვილის გამოკვლევის პლუსია, ემ-პირის, ფაქტოლოგის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის დაუნახაბა, ცხადია, არ ივარგებს. ეს მისი ნაშრომის უდავო ლირსებაა. ის ნაპოლეონს, ცხადია, უკვე აღარ უყურებს როგორც „ევროპელ ჩინგიზ-ხანს“. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. განზოგადების, ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ის, რა თქმა უნდა, ვერ აცდა თეორიულ, მეთოდოლოგიურ გაუფერულებას, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური იქნებოდა. ოპონენტები ნაშრომის დადებით მხარეებთან ერთად მიუთითებრივ იმ საკითხებზე, რომელიც მეცნიერული პაექრობის საგნი შეიძლება გახდეს. უნინარესად, მათ ასეთად ესახებათ ნაპოლეონის არმიაში მატერიალური წახალისების ფაქტორის მნიშვნელობის გადაჭარბება. (16). სასურველი იყო მისი მონოგრაფიის სახით გამოქვეყნება, რატომ არ გააკეთა ეს ძნელი სათქმელია.

მაშ ასე, კოტე ბოჭორიშვილის სოლიდურმა გამოკვლევამ „საფრანგეთის არმია როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულობის და იმპერიის დროს (1799-1815)“. თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწინა ნაპოლეონის სამხედრო კანონმდებლობის შესწავლა. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. (17. 18).

და ბოლოს არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც ამ პრობლემის შესწავლის მცდელობასთან უფრო მეტად ასოცირდება ვიდრე საკუთრივ შესწავლასთან და რომლის გვერდის ავლა საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების საკითხზე სრულყოფილ, ამომნურავ წარმოდგენას ვერ შეგვიძების.

აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს პროფ. გივი კილუ-რაძის ჩანაფიქრი, რომლის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდა წინ. აი რაში იყო საქმე. მას განზრახული ჰქონდა დაეწერა ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც დაყოფილი იქნებოდა სამ ნაწილად. 1970 წელს გამოვიდა ამ სახელმძღვანელოს პირველი წიგნი, რომელიც სულ მთლიანად თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს, ატარებდა და მომდევნო ორი წიგნის თავისებურ შესავალად გვევლინება. (19). მეორე წიგნი განხილული იქნებოდა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია 1640-1789 წლებში. მესამე წიგნი ამის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა და განიხილებოდა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია 1789-1870 წლებში, (20. 12. 21. 167. 22). აქ, ცხადია, საუბარი იქნებოდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონის ეპოქაზე. თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდებოდა ნაწილობრივ მაინც შეივსებოდა ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა და დაინერებოდა ახალი ისტორიის ნორმალური, კვალიფიცირებული სახელმძღვანელო. რომელიც პასუხობდა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. იქ, ბუნებრივია მოკლედ, ლაკონურად იქნებოდა განხილული ნაპოლეონის კანონშემქმედებითი საქმიანობა.

უნდა ითქვას, რომ მუშაობის პროცესში თავდაპირველმა ჩანაფიქრმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა, ეტყობა, ის იმდენად გაიტაცა ამ პრობლემაზე მუშაობამ რომ განიზრახა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები დაეწერა დასავლეთ ევროპის და ამერიკ-

ის ქვეყნების ახალი ისტორიის საკვანძო პრობლემებზე. ინგლისის რევოლუციაზე, ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ომზე დამოუკიდებლობისათვის, სამრეწველო გადატრიალებაზე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციებზე ევროპაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ამ კარგი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო. ის, 1978 წლის 5 აგვისტოს უცწრად, გულის შეტევით გარდაიცვალა.

პირველი ნაბიჯი ამ განზრახვის განხორციელების გზაზე გადაიდგა. ორ ნაწილად გამოვიდა მისი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია ინგლისს რევოლუციაზე. (23). ამ სერიალის გაგრძელება, მათ შორის, ცხადია, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონის ეპოქაზე სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიის დაწერა მან უბრალოდ ველარ მოასწრო. ნაპოლეონის ცხოვრების მოღვაწეობის განხილვის დროს, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ დარჩებოდა მის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხილვა „ნაპოლეონის კოდექსი“. ეს ქართული ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებული ვაკუუმის შევსების კიდევ ერთი მცდელობა იქნებოდა, მაგრამ ეს ხელსაყრელი შანსი როგორც უკვე ითქვა ხელიდან იქნა გაშვებული.

განსაკუთრებით მტკიცნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა ქართულ ენაზე ცნობილი ისტორიკოსის პროფ. ალბერტს მანფრედის საინტერესო წიგნის „ნაპოლეონ ბონაპარტი“ თარგმნა. ეს ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმას, რომ შეგვევსო ის ვაკუუმი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის საქმეში არსებობს. პროფ. ალბერტ მანფრედის ეს საინტერესო წიგნი თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ენებზე, მაგრამ ქართულ ენაზე სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არ გაგვაჩნია. ეს ქართული ნაპოლეონიანას სერიოზულ მინუსად მიგვაჩნია (24. 84). სასურველი იქნებოდა ალბერტ მანფრედის საინტერესო წიგნში ერთი თავი სპეციალურად დათმობდა ნაპო-

ლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას. ეს ვფიქრობთ კიდევ უფრო გამჭვირვალე იქნებოდა.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის გაშუქების საკითხში საბჭოთა პერიოდის ქართველი სამართალმცოდნების პასიურობა, ინერტულობა. ფაქტობრივად. ამ წლებში აღნიშნულ საკითხზე არაფერი დაწერილა. ამ წლებში აღნიშნულ საკითხზე არ დაწერილა არც რაიმე სერიოზული სამეცნიერო ნარკვევი, მონოგრაფია და არც საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევები ან თუნდაც ნარკვევი. ამ საქმეში ქართველი სამართალმცოდნების წვლილი ძალზედ მოკრძალებულად გამოიყურება. ამ თემის გაშუქებისადმი ქართველი სამართალმცოდნების გულგრილი დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის ქართული ნაპოლეონიანას აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაშია, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიცირება. საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. მნიშვნელოვანნილად, ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე წინსვლა. პროგრესი აშკარაა და ამის უარყოფა სწორი არ იქნებოდა. საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი კონუნქტურული გადახრების მიუხედავად ამ შრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, აქ გამოვლენილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, მრავალფეროვანი წყაროების, უხვი ფაქტობრივი მასალა, დღესაც ღირებულია და მისი გამოყენება მიზანშეწონილად

მიგვაჩნია. მისი მარქსისტული ინტერპრეტაციია, რომელიც ძალით იყო თავს მოხვეული. ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა.

თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენისადმი მრავალვარიანტული მიდგომა. პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებები, უკან დარჩა, წარსულს ჩაბარდა. მის ადგილს იკავებს ისტორიისადმი მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ბრძოლის ფაქტორი, კლასობრივი მიდგომა, მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნება, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედების გაშუქების დროს ადგილი აქვს აქცენტების გადატანას პოზიტივიდან, ნეგატივზე, სუსტ მხარეებზე. ხაზს უსვამენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ კლასობრივ შეზღუდულებას. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და საკითხისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. მნიშვნელოვანნილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების დროს ჩრდილი მაინც დომინირებს შუქზე. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება, რაც დომინანტი იყო 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ „ახალ ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში და, რაც, მათ, უდავო, ღირსებად მიგვაჩნია. საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული პრობლემისადმი ნეგატიური მიდგომით ჩაანაცვლა. ეს თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინ გადადგმული ნაბიჯი, არ იყო. ეს უკვე სულ სხვა გზაა. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან. აი, ასე გვესახება ამ პრობლემის ჩვენეული ხედვა. (25, 26, 27, 28, 29, 30, 31).

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიოს ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VII კონფერენცია, თბ., 2015.
2. 6. მამუკელაშვილი, ახალი ისტორიის სწავლება საბჭოთა საშუალო სკოლაში კრებული მიძღვნილი ვარლამ დონაძის ხსოვნისადმი, თბ., 1996.
3. 6. მამუკელაშვილი, საზოგადოებათმეცნიერებას სწავლება ქართულ, საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბ., 1993.
4. ა. ეფიმოვი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო; თბ., 1970.
5. ახალი ისტორია, 1640-1870. IX კლასის სახელმძღვანელო აკადემიკოს ა. ნაროჩინცის რედაქციით, თბ., 1988.
6. 3. Черниковский, Всеобщая история государства и права, М., 1983.
7. ვ. ტარლე, ნაპოლეონი, თბ., 1942.
8. გრ. ნათაძე, ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი, უნივერსიტეტი მოამბე, ტ. 5. 1925.
9. გრ. ნათაძე, ნაპოლეონის I-ის დაწინაურების მიზეზები, უნივერსიტეტის მოამბე, 8. 1927.
10. გრ. ნათაძე, კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბ., 1933.
11. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი. ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
12. რ. ჩხეიძე, ჩემი ნილი ვატერლოო, თბ., 2015.
13. А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973.
14. Дж. Туган-Барановский, Наполеон и республиканцы, М., 1980.

15. К. Бочоришвили, Французская армия как общественно-политическая сила во время консульства и империи (1799-1815 гг), Автореферат диссертации на соискание ученной степени кандидата исторических наук, Тб., 1982.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაბეჭდი 51. საქმე 7484.
17. მ. კალანდაძე, სოხუმელი ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ., XVII. თბ., 2018-2019.
18. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი, თბ., 2020.
19. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970.
20. კ. ანთაძე, გივი კილურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.
21. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359, თბ., 2005.
22. M. Kalandadze: Ein georgischer Erforscher der Neuen Geschichte West europas, Georgica, 30. 2007.
23. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწილი პირველი (1603-1642), თბ., 1979. ნაწილი მეორე, (1642-1688), თბ., 1983.
24. მ. კალანდაძე, ქართული ნაპოლეონიანა, მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998.
25. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
26. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
27. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
28. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
29. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.

30. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1-2. 2016.
31. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13, თბ., 2017.

თავი მეოთხე

თავი მეოთხე კანონის კანონის მოქმედებითი საქმიანობის შესრულება, პოსტსაბჭოთა პარიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართულ ნაპოლეონიანას ლაიტმირტივად გასდევს პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. პოლიტიკური კატაკლიზმებისადმი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, სწორხაზოვანი იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენა ვერ ჩამოგვიყალიბდა. ერთ შემთხვევაში მას პოზიტიური დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს. ასეთად მიგვაჩნია დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობების აღდგენა. მეორე შემთხვევაში ის ნეგატიურ ხასიათს შეიძლება ატარებდეს. ასეთი იყო საქართველოს გასაბჭოება 1921 წელს. საბჭოთა კავშირის დაშლას, ცხადია, პოზიტიური მუხტი გააჩნდა.

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ ნაპოლეონის კანონ-შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესების ახალი პერიოდი ისევ პოლიტიკურ ქარტეხილებს უკავშირდება და საბჭოთა კავშირის დაშლასთან ასოცირდება. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის ხანა დასრულდა. ქართულმა ნაპოლეონიანამ დაიბრუნა სუვერენიტეტი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ის აღარ იყო სხვაზე დამოკიდებული. ის არ შეადგენდა მეფის რუსეთის ან საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაწილს. მას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. საბჭოთა ის-

ტორიოგრაფიის შემდეგ ეს, უსათუოდ, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უარყოფა სწორი არ იქნება. გაჩნდა თავისუფალი არჩევანის საშუალება. ქართული ნაპოლეონიანა შეეცადა ეს ხელ-საყრელი მომენტი ხელიდან არ გაეშვა და შეძლებისდაგვარად გა-მოეყენებინა. თავისუფალი აზროვნების რეანიმაცია, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი თვისებაა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნაპოლეონიანა ცდილობს თავი დააღწიოს საბჭოთა სტერეოტიპებს და შტამ-პებს, ძალით თავსმოხვეულ ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსის-ტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს და დაძლიოს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი უარყოფითი მიდგომა, როდე-საც აქცენტი კეთდებოდა, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმი-ანობის ბურჟუაზიულ კლასობრივ შეზღუდულობაზე. საკითხისადმი ასეთი ვიწრო კლასობრივი მიდგმა, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. დღეს, ცხადია, უკვე მოძველებუ-ლია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია.

პოსტსაბჭოთა წლები ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების ოპტიმალურ ხანად მიგვაჩნია. ქართული ნაპოლეონიანა ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს და განავითა-როს ის კარგი ტრადიციები, რომელიც მას გააჩნდა აღნიშნული საკითხის შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში და უმთავრესად ასახვა პპოვა საქართველოს სუვერენული რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოცემულ „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. მეტის გაკეთება უბრალოდ ვეღ-არ მოასწრეს. რის გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. ეს მონაკვეთის გენეტიკურად იმდენად თავის წინამორბედთან კი არაა დაკავშირებული, რამდენადაც გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციების აღდგენის და მისი გაგრძელების მცდელობად შეი-ძლება იქნას აღქმული.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მარქსის-ტულ-ლენინური მიდგომის დაძლევის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მიგვაჩნია.(1) აქ პრიორიტეტულად, რა თქმა უნდა, კვლავ ნაპოლეონის სამხედრო წარმატებები რჩება, მაგრამ არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა უყურადღებოთ დატოვებული და ძალიან ლაკონურად, მაგრამ შინაარსიანადაა განხილული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. (1).

სახელმძღვანელოს ავტორებს ძალიან კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა. ხაზს უსვამენ მის პროგრესულ ხასიათს. აქცენტი კეთდება არა მის უარყოფით მხარეებზე, მის ბურუუაზი-ულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე, არამედ მის დადებით მხარეებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მეცნიერული შეფასების რეანიმაციის მცდელობასთან. „ნაპოლეონი კოდექსის“ დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისადები ჩანს. ხაზს უსვამენ რომ ნაპოლეონმა შეძლოს შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი.

„ნაპოლეონის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სამოქალაქო, სისხლის სამართლის და კომერციული (ვაჭრობის) კოდექსი. ეს კრებულები საკუთრების უფლების უზრუნველყოფას და თავისუფალი მენარმეობის განვითარებას ემსახურება. რევოლუციის დროს შეძენილი ქონება მის ახლა მფლობელს უმტკიცდებოდა. „ნაპოლეონის კოდექსი“ სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას აკანონებდა“ (1.97). ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურუუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება წარსულს

ჩაბარდა. ისტორიული რეტროს სურნელი დაკრავს. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ ეს, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და პოსტსაბჭითა პერიოდის ქართული ნაპოლეონიანას დადებითი მხარეა. ისინი ზუსტად გადმოგვცემენ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მომენტებს.

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რადგან საქმე ეხება სკოლის სახელმძღვანელოს, სასურველი ხომ არა იქნებოდა მითითებული ყოფილიყო „ნაპოლეონის კოდექსის“ მიღების თარიღი? 1804 წლის 21 მარტი ვფიქრობთ, სასურველი იყო ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით აღნიშნულიყო „ნაპოლეონის კოდექსის“ სუსტი მხარები. აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს საკანონმდებლოზე. ეს უკანასკნელი სუსტია. ნაპოლეონი იყო ერთპიროვნული მმართველია, რომელიც ხელისუფლების განაწილების მომხრე არ იყო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი ნაპოლეონზე ქართული ნაპოლეონიანას ისტორიაში ეტაპობრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ეს გახდავთ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ისტორიული წაშრომი, რომელიც ორი მეცნიერების ისტორიისა და ლიტერატორის მიჯნაზეა. ის ცდილობს ერთმანეთს შეუხამოს ისტორიკოსისა და ლიტერატორის თვისებები და ამას, ჩვენი აზრით, საკმაოდ კარგად ახერხებს. თხრობის სასიამოვნო მანერა ნაპოლეონზე მისი წიგნის ერთ-ერთ მთავარ ლირსებად მიგვაწინა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ნაპოლეონიანას ლოდერის როლში, სწორედ, პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილი მოგვევლინა. პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნში, ბუნებრივია, ვრცლადაა განხილული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა. პრიორიტეტულად, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებები გვევლინება, რომელიც ადრეც ბევრს ჭრიდა თვალს და დღესაც. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაპოლეონის მოღვანეობის მეორე, შეიძლება არანაკლებ მნიშვნელოვანი, მხარე, მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, უყურადღებოდ რჩებოდა და თითქოს მასზე არაფერი არაა ნათქვამი. ეს ასე არაა. ნაპოლეონის კანონ-

შემოქმედებით საქმიანობას პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნში ნაპოლეონზე საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და სათანადო ყურადღება ექცევა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი საინტერესო წიგნის კიდევ ერთი ღირსებაა. ის ამ თემას საკმაოდ ვრცლად განიხილავს. სავსებით ვეთანხმებით პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის როდესაც ის კოდექსს ნაპოლეონის „პირმშოს“ უწოდებს. (2. 438). სავსებით მართლზომიერი იყო, რომ ისტორიკოსებმა მას „ნაპოლეონის კოდექსი“ შეარქვეს.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი „ნაპოლეონზე“ იმ კარგ ტრადიციის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში. ის ნარმოადგენს კიდევ ერთ სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მარქსიზმისაგან გათავისუფლების გზაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის აქცენტს აკეთებს არა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე, როგორ ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, არამედ ყურადღებას ამახვილებს მის დადებით მხარეებზე. ეს იყო სწორი მიდგომა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. მაშ ასე, მთავარია არა ნეგატივი, არამედ პოზიტივი.

დავინწყოთ იმით, რომ მას ძალიან კარგად, აქვს გაცნობიერებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა, მისი პროგრესული ხასიათი. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგეს. ხაზს უსვამს, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა მიზნად ისახავდა რევოლუციის სოციალური მონაპოვრის შენარჩუნებას და ეს მას, სავსებით სამართლიანად ესახება „ნაპოლეონის კოდექსის“ დადებით მხარედ.

სავსებით ვეთანხმებით პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილს, რომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კულმინაციად კონსულობის ხანა გვევლინება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ კონსულო-

ბის პერიოდი ნაპოლეონის მოღვაწეობის შედარებით მშვიდობიანი წლები აღმოჩნდა. „ვინ იცის იქნება ეს იყო მისი საოცარი ცხოვრების საუკეთესო წლები. იქნება ახლა იდგა მისი ვარსკვლავის უამი? ახლა და არა მერე, რვაასხუთის დეკემბერში, როცა რუსეთის და ავსტრიის იმპერატორები უკანმოუხედავად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან, ხოლო არნახული გამარჯვებით აღტაცებული მარშლები მისკენ, ამ გამარჯვების შემოქმედისაკენ, მისალოცად მიაჭინებდნენ ცხენებს. ახლა და არა რვაასექსის ოქტომბერში, როდესაც მან იქნასთან, სულ რაღაც ერთ დღეში, სულ რამდენიმე საათში პრუსიელთა მთელი არმია გაანადგურა და ევროპის მბრძანებელი შეიქმნა!?” ვინ იცის“.

(2. 441). ალბათ, მაშინაც და ახლაც. თუ კონსულობის ხანა მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის პიკია, მზვერვალია, აუსტრიულიცი და იენა მისი როგორც მხედართმთავარის წარმატებების ზენიტია, აპოგეაა.

ნაპოლეონის კანონშემოქმედითი საქმიანობის განხილვის დროს პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილმა მოიმარჯვა რეტროსპექტული მეთოდი. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა კარგად, რომ გავითავისოთ, მას რეტროსპექტივაში უნდა შევხედოთ. რა იყო გაკეთებული მანამდე და რისი გაკეთება შეძლო ნაპოლეონმა. აი, ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება: „ერთიანი სამოქალაქო კოდექსის შექმნამდე, საფრანგეთში რამდენიმე სახის სამართლი მოქმედებდა, თუ საფრანგეთში სამხრეთ პროვინციებში უპირატესად, რომაული კანონები იყო გაბატონებული, ჩრდილოეთში ძველგერმანულ ნორმანულ ადათ-წესებზე აგებული სამართლი იყო ძალაში. საფრანგეთის შუაგულ რეგიონებში კი ამ ორი სამართლის ნაჯვარი იყო ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან. შედეგად იურიდიულ ურთიერთობათა რაღაც რთული და დახლართული კვანძი გამოდიოდა. კანონთა ასეთი აღრევა, ცხადია, ქვეყნის ერთობას ნაკლებად უწყობდა ხელს. ბონაპარტის მიერ ჩაფიქრებული ერთიან, ძლიერ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ასეთი რამე არაფერში გამოდგებოდა. მის ქვეყანას ერთმმართველი უნდა ჰყოლოდა და კანონთა ერთ კრებული უნდა ჰქონოდა. ეს ძნელად გასაკეთებელი საქმე იყო, მა-

გრამ ძალიან საშური“ (2. 437). მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ „ძელი რეჟიმის“ შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

„კოდექსს ორი ძირითადი დასაყრდენი ჰქონდა. ორი საფუძველი. ერთი კანონის უზენაესობა, მეორე საკუთრების პრიმატი. კოდექსის ასეთი წყობა სავსებით შეესატყვისებოდა ნაპოლეონის მიერ მიწოდებულ ახალ ლოზუნგებს: „საკუთრება, თავისუფლება, თანასწორობა“. კოდექსის მიხედვით, კანონისადმი ყველა თანასწორი იყო. კანონი ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო. მას ერთნაირად უნდა დამორჩილებოდა დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღარიბიც. საკუთრება ცხადდებოდა უმთავრეს ღირებულებად, ის ხელშეუხებელი იყო და მას კანონი იცავდა“ (2. 439).

როგორც ჩანს, სინდისის თავისუფლება „ნაპოლეონის კოდექსის“ კიდევ ერთ დადებით მხარედ ესახებოდა. ხაზს უსვამს, რომ ნაპოლეონი რჯულთშემწყნარეობლობის პოლიტიკას ახორციელებდა: „ქვეყნის ყოველი მცხოვრების უფლება თავისი სურვილისამებრს „აირჩიოს“ თუ რომელი რელიგიის მიმდევარი იქნება იგი. და როგორ აღასრულებდა ღვთისმსახურებას, ამავე დროს დაცული იყო ათეისტთა უფლებებიც, კოდექსში პირველად იყო ხაზგასმული ებრაელთა თანასწორობა სახელმწიფოს სხვა მცხოვრებლებთან“ (2. 439).

პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ცდილობს თავიდან აიცილოს როგორც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხოტბა, ქება-დიდება, რაც ლაიტმოტივად გასძევს აპოლოგეტურ ლიტერატურას, ისე შეუფასებლობა, რაც პრიორიტეტული გახდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ჭეშმარიტება, როგორც წესი, შუაში ქეს. მისი ეს მიდგომა ამ საშუალებო ხაზის გამოძებნის მცდელობად შეიძლება იქნას აღქმული. საკითხისადმი უფრო განონასწორებული, დაბალანსებული, დამოკიდებულება ამის ლოგიკური შედეგია. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან. ის ცდილობს გამოარკვიოს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები და ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება. „კოდექსი, ცხადია, უნაკლო არ ყო-

ფილა. მის ბევრ მუხლს ზედმეტი გამარტივება ეტყობა. ზოგს კი აშკარად ნაჩქარევად შემუშავების ბეჭედი ესვა. ამ კოდექსის მიხედვით, ქალი მამაკაცთან შედარებით, უფრო დაჩაგრული მოჩანდა. სამოქალაქო უფლებები ქმარს, მამას და ძმას მეტი ჰქონდა, ვიდრე საწინააღმდეგო სქესი ნარმომადგენელებს, მაგრამ მიუხედავად ასე-თი და კიდევ სხვა ხარვეზებისა, სამოქალაქო კოდექსი სამართლი-ანად ითვლებოდა ისტორიულ დოკუმენტად და უდიდეს წინგადადგ-მულ ნაბიჯს ნარმოდგენს დრომოქმული, ფეოდალური სისტემის ნგრევის და მის ნაცვლად, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამ-ყალიბების საქმეში“ (2. 440).

გენდერული თანასწორობა ნაპოლეონის დროს დარღვეული იყო. ეს ნამდვილად არის მისი კანონშემოქმედებითი საქმიანო-ბის ნაკლოვანი მხარე და ამაში პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილი სავსებით მართალია, მაგრამ მხოლოდ გენდერული თანასწორობის დარღვევაზე აპელირება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმი-ანობის ნაკლულოვან მხარეებზე, სრულყოფილ. ამომწურავ, ნარ-მოდგენას ვერ გვიქმნის. მთავარი ეს არ იყო. მთავარი სულ სხვა რამეა. საქმე ის გახლავთ, რომ ნაპოლეონის დროს, აღმასრულე-ბელი ხელისუფლება დომინირებს საკანონმდებლოზე. ეს უკანასკ-ნელი მეტად სუსტია. ამ თემაზე ის რატომძაც დუმს. კრინჭს არ ძრავს, ფაქტობრივად, ეს საკითხი კადრს მიღმა აღმოჩნდა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ნაპოლეონი იყო ფართო შეუზღუდველი მმართველობის მომხრე. ის იყო ავტორიტარული მმართველი, მან საფუძველი ჩაუყარა ცეზარისტულ რეჟიმს. ნაპოლეონი „პროგრესულს ცეზარიზმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ. მისთვის ძალაუფლების განაწილების პრინციპი სრულიად უცხო იყო. აი რა არის მთავარი და არსებითი.

თვალში მოგვხდა ტერმინები „ფეოდალური სისტემა“ და „ახ-ალი საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბება“. ეს კატეგორიები, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ეტყობა, ძველი ინერციით, ის უნებლიერ გაიპარა. ეს გასწორებადია.

ამრიგად, პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა, პოპულარიზაცია, რაც ნაპოლეონზე მისი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამ თემაზე მსჯელობა საინტერესოა და ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. საკითხისადმი დამოკიდებულება პროფესიულია, მეცნიერულია, რომელსაც, ჩვენი აზრით, პლუსები გაცილებით უფრო ბევრი გააჩნია, ვიდრე მინუსები. (4)

ნაპოლეონის ეპოქას ნაყოფიერად სწავლობს პროფ. ივანე მენ-თეშაშვილი. მან ამ საკითხს სამი წიგნი მიუძღვნა. „ძალაუფლება და გმირი. ნაპოლეონ ბონაპარტი“, (5) „ძალაუფლება და რევოლუციით შობილი“, რომლის ყურადღების ცენტრში დგას მსოფლიო ისტორიის სამი გამოჩენილი პიროვნება: ოლივერ კომველი, ნაპოლეონი და სტალინი. წიგნის გარეკანზეც, სწორედ, ისინი არიან გამოხატული. (6) სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ისტორიული ნარკვევი „ნაპოლეონი“, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია (7) ეს სამი წიგნი თანამედროვე ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელსაც ამ პრობლემით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს.

ამჯერად ამ შრომების განხილვა არ ნარმოადგენს ჩვენს უშუალო მიზანს. ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ ერთ კონკრეტულ თემას. როგორ არის ამ წიგნებში გამუქებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა? აღნიშნული საკითხი, სწორედ, ამ კუთხით გვაინტერესებს.

მანამდე ვიდრე კონკრეტულად ვისაუბრებდეთ ამ თემაზე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც ადვილად თვალში საცემია და პირდაპირ ზედაპირზე ძევს. ეს გახლავთ გამოყენებული ლიტერატურა. ის საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. უცხო ენის, სახელდობრ ინგლისურის, კარგი ცოდნა მისი როგორც ისტორიკოსის მთავარი ღირსებაა. ამიტომ უცხოურ ლიტერატურაზე აპელირება, ცხადია, შემთხვევითი არაა და ამის ლოგიკურ შედეგია. ამ

შრომებში მოხმობილი მრავალრიცხოვანი ინგლისური ლიტერატურა ამ საინტერესო წიგნების ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ხომ არ აღმოვჩნდით. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ჩამონათვალში უახლესი პერიოდის რუსული და ქართული ლიტერატურა თითქმის არ ფიგურირებს. ამიტომ ნებსით თუ უნებლიერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ბოლო წლებში რუსულ და ქართულ ენებზე ამ თემაზე დაწერილი არაფერი იყოს. სინამდვილეში ეს ასე არაა. მის წიგნში „გმირი და ძალაუფლება. ნაპოლეონ ბონაპარტი“ ამაოდ დაუწყებთ ძებნას პროფ. ჯური ტუგან-ბარანოვსკის საინტერესო წიგნს „ნაპოლეონი და ძალაუფლება“ (8) საკვირველია, რომ ეს გარემოება რატომღაც გაეპარათ მხედველობიდან ამ წიგნზე რეცენზიის ავტორებს რომან ბლიზნიაკოვს და დიმიტრი მალიშევს, რომელთა პათოსს ნაშრომის დადებითად შეფასების საქმეში სავსებით ვიზიარებთ (9).

ქართულ ენაზე ნაპოლეონზე არსებული ლიტერატურისადმი გულგრილი დამოკიდებულების კულმინაციად პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნის უგულებელყოფა მიგვაჩნია. გამოყენებულ ლიტერატურის ჩამონათვალში უბრალოდ მას ვერ ვხედავთ. ჩვენი აზრით, პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნის გამოყენება, მითითება, აუცილებელი იყო (7: 207). ინგლისის რევოლუციაზე ლიტერატურის ჩამონათვალში ვერ ვხედავთ პროფ. გივი კილურაძის წიგნს „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია“. სასურველი იქნებოდა ამ წიგნით სარგებლობა. (6, 96-99). „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს.“

პრიორიტეტულად გვევლინება ორი თემა. ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებები და ძალაუფლება: პირველი წიგნი „ძალაუფლება და გმირი. ნაპოლეონ ბონაპარტი“, როგორც ჩვენ გვგონია, ცილდება ისტორიული მეცნიერების ვიწრო ჩარჩოებს და ორი მეცნიერების ისტორიის და პოლიტოლოგიის მიჯნაზეა. ჩვენი აზრით, ეს უფრო სწორი უნდა იყოს. ორივე ამ თემას თან ახლავს გარკვეული რომანტიკული შარმი, რომელიც მაგნიტივით იზიდავ-და ისტორიკოსებს და პოლიტოლოგებს, როგორც წინათ, ისე დღეს.

ფრანგ ისტორიკოსს იპოლიტ ტენს მოჰყავს ნაპოლეონის ერთი ასეთი გამონათქვამი „ძალაუფლება ჩემი საყვარელია“. ვაიმარელ ბრძენს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, რომელიც დიდ პატივს მიაგებდა ნაპოლეონს უთქვამს „ძალაუფლება მისთვის (ე. ი. ნაპოლეონისთვის მ.კ.) იგივე იყო, რაც დიდი ხელოვანისთვის მუსიკალური ინსტრუმენტი“ (2. 311). აქვე უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება თუ ნაპოლეონი ვინმეს შეიძლება შევადაროთ ეს პირველ რიგში არის ალექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ოლივერ კრომველი, ჯორჯ ვაშინგტონი.

ნაპოლეონის ძალაუფლებაზე აპელირება მჭიდრო კავშირშია მის კანონშემოქმედებით საქმიანობასთან. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ, გვვინია, რომ ამ კუთხით საკითხი შედარებით მკრთალად, სუსტად უნდა იყოს გაშუქებული.

ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას შეეხება კიდევ ერთი საინტერესო წიგნი ქეთევან ტოროტაძის „იმპერატორი ნაპოლეონი“, რომელიც გამოვიდა 2013 წელს. ნაპოლეონის ბიოგრაფებს შორის მამაკაცები დომინირებენ და ამ წრეში ქალბატონის გამოჩენა, უეჭველად, მისასალმებელი ფაქტორი უნდა იყოს და, ცხადია, ძალიან კარგიცაა (ერთ-ერთი ქალი რომელიც მახსენდება ეს არის გერტრუდა კირპაზიზენი). ქართულ ისტორიოგრაფიაში გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის პოპულარიზაციის გზაზე. ნამრომი, ცხადია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, შემცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურ ტრეგერულ მისიას ავტორმა შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი, სწორედ, აი ეს იყო. ამ წიგნის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საინტერესოა წიგნის უანრის დადგენა. სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშთან გვაქვს საქმე თუ ისტორიულ ნაშრომთან, რომ არა ერთი გარემოება ჩვენ მას უფრო მეტად სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშად აღვიქვამდით, მაგრამ მას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ წიგნი არ განეკუთვნება სიტყვაკაზმული ლიტერატურის უანრს. ალბათ, გაც-

ილებით უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მას სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ისტორიულ ნარკვევად აღვიქვამთ, რომელსაც, რა თქმა უნდა, გააჩნია შეხების წერტილები სიტყვაკაზმულ ლიტერატურასთან. შეიძლება ის ამ ორი ჟანრის მიჯნაზეა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს მსჯელობას ამ საკითხზე ვაგებთ წიგნის გეგმაზე, შინაარსზე. რომელმაც, პირდაპირ გეტყვით და გარკვეულ უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. სამწუხაროდ, წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი არ გახლავთ და როგორც გვითხრეს ფასიანია.

მან გადაშალა ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი. აქ კარგადაა გამულავნებული ნაპოლეონისადმი ავტორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ მას ქართული ნაპოლეონიანას ბონაპარტისტული ფრთის კიდევ ერთ წარმომადგენლად მოვიაზრებთ.

ახლა მოდით მოკლედ გადავავლოთ თვალი წიგნის არქიტექტონიკას, სტრუქტურას, შინაარსს. ეს საინტერესო იქნება. ის აი ასე გამოიყურება:

1. შესავალი
2. ხმალს ყოველთვის ამარცხებს გონება
3. მძულს – უმაღური ომი – ბილნი მანკიერება.
4. პირამიდების სიმაღლეებიდან ორმოცი საუკუნე გადმოგყურებთ.
5. 1812 წლის ომი რუსეთში.
6. ელბიდან დაბრუნება, არწივის აფრენა
7. წმინდა ელენე – პატარა კუნძული.
8. მე ოლიგარქიულმა ინგლისმა მომკლა.
9. ნაპოლეონის დაბრუნება პარიზში.
10. ნაპოლეონ მეორე – არწივის მართვე.
11. ნაპოლეონის პოლონელი საყვარელი.
12. ნაპოლეონი ვაჟი გრაფი ვალევსკი.
13. ევროპის ლიგა
14. ლიტერატურა

რა შეიძლება ითქვა ამ გეგმაზე? დავიწყოთ იმით, რომ ეს გეგმა პირობით სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს, თუმცა ასეთი დანაწილება გეგმაში არ გვხვდება, მაგრამ სასურველი იქნებოდა. პირველი ნაწილი შეეხება ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობას. ის ცხრა თავისაგან შედგება. მეორე ნაწილი სამი თავისაგან შედგება და გენეტიკურ გაგრძელებად გვევლინება, როგორც პირდაპირი ისე გადატანითი მნიშვნელობით და შეეხება მის შვილებს. ფრანსუა უოზეფ, შარლ ნაპოლეონს და გრაფ ალექსანდრე ვალევსკის, რომლის დედაც იყო მარი ვალევსკაია. (მას კიდევ ცალკე თავი აქვს დათმობილი). ამ საკითხს სულ სამი თავი აქვს დათმობილი. და ბოლოს საუბარია ევროპის ლიგაზე, რომელიც ამ გეგმის მესამე ნაწილად შეიძლება იქნას აღქმული. ყველაზე საინტერესო, ჩვენი აზრით, სწორედ, ეს მონაკვეთი შეიძლება ჩანდეს. წიგნს დართული აქვს ლიტერატურის სია.

მისასალმებლად მიგვაჩინია, რომ აქ საუბარია ნაპოლეონის ვაჟზე, რაიხშტატის ჰერცოგ ფრანსუა უოზეფე შარლ-ნაპოლეონზე (1811-1832). რომელსაც ბონაპარტისტულ წრეებში როგორც ნაპოლეონ მეორეს ისე მოიხსენიება. თუმცა მას არასადეს უმეფია. ვიქტორ ჰიუგოს თქმით, „ინგლისმა დაიჭირა არწივი. ავსტრიამ კი მართვე“. წიგნში ვიპოვით ინფორმაციას ნაპოლეონის და მარი ვალევსკაის ვაჟზე ალექსანდრე ვალევსკიზე, რომელიც ნაპოლეონ მესამის (1851-1870) დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ყირიმის ომი 1853-1856 წლებში მის პოლიტიკური კარიერის მწვერვალი იყო. ორივე ამ მონაკვეთს წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩინია და ორივე მათგანზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერია დაწერილი. ეს ქართული ისტორიოგრაფიაში ამ ვაჟუმის შევსების მცდელობაა, რაც ამ წიგნის პლუსად გვევლინება.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას, ასეთად მიგვაჩინია:

1. ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო პრიორიტეტულად ფაქტს კონსტანტაცია გვესახება. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი მისი დამოკიდებულება ინდეფერენტულად მიგვაჩინია. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ,

შემთხვევითი არაა და მნიშვნელოვანწილად სწორედ, იმით აიხსნება, რომ ამ კუთხით საკითხის გაშუქება ეტყობა მისი მიზანი არ იყო. მას ისევე როგორც ბევრს მოწონდა და იტაცებდა ნაპოლეონის თავ-ბრუდამხვევი კარიერა, მისი ტრიუმფალური წარმატებები. „სამხე-დრო ბინაპარტიზმი“. ეს ადვილი გასაგებია და მას გააჩნია თავისი რომანტიკული შარმი. ამგვარ მიდგომას აქვს თავისი რეზონი, აზრი და ძალიან ბევრს ხიბლავდა წინათაც და ახლა, როგორც ჩანს, ჩვენი ავტორი ერთ-ერთი მათგანია. ამ კუთხით საკითხის განხილვა სასურველი იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის ნაშრომს.

2. 1798-1799 წლებში ეგვიპტის ექსპედიციიდან პირდაპირ 1812 წელს რუსეთში შეჭრაზე გადასვლა. რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიკვირდა და არანაირი გამჭვირვალება არ ახასიათებს. ამიტომ ამგვარი გადაწყვეტილება მისი გეგმის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ის ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი სად გაქრა ნაპოლეონის მოღვაწეობის საუკეთესო პერიოდი 1799 წლიდან 1812 წლამდე? არაფერი არ თქვა ამ წლებზე ნიშნავს, რომ არაფერი თქვა საერთოდ ნაპოლეონზე. ერთი სიტყვით, კითხვები ძალიან ბევრია, მაგრამ მათზე დამაჯერებელი პასუხი არ ჩანს და ბუნდოვანია. ბუნებრივია, წამოიჭრება ორი საკითხი როგორ არის ეს თემები გაშუქებული წიგნში? როგორ შეიძლება ყოფილიყო ამ პრობლემისადმი ავტორის მიდგომა? ორივე საკითხი საინტერესო და აქტუალურია. როგორ იყო გაშუქებული ნაპოლეონის ბიოგრაფიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბერი) გადატრიალება, იტალიაში მეორე ლაშქრობა, მარენგოს ბრძოლა, კონსულობის ხანა, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „ნაპოლეონის კოდექსი“, 1804 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, რომელიც უკვდავყო უაკ ლუი დავიდმა, დიდების ზენიტში, მწვერვალზე. აუსტრიულიციდან ტილზიტამდე. აუსტრიულიცი, იენა, აუერშტატი, ფრიდლანდი, ტილზიტი. თავადი ა. კურაკინი პარიზიდან

იმპერატორ ალექსანდრე პირველს ატყობინებდა „პირინეიდან ოდერ-ამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე ყველაფერი საფრანგეთია“ (10. 152). იმპერიის კრიზისის პირველი სიმპტომები. ერფურტი, ესპანეთი. ავსტრიის დამარცხება და ვაგრამი. მარი-ლუიზაზე ქორნინება, რომელსაც ნაპოლეონი მოგვიანებით ადარებდა „ყვავილებით მოფენილ ორმოზე ფეხის დაბიჯებას“. (11. 240). ეს ისტორიული ფაქტები ნაპოლეონის ბიოგრაფიის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენებია, რომელიც გლობალურ ხასიათს ატარებდა, მის მოლვანეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და წიგნის შინაარსში, ჩვენი აზრით სა-თანადო უნდა ყოფილიყო ასახული. მაგრამ ეს ასე არ ხდება. რაც მისი გეგმის მთავარ მნიუსად მიგვაჩნია. ალბათ, ინტერესს მოვლებულია არ იქნებოდა თუ როგორ შეიძლება ყოფილიყო ამ მოვლენებისადმი წიგნის ავტორის დამოკიდებულება? ეს საინტერესო საკითხი, ფაქტობრივად, ლიად რჩება. რაოდენ უცალურიც არ უნდა იყოს ნაპოლეონის აღზევებიდან პირდაპირ გადავდივართ „დასასრულის დასაწყისზე“. როგორც მოსწრებულად თქვა ტალეირანმა. რით ვავსებთ ამ ვაკუუმს. ძნელი სათემელია? წიგნის გეგმის მიხედვით ამ საკითხაზე პასუხი ბუნდოვანი რჩება, ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია. ასეთი გადაწყვეტილება. ყველაფერი ეს ამ წიგნის კუთვნილებას ბიოგრაფიულ ჟანრისადმი, ჩვენი აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ეს არ გახლავთ ნაპოლეონის ბიოგრაფია, წიგნის მთავარი ნაკლი, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

3. ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს წიგნის სათაური „იმპერატორი ნაპოლეონი“. ის იმპერატორი, როგორც ვიცით, 1804 წლის 2 დეკემბერს გახდა, მანამდე ის არ ყოფილა იმპერატორი. ამიტომ ეს სწორი იქნებოდა 1804 წლის შემდეგ. მაგრამ მანამდე რა ვქნათ როგორ მოვიქცეთ? ის ხომ არაა იმპერატორი?

ჩვენ უფრო მისაღებად გვესახება პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის მიდგომა. პირველ წიგნს მან უწოდა „გენერალი ბონაპარტი“, ხოლო მეორეს „იმპერატორი“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატურია. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა გაცილებით უფრო უბრალო სათაური შეგვერჩია „ნაპოლეონი“?

4. მოკლედ დამოწმებული ლიტერატურის შესახებ. ის საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ზოგიერთი ნაშრომის გამოყენება, როგორც ჩვენ გვგონია, სასურველი იქნებოდა. ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე გარემოებას: ა) დამოწმებულ ლიტერატურაში მითითებული არაა პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი „ნაპოლეონზე”, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. მისი გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ამ ნაშრომის გამოყენება სასურველი იქნებოდა. ამით წიგნი ბევრს მოიგებდა. ბ) დასახელებულ ლიტერატურაში მითითებული არაა გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსების: ადოლფ ტიერის, ალბერ სორელის, ალბერ ვანდალის, ალბერ სობულის, პიერ ლანფრეს, შრომები. ეს წიგნები თარგმნილია რუსულად და ძალზე ადვილი ხელმისაწვდომია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ დარგის კლასიკა და ამის გვერდის ავლა უხერხულად მიგვაჩნია. გ) ვიქტორ ჰიუგოს თქმით „ინგლისმა ხელში ჩაიგდო არნივი, ხოლო ავსტრიამ კი მართვე“. ნაპოლეონის ვაჟზე, რაიხშტატის ჰერცოგზე, შარლ ნაპოლეონზე (1811-1832) საუბრის დროს ის ძირითადად ეყრდნობა ფრანგი ისტორიკოსის ანდრე კასტელოს წიგნს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. გამოყენებული ლიტერატურის არეალის გაფართოება გამორიცხული არ უნდა იყოს. სასურველი ხომ არ იქნებოდა ედმონ ლეპელეტიეს წიგნის „ნაპოლეონის ვაჟი“ გამოყენება? ნაპოლეონის ვაჟი იყო საკმაოდ ტრაგიკული პიროვნება, რომელიც დაიღუპა ძალიან ახალგაზრდა 21 წლის ასაკში. ეს მოხდა საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში 1832 წლის 22 ივლისს დილის 5 საათსა და რვა წუთზე. რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი ავადმყოფობა თუ საწამლავი დღემდე გამოუცნობ გამოცანად რჩება (12. 312).

ამგვარად, ქ-ნ ქეთევან ტოროტაძის მცდელობა თავისი წვლილი შეიტანოს ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის პოპულარიზაციის საქმეში, რა თემა უნდა, მისასალმებელია. მას ხიბლავდა და იტაცებდა ნაპოლეონის ბობოქარი ეპოქეა, მისი თავბრუდამხვევი წარმატებები. რომელსაც გააჩნია რომანტიკული შარმი, ნაპოლეონისადმი მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით უნდა

ყოფილიყო განპირობებული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, ის სავსებით სამართლიანად მიეკუთვნება ქართული ნაპოლეონიანას ბონაპატის-ტულ მიმართულებას. წიგნის გეგმამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და მის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია, (13) ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება, მისი მიზანი არ ყოფილა*.

ამით, ფაქტობრივად, დავასრულეთ ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნების მოკლე მიმოხილვა. ახლა მოდით თვალი გადავავლოთ „ახალი ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს, სადაც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქებას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი.

პროფ. ვაჟა თვალავაძე თავის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში, „ახალი ისტორია“, ბუნებრივია, ეხება ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას და მოკლედ ჩერდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობით საქმიანობაზე.

სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, ყურადღება ეთმობა ნაპოლეონის ტრიუმფალურ წარმატებებს, სამხედრო გამარჯვებებს, მაგრამ არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა რჩება უყურადღებოდ და მოკლედ ჩერდება მასზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ ვაკუუმის შევსების კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება, რომელიც ამ საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. მან თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. „ბურუუზიული ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ნაპოლეონის კოდექსებს“. 1804 წელს გამოსცეს „სამოქალაქო კოდექსი“, 1807 წელს – „კომერციული კოდექსი“, 1812 წელს – „სისხლის სამართლის კოდექსი“.

„სისხლის სამართლის კოდექსი“ დასაშვებად მიიჩნევდა პატიმრების ნამებას, დადალვას, რაც რევოლუციის დროს აკრძალული იყო.

* ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია მაღლობა მოვახსენოთ მაგისტრანტ გიგა ჩალიგავას, რომელმაც მოგვაწოდა ნაშრომის სარჩევის და გამოყენებული ლიტერატურის ელექტრონული ვერსია.

„სამოქალაქო კოდექსი“ არეგულირებდა ოჯახურ ურთიერთობას, აკანონებდა ცოლის მორჩილებას ქმრისადმი. მამის განუსაზღვრელ უფლებას შვილზე“ (14. 186).

სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო რომ საკანონმდებლო ხელი-სუფლება იყო გაცილებით უფრო სუსტი. აღმასრულებელი ხელისუ-ფლება უფრო პრიორიტეტულია საკანონმდებლოზე. ეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სუსტ მხარეებზე კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნის. ნაპოლონისათვის მიუღებელი იყო ხელისუფლების განაწილების იდეა.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობას ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, შეეხო ისტორიკოსი დავით ლომსაძე თავის სახელმძღვანელოში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“. აქ, ცხადია, პრიორიტეტულად ნაპოლეონის თვალისმომჭრელელი წარმატებები, ტრიუმფალური გამარჯვებები გვევლინება, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებას უვლის გვერდს და მოკლედ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პოპულარობაციის საქმეში. ამ საკითხში მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

„1804 წლის 21 მარტს მიიღეს „სამოქალაქო კოდექსი“, რომელიც ბურჟუაზიული კერძო საკუთრების და კაპიტალისტური ურთიერთობის განმტკიცებას ითვალისწინებდა. კოდექსი განამტკიცებდა კერძო მენარმეობის თავისუფლების პრინციპს და აფართოებდა მემკვიდრეობით მიღებული ქონების თავისუფალად გამოყენების უფლებას. დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ბურჟუაზიული ოჯახის წესებს. ცოლის ქონება განიხილებოდა, როგორც ქმრის სრული საკუთრება. ცოლს და შვილებს არ ჰქონდათ ქონებრივი უფლებები, უკანონო შვილებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ“ (15.92) სავსებით ვეთანხმებით ავტორს, რომ გენდერული თანასწორობის პრინციპი დარღვეული იყო და ეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მინუსად ესახებოდა. მარტო გენდერულ უთანასწორობაზე აქცენტირება,

საკმარისი არ უნდა ჩანდეს და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სუსტ მხარეებზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. საქმე ის გახლავთ, რომ არსებითი და მთავარი, ფაქტობრივად, კადრს მიღმა აღმოჩნდა. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ აღმსრულებელი ხელისუფლება გაცილებით უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე საკანონმდებლო. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო სუსტია, ამაზე ის, ისე როგორც სხვა ავტორები, რატომლაც კრიზტს არ ძრავს.

ის ცდილობს გაერკვეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ავკარგიანობაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია, მაგრამ, ეტყობა, ძველი ინერცია ჯერ კიდევ ძლიერია და ვიწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტული-ლენინური იდეოლოგია ბოლომდე როდია დაძლეული. სწორედ, ამით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ ძველი ინერციით ნეგატივი უფრო პრიორიტეტულად რჩება, ვიდრე პოზიტივი. ასეთი ხედვა, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს.

ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების გვერდით საუბარია მის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ამ სტრიქონების ავტორის შრომებში. ის დიდი ყურადღებას უთმობს ნაპოლეონს როგორც კანონმდებელს, რეფორმატორს. ხაზს უსვამს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები. ნაპოლეონის მმართველობას ის „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად მიიჩნევს. ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს ერთპიროვნულ მმართველობასთან, კანონმდებელთან, რეფორმატორთან. (16, 17, 18, 19, 20).

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართველი სამართალმცოდნეები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძველი ინერციით, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი ისევ გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე სპეციალური, საგანგებო, გამოკვლევა ან სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი, დღემდე არ გაგვაჩნია. ეს ქა-

რთული ნაპოლეონიანას მინუსია. სასურველი იქნებოდა ეს ხარვეზი, რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორდეს. უმთავრესად, სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ ამ თემაზე მინიშნება მხოლოდ სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში, სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის ზოგად კურსებში, შეიძლება მოვიძიოთ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფ. მარიამ ცაცანაშვილის სახელმძღვანელო „სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია“, კონკრეტულად კი მისი პირველი ნაწილია. ავტორი, ბუნებრივი, მოკლედ ჩერდება ამ საკითხზე. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ის ძალიან მოკლედ, ლაკონურად და, ალბათ, რაც მთავარია, სწორედ, გადმოგცემს ამ საკითხს. ხაზს უსვამს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიულად პროგრესულ მნიშვნელობას. მცირე შესვალის შემდეგ, ის საუბრობს 1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრალებაზე. განიხილავს 1799 წლის კონსტიტუციას. კონსულთა კოლეგის არჩევნებს. 1802 წლის აქტს „სენატუს კონსულტა“. ხაზს უსვამს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება შედარებით უფრო სუსტია, ვიდრე აღმასრულებელი. პრიორიტეტული იყო აღმასრულებელი ხელისუფლება. ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის დადებითი შეფასება სავსებით მისაღები იყო. აი, ასეთი საინტერესო სურათის იკვეთება. სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის წინა ისტორიას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. სასურველი იქნებოდა ცოტა მეტი თქმულიყო კონკრეტულად, „ნაპოლეონის კოდექსზე“. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ამ კუთხით ეს საკითხი გაშუქებულია შედარებით სუსტად, მკრთალად. (21. 175-178).

ვინროდოგმატურად გაგებულმა მარქისტულ-ლენინური იდე-ოლოგიის ხანგრძლივმა, სამოცდაათწლიანმა, მონოპოლიამ, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას მეტად არასახ-არბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა. ის ცდილობს გაცდეს ერთი ვი-ნროდოგმატურად ინტერპრიორებული მარქისტულ-ლენინური მსო-ფლმხედველობის თეორიულ, მეთოდოლოგიურ, ჩარჩოებს, სწორ გზას დაუბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი პლუსია. ქართული ნაპოლეონიანა, ვფიქრობთ, კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ამ-ჯერად მხოლოდ მის ერთ ასპექტზე შევჩერდებით. ესაა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „ნაპოლეონის კოდექსი“.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ნაპოლეონიანას ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ სპეციალური გამოკვლევები არ დაუწერია, მაგრამ ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების დროს გვერდს არ უვლის ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას, „ნაპოლეონის კოდექსს“ და შეძლებისდაგვარად განიხილავს მას. აი, სწორედ, ეს მნირი მასალა გახლდათ ჩვენი განსჯის საგანი.

დავიწყოთ იმით, რომ ეს შრომები, უპირატესად, ორიენტირებულია არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე, რაც მათ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. უმთავრესად, აქცენტი კეთდება არა ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის ბურჟუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრა-ფიაში, არამედ მის პოზიტივურ მხარეზე, პროგრესულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე. პოზიტივი დომინირებს ნეგატივზე. ეს მისი მთავარი პლუსია. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი

ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას, ჩაანაცვლა, დადებითმა შეფასებამ. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მათ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის, „ნაპოლეონის კოდექსის“ ისტორიული მნიშვნელობა. მისი დადებითი მხარეები, ისტორიულად პროგრესული ხასიათი. აპელირებენ არა მის სუსტ მხარეებზე, არამედ კანონის უზენესობაზე, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ადამიანის და მოქალაქის უფლებებზე. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზე, სინდისის თავისუფლებაზე. ხაზს უსვამენ, რომ ნაპოლეონმა შეინარჩუნა საფრანგეთის რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ძალაში დატოვა რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა. რევოლუციის დროს მიღებული მიწის ნაკვეთი შეინარჩუნა ფრანგმა გლეხმა. ძველი რეჟიმის შემდეგ ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი, ხარისხობრივი, წინგადადგმული ნაბიჯი და ამაზე თვალის დახუჭვა, ცხადია, სწორი არ იქნებოდა.

საკითხისადმი დაბალანსებული, განვითარებული, მიღომის მცდელობა ამ შრომების კიდევ ერთი პლუსია. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ორივე უკიდურესობა. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ქება-დიდება, რაც ძალუმად იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში და მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა, ბურუუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება, რაც ნიშანდობლივი გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ჭეშმარიტება, როგორც წესი, შუაში ძევს. ეს შრომები აღნიშნული პრობლემის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩიოთ.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. უწინარესად, ასეთად მიგვაჩინია ნაპოლეონის დროს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელი-სუფლებას შორის ურთიერთობის საკითხი. ის გაცილებით უფრო მკრთალად, სუსტადაა, გაშუქებული. ნაპოლეონმა როგორც ერთ-პიროვნულმა მმართველმა ეს საკითხი თავისებურად გადაწყვიტა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება

უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე საკანონმდებლო. ეს უკანასკნელი უფრო სუსტია. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება. ნაპოლეონის ხელისუფლების დანაწილების იდეის წინააღმდეგი იყო. ამ კუთხით საკითხის გაშუქებამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და აღნიშნულ საკითხზე მათი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი. ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
2. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი პირველი, გენერალი ბონაპარტი, თბ., 1994.
3. С. Боботов, Наполеон – законодатель и реформатор, М., 1998.
4. მ. კალანდაძე, წიგნი ნაპოლეონის შესახებ, უურ. კლდეკარი, №2, 2000 კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ქართულად საინტერესოდ გაზ. თბილისი, 2 მაისი, 1995. მ. კალანდაძე, ახალი წიგნი ნაპოლეონზე, ლიტერატურული საქართველო, 16-23 თებერვალი, 1996 კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ამ წიგნს დიდი ხანია ელოდა მკითხველი, სალიტერატურო გაზეთი, №17 ოქტომბერი, 1998. მ. კალანდაძე, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შეაძენი. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი „იმპერატორი“. გაზ. ახალი საქართველო, 10-16 ივნისი, 1999.
5. И. Ментешашвили, Власть и герой. Наполеон Бонапарт, Тб., 2014.
6. И. Ментешашвили, Власть и рожденные революцией, Тб., 2019.
7. ივ. მენტეშაშვილი, ნაპოლეონი, თბ., 2016.
8. Дж. Туган-Барановский, Наполеон и Власть, М., 1993.
9. Р. Близниakov, Д. Малышев, Формула власти и анатомия героизма Наполеон Бонапарта: взгляд современного историка, ქართული დიპლომატია, ნელინდეული 17 თბ., 2015.
10. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი მეორე, იმპერატორი, თბ., 1997.
11. М. Пономарев, Несостоявшийся русский брак Наполеона Бонапарта, Новая и новейшая история №3. 1993.
12. Э. Лепелльетье, Сын Наполеона, Р./д. 1999.
13. ქ. ტოროტაძე, იმპერატორი ნაპოლეონი, თბ., 2013.
14. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, 1640-1815. თბ., 1999.
15. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწილი I. თბ., 1998.

16. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია. კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
17. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ., 2008.
18. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბ., 2016.
19. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი დიქტატორი დ რეფორმატორი, ქართული დიპლომატია, წელი 15. თბ., 2011.
20. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი, თბ., 2020.
21. მ. ცაცანაშვილი, სახელწიფოს და სამართალის ზოგადი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1995.

დასკვნა

აღნიშნული პრობლემის შესწავლა აქტუალურად მიგეაჩნია და მთელ რიგ საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. პირველ ყოვლი-სა ჩვენ ვცადეთ ამ თემის განხილვა აკადემიურ ჩარჩოებში დაგვე-ბრუნებინა. ნაშრომს გააჩნია მკეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი, რომელიც მიზანს ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებუ-ლად, უგულებელვყოთ მთელი რიგი საბჭოთა ლეგენდები და მითები, რომელმაც, ტოტალიტარულ ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართულ საზოგადოების ცნობიერებაში.

აღნიშნული საკითხისადმი ვგულისხმობთ როგორც მთლიანად საქართველოში ახალი ისტორიის, ისე კონკრეტულად, ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობის, შესწავლას, საბჭოთა მიდგომა ძალზედ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ისინი გვიმტკიცებდნენ, რომ საქართ-ველოს გასაბჭოებამდე თითქოს ამ სფეროში, როგორც ფართო, ისე ვიწრო კონტექსტით, დადგებითი არაფერი გაკეთებულა. სინამდვილე-ში ასე არ იყო. ეს გახლავთ კიდევ ერთი საბჭოთა მითი. ამგვარი მიდგომა უაღრესად ტენდენციური იყო, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და, რაც მთავარია ანტიეროვნული, არა-პატრიოტულია. ის 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ნარმატებებისადმი უარყოფითი განწყობილებითაა გა-ჯერებული. მთელ მათ კონცეფციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი სიძულვილი ასაზრდოებდა. მისი მთავარი თეზაა წინამორბედების წვლილისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით და სულ სხვა, გაცილებით უფრო რეალისტური, სურათი

დავდეთ. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საქართველოში აღნიშნული საკითხის (ის ეხება როგორც მთლიანად დარგს, ისე კონკრეტულად ამ თემას) საბჭოთა კონცეფციის რევიზიის მცდელობა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

საცხებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის, ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. უნდა ითქვას, რომ ეს ამ დარგის განვითარების საქმეში, ისტორიაში, ეტაპობრივი მოვლენა იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანმენობითი არ იქნებოდა. ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში სუვერენული საქართველოს წარმატებები და ყოველნაირად ცდილობდნენ მის დამცირებას, დაკინებას, სურდათ როგორმე წაეშალათ მისი კვალი ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრენ. „სამართალმა პური ჭამა“. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

ფაქტობრივად, ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის და კონკრეტულად ამ თემის, შესწავლის, ისტორიიდან. თოთქოსდა ის არც კი არსებობდა. გაქრა გაუჩინარდა. მივიწყების ნისლში გაეხვია. საბჭოთა პერიოდში ამ საკითხის გაშუქება ტაბუ-დადებული თემა იყო. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და დავაზუსტეთ ამ თემის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც, ძირითადად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ პოსტულატად ამ დარგში და აღნიშნულ საკითხში 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკის წვლილი რეანიმაცია დაგსახეთ. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილის შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცდა წინ წაენია საქართველოში ახალი ისტო-

რიის, სახელდობრ კი, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის, სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საქართველოში აღნიშნული პრობლემის სწავლება, პოპულარიზაცია შეუქცევად ხასიათს იძენს, არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს აქამდე ეგონათ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაინტ მუშაობა „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ საკოლო სახელმძღვანლებზე. რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია, დროის იმ მცირე მონაკვეთში, რის გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს, ეს ცხადია, ძალიან კარგია.

ირკვევა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში თავისი საქმიანობა წულიდან, ცარიელ ნიადაგზე, კი არ დაუწყია, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ამ წლებში არავითარ ჩავარდნას, რეგრესს, სტაგნაციას როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა ხანაში, ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ეს დარგი ვითარდება, წინ მიდის, პროგრესირებს. აი ეს გახლავთ სინამდვილე, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია წლების მანძილზე დუმილით უვლიდა გვერდს. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელიც საბჭოთა პერიოდში მივიწყების სქელ ნისლში გაეხვა და თითქმის აღარავის ახსოვდა. როგორც უკვე ითქვა ამ კუთხით საკითხის გაშუქება დიდ ხნის განმავლობაში ტაბუ-დადებული თემა იყო. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ სახელმძღვანელოებს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომე-

ლიც მათ საბჭოთა ხანაში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდათ. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველაზე საინტერესოდ აღნიშნული საკითხის პირველი პერიოდი მიგვაჩნია. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ ღირსებად საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია. ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, სწორ არჩევანს აკეთებდა, სწორ აქცენტებს სვამდა. უპირატესად, ორიენტირებული იყო თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ და ამ სახელმძღვანელოების აპოლოგეტური შეფასება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ორივე უკიდურესობა, როგორც ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, ისე აპოლოგეტური მიდგომა, მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. უნდა ვეცადოთ გამოვნახოთ ეს საშუალებო ხაზი, ოქროს შუაგული, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მის გამომწვევი მიზეზები. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. სხვა შემთხვევაში ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნა გაგვიჭირდება. წინამდებარე ნაშრომში ამის ერთ-ერთ პირველ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხით სერიოზული მეცნიერული დაინტერესების პირველმა პრეცედენტმა თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო

სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. აღნიშნული საკითხის გაშუქებამ სამეცნიერო-პოპულარული ხა-სიათი შეიძინა და, უმთავრესად, ასახვა პოვა 1918-1921 წლებში საქა-რთველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს სახელმძღ-ვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისი ისტო-რიული მეცნიერების განვითარების საერთო მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ქა-რთული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს, არ ჩამორჩეს, XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე სიახლეებს და ნოვაციებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს იმუამინდელი ქართული რეალობის ფონზე, უდავოდ, წინგადადგმულ ნაბიჯი იყო და იმ პერიოდის ქართული ის-ტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება.

და ბოლოს დაგძენთ, რომ საქართველოში ნაპოლეონის კანონშემ-ოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებამ, საინტერესო ევოლუცია განიცადა და, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზო-ვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა იდეოლოგიას ეს-ახებოდა. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ის უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად წარმოგვიდგენია. როგორც ალვნიშნეთ თავდაპირველად, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაშუქების დროს ქართული ისტორიოგრაფია აქცენტს აკეთებდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიღვომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბ-ერალურ ღირებულებებზე. პრიორიტეტული იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამგვარი დამოკიდებულება თავის კულმინა-ციას, პიკს, აღწევს 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რე-სპუბლიკაში გამოსულ „ახალ ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანო-ბისადმი დადებითი დამოკიდებულება ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. რომლის განხორციელებაც მათ დაიწყეს. რაც მოასწორეს გააკეთეს. ეს, ცხადია. ძალიან კარგია. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ამას მოყვებოდა გაგრძელება, მაგრამ, უმთავრესად. პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა და ეს კარგია წამოწყება ბოლომდე, ვერ იქნა მიყვანილი. მნიშვნელოვანილად, სწორედ ამით აიხსნება რომ ამ მონაკვეთმა ამ დარგის ისტორიაში გაცილებით უფრო სუსტი, მკრთალი, კვალი დატოვა, ვიდრე ეს ხელენიფებოდა. აა ასეთი გახლავთ რეალობა. უმთავრესად, ცნობილი მიზეზების გამო, საქმე გვაქვს მხოლოდ ამ ნოვაციების, სიახლეების, წანამდღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან, მაგრამ მისი კვალი, ვფიქრობთ. საკმაოდ გამჭვირვალეა. მთავარი, სწორედ ეს უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა თუ ამ მონაკვეთის შესახებ ვიმსჯელებთ არა იმის მიხედვით, რისი გაკეთებაც, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვერ მოასწორეს, არამედ იმის მიხედვით რისი გაკეთება მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ. ჩვენი ლრმა რწმენით, რომ არა საქართველოს გასაბჭოება დაინერებოდა ახალი ისტორიის კვალიფიცირებული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და დაიწყებოდა მუშაობა ახალი ისტორიის საკვანძო საკითხის პოპულარიზაციაზე და მეცნიერული კვლევაზე. აა ასე გვესახება მათი ჩანაფიქრი. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა.

მკვეთრ მეტამორფოზს აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელიც, როგორ ავლნიშნეთ, თავდაპირველი გზის გაგრძლებად, წინგადადმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. პრიორიტეტული ხდება საკითხისადმი მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ბრძოლის ფაქტორი, კლასობრივი ხედვა. აქცენტი კეთდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე. აღნიშნული საკითხისადმი დადებითი მიდგომა ჩანაცვლა უფრო ხისტმა დამოკიდებულებამ.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ვიწროდოგმატ-ურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სახით მეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა ხვდა წილად. ამ მემკვიდრეობის დაძლევა მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნდეს, სწორი არჩევანი გააკეთოს, სწორი აქცენტები დასვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ ეს სულაც არაა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და უმტკივნეულო პროცესი არ იქნება. აქცენტი კეთდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებით შეფასებაზე. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს შრომები, აღნიშნული პრობლემის შესწავლის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლას ორი ასპექტი გააჩნია. მას პირობით პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი შეიძლება უწოდოთ. პირველი ითვალისწინებს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მეცნიერულ შესწავლას, კვლევას. მეორე მიზნად ისახავს ამ თემის პოპულარიზაციას. ქართული ნაპოლეონიანას მთავარ ამოცანად უნდა დავსახოთ ითარგმნოს „ნაპოლეონის კოდექსი“. ამას აქვს მნიშვნელობა. მეცნიერების ხელში აღმოჩნდება უაღრესად საინტერესო პირველწყარო, რომელიც სტიმულს მისცემს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მეცნიერულ კვლევას და პოპულარიზაციას. რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა ადვილი საქმე, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია. ქართულ ენაზე ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობაზე დაწერილი მეცნიერული გამოკვლევა, მონოგრაფია, სამეცნიერო-პოპულარული ნარკევი, დღემდე არ გაგვაჩნია, რაც ქართული ნაპოლეონიანას მინუსად მიგვაჩნია. ამას აქვს თავისი მიზეზი, განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის ინერტულობა, პასიურობა, რომელსაც ამ მიმართულებით ქართველი სამართალმ-

ცოდნები იჩენდნენ. ქართული ნაპოლონიონას მთელი ძალისხმევა, ვფიქრობთ, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ამ ვაკუუმს, ვფიქრობთ, ნაწილობრივ ავსებს საფრანგეთის იმპერატორისადმი მიძღვნილი შრომები და სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა, სკოლის და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, სადაც ამ თემის გაშუქებას, ბუნებრივია, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. თუ არა ეს ლიტერატურა მაშინ აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ გვიქნებოდა. ამიტომ ამ მასალის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩინა. შესაძლოა, ეს ძალიან ცოტაა, ნამცეცებს წარმოადგენს, მაგრამ, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ამ მასალით, ჩვენი ღრმა რწმენით, ევროპის ნებისმიერი პატარა ქვეყანას შეუძლია რომ იამაყოს.

თუ 1918 წელი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა ამ დარგის მეცნიერული გზაზე დადგომის მცდელობასთან ასოცირდებოდა, 1921 წელი, პირიქით, სწორი გზიდან გადახვევასთანაა დაკავშირებული. აი ასეთი იყო რეალობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება საგულდაგულოდ, მაგრამ ამაოდ, უმაღლავდა ქართულ საზოგადოებას. მათი ეს მცდელობა სრული კრახით დამთავრდა. ამ დარგის საბჭოთა კონცეფცია დღეს უკვე გაკოტრებულია. ამ კონკრეტული საკითხისადმი დამოკიდებულება, ამისი გამოძახილი უნდა იყოს. აი ეს გახლავთ რეალობა და მისი არც შელამაზება და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნება.

სარჩევი

შესავალი	3
პარი პირველი	
ნაპოლეონი ერთპიროვნული მმართველი, კანონმდებელი, რეფორმატორი	9
თავი პირველი	
დისკუსია ნაპოლეონის ირგვლივ.	10
თავი მეორე	
ნაპოლეონი და საფრანგეთის დიდი რევოლუცია	25
თავი მესამე	
ნაპოლეონის მმართველობა როგორც „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუში.	33
პარი მეორე	
ქართული ისტორიოგრაფია „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმზე“	49
თავი პირველი	
საქართველოში ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლის საკვანძო მომენტები	50

თავი მეორე	
ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა	
1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ	
რესპუბლიკაში	78
თავი მესამე	
ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა	
საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში	107
თავი მეოთხე	
ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა,	
პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში	125
დასკვნა	150



თბილისი, პ. ჩანჩილბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

📠 სტამბა დამანი / Print House Damani